

საბჭოთა ხელოვნება



СОВЕТСКОЕ
ИСКУССТВО

SOVIET
ART

SOWJETKUNST

ART
SOVIÉTIQUE



1973

საგჭოთა სელოვნება



შურნალი გამომცემის 1921 წლიდან

თევზი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
რეჟიზერა
ქორეოგრაფი



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური,
ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური შურნალი

1973



ა. გორგაძე.

რესთავი.

მთავარი რედაქტორი — ოთარ შაპო

სარედაქციო კოლეგია: შალვა აბიჯანაშვილი, გელა
ბანძულაძე, გარლო გოგოძე, ალექსი გაგაუარიანი,
ნათელა შრუშაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.

დ. ნოდია.

მოსავლის დღესასწაული.



ამით აისრუნება ფიდეიზმთან, რელიგიასთან დაახლოება, მებრძოლი ანტიკომუნიზმი — 20-იანი წლების დასაწყისის რუსი ინტელიგენციის-მისტიკოსების ფილოსოფიური დეკლარაციების პოლიტიკური მაჩვენებელი.

X X საუკუნის ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზროვნება წარმატებით მასში განვითარდება, თუ იგი არ ჩაიკეტება სუბიექტივიზმში, ირაციონალიზმში, განვითარდება ლენინური გზით.

X X საუკუნის ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის, დეკადანსის განუყოფელი ნაწილი ინტელიტებში, ირაციონალიზმი ფილოსოფიური „სისტემის“ ყველა სახეობის ორგანულ ელემენტად იქცა. მისი წარმომადგენლები იყვნენ გაკოტრებული იდეალიზმის რუს მიმდევარ ესთეტიკოს გ. შპეტრიდან დაწყებული პირობითი თეატრის პროპაგანდისტებამდე.

ცნობილია, რომ ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსები, რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს მოდერნიზმის ესთეტიკაში და კერძოდ რუსულ მოდერნიზმში, არიან ბ. კროჩე, ა. ბერგსონი, ზ. ფროიდი. ირაციონალიზმში განუყოფლად დაკავშირებული ინტელიტებთან. თუ ბ. კროჩე და ა. ბერგსონი მას გნოსეოლოგიით ასაბუთებენ, ზ. ფროიდი და ი. პსიქოანალიზმის გამართლებას ფსიქონალიზმში ეძიებენ. მათი ბურჟუაზიული ინტელიგენციის „გონების მაყობოლთა“ შრომები თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა. 1889 წელს გამოსულ ა. ბერგსონის შრომაში „ცნობიერების უშუალო მონაცემები“ დამუშავებული იყო ირაციონალური სტრუქტურალიზმის საფუძვლები. მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსმა მოდერნიზტებმა მიიღეს ბ. კროჩეს წიგნის „ესთეტიკა, როგორც მეცნიერება მეტყველებისა და საერთო ლინგვისტიკის შესახებ“, თარგმანი. ეს არის შრომა ინტელიციაზე, როგორც მხატვრულ სახეობა შექმნის ერთდღერტ გზაზე. და ბოლოს, ფროიდის ფუნდამენტური შრომა „სიზმრების ანალიზი“, სადაც ხელოვნება მიჩნეულია შეგნებულთა სფეროდ. იგი რუს ინტელიტთა კატეხიზმად იქცა ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე.

ფროიდის ესთეტიკა უდავოდ კიდევ ერთი ნაბიჯია უკან გადადგმული კროჩესა და ბერგსონის შემდეგ მოდერნიზმის ესთეტიკაში ირაციონალიზმის კონცეპტუალის შესახებ. აქ საბოლოოდ მისტიფიცირებულია სინამდვილე.

საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურისა და ხელოვნების ყველა მოვლენას ფროიდი განიხილავს თავდაცვის ინსტიქტისა და „ლიბიდოს“, აგრეთვე რღვევისა და სიკვდილის ინსტიქტის ჩარჩოებში. თუ ადამიანი აგრესიული, ანტისოციალური არსებაა, რომელიც ისწრაფვის დამბნაყოფილობის თავისი ბიოლოგიური მოთხოვნილებანი, მხატვრული შემოქმედების პროცესი ემსახურება ბავშვის შეუგნებელ მოძრაობას, მხატვრული ნაწარმოებების შინაარსი დადის „ლიბიდოსის კომპლექსამდე“. ამდენად ხელოვნება არის პირველადი ინსტიქტების თვითგამოხატვის საშუალება. მხატვრის ინსტიქტური მოთხოვნილებანი ეს არის დაუქვემდებარე, დაუქვემდებარე, ანტიმორალური, საბედისწერო და დაუშავიყოფილებელი სტიქია, რომელიც, ფანტაზიაში სასურველი საგნის წარმოსახვის მიზნით, კონცეპტუალის უკუგებას მის ლიბიდოსს. ეს არის ე. წ. სუბლიმაციის პროცესი — უქსუაური ენერგიების გადასვლა შემოქმედებით ენერგიაში, შთაგონებაში: „პოეტი იმასვე აკეთებს, რასაც მოთამაშე ბავშვი, იგი ქმნის საშაყრის და ძალზე სერიოზულად ეკავება მას, ე. წ. გატყვევებული. ამასთან ერთად შევივრად გამოყოფს ამ საშაყრის სინამდვილისაგან“. ფროიდი დაუკმაყოფილებლობასა და ნევროზს წინ სწევს, როგორც ხელოვნების აბსოლუტურ სტიმულებს.

პ. ი. ლენინის ბრძოლა

მოდერნიზმის

ესთეტიკასთან და

თანაპერროვნება

ტატინა შაროვა

მოდერნიზმის ესთეტიკა დღემდე მსოფლიოს ფილოსოფიური და ესთეტიკური აზროვნების ცენტრში დგას. თუმცა მან დაკარგა ძველი მადონინიერბელი მდგომარეობა, მაგრამ მაინც დიდ ინტერესს იწვევს ე. წ. ლენინის ბრძოლა 20-იან წლებში მოდერნიზმის ესთეტიკის რუსი ეპიგონების წინააღმდეგ. ეს ინტერესი იმით არის გააოწმებული, რომ დასმული საკითხი დღესაც ნაკლებად შესწავლილია. მოდერნიზმის ესთეტიკოსები თქტომბრის რევოლუციის შემდგომ წლებში ცდილობდნენ აღედგინათ ბ. კროჩე-ა; ბერგსონ-ზ. ფროიდის რეაქციული ესთეტიკური თეორიები, რომლებიც დღემდე ამერიკელი ანტისოვეტოლოგების დ. აარონის, ლ. ფილდერის, ლ. ტრილინგისა და სხვათა დიდ ყურადღებას იმსახურებენ.

ლენინმა თავის მთელ რიგ სტატიებში, გამოსვლებში, ჩანაწერებში სოციალისტური კულტურის პრობლემებზე აწევნა ინტელიტების, ირაციონალიზმის, მისტიკის რუს მქადაგებელთა ისტორიული და თეორიული უსაყოფობა, იდეური ჩიზი. ლენინმა დაამტკიცა, რომ ფილოსოფოსებიდან და ესთეტიკოსებიდან თუ ვინმე უარყოფს მარქსიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მემკვიდრეობას, სინამდვილეს განიხილავს მოდერნიზტულად, როგორც უარყოფითსა და რღვევის ობიექტს, მეცნიერებას ხელოვნების შესახებ აყენებს საპეკუალური-იდეალისტური მიმართულებების გზაზე.

ამრიგად, ფროიდიზმ ობიექტურად ავადმყოფი, „ნევროტიკი“ თანამედროვე ისტორიისა და სელოფენების მთავარ მოქმედ გმირად გამოაცხადა. ხოლო XX საუკუნის ყველა მოდერნიზმის მიერ ნაქმები მისი ფსიქოანალიზი პათოლოგიური, დასარაღებულ ფსიქიკას აღიარებს. XX საუკუნის შემოქმედისა და საზოგადოების წარმომქმნის ესთეტიკურ ნორმად, ამიტომ ფროიდიზმ კლასთა ბრძოლის ნაცვლად გვხვდება შეურიგებელი ლტოლვა სოციალისტური ნებისა, შუახანება; რევოლუციური დასკვნების ნაცვლად — კაპიტალიზმისა და პიროვნების უსუსურობის გამართლება, პიროვნებისა, რომელიც ემჩირობა თავის მანკიერ ბუნებას, ზოლოფენიკის ინსტიტუტების ხელოვანის მემბრიოლას და ტრიბუნის მოქალაქეობრივი საქციელის ნაცვლად — მისი საზოგადოებისაგან მოჩვენებითი დამოკიდებულების, ამორალიზმის კულტი.

კროჩის, ბერგსონის ირაციონალიზმითა და ინტუიციონიზმით შეიარაღდნენ ჩვენი პოეზის ყველაზე რეაქციული ძალები რუსი ეკსისტენციალისტები — ნ. ბერდიაევი, ინტუიტიზმები ა. ბული, ა. აიხენვალდი, და. საბანევი, ვ. ივანოვი და ჟ. მარტიენის ტაბის თანამედროვე რევოლუციური ნიუტონისტები. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ იდეალიზმის რუსი საჭურველმძებრითველები ირაციონალიზმსა და ინტუიტიზმს ხშირად აერთიანებდნენ დამჯერებულ მისტიციზმთან, რომელსაც ვ. სოლოვიოვის ეთიკური, რელიგიური ფილოსოფიის ელფერი დაკრავდა.

ხელოვნების გნოსეოლოგიური ფუნქციის უარყოფა და მისი სულმძაღლად, ემპირიულ სინამდვილესთან დაპირისპირება, მეტაფიზიკურის პრიმატი რაციონალურზე, ლოგიკური აზროვნების შეცვლა ალოგიკური, სპეკულაციური, გნოსეოლოგიური და ესთეტიკური რელიატივიზმი — ყოველივე ეს მოდერნიზმის ესთეტიკას ხდის ესთეტიკოს-იდეალისტების გულახდილობის თანახმურს, რასაც ვ. ი. ლენინი დაუღალვად აკრიტიკებდა.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვ. ი. ლენინი და პარტია თანმიმდევრულად, დაუცხრობლად იბრძოდნენ რუსი ინტუიტიზმების, ნიუტონიზმისა და ნეო-ფროიდიზმების და საერთოდ ირაციონალური ხელოვნების ყოველგვარი იდეოლოგიის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინის კრემლის ბიბლიოთეკაში ჰქონდა კრებულები: „მისლი“, „მისლი სლოვი“, „სმენა ვეს“, „ფილოსოფია ნერავენსტა“, „გ. შპეტლის „ესთეტიკური ფრაგმენტები“, 20-იანი წლების დასაწყისის ყველა „უპარტო“ ჟურნალი, „ზაისიკი მეჩტატელური“, „ვიზნ ისკუსტვა“, „ვესტნიკ ტრატა“ და რაფინირებული ესთეტიზმის სხვა საწარგვემი.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ლენინი და მისი თანამებრძოლი ფილოსოფოსი მარქსისტები შეიარაღებული იყვნენ იდეოლოგიური საჭურველი ყველა სახის ესთეტიკის მოდერნიზმის გამოვლინებისა და მისი სახსენებლისათვის სათანადო პასუხის გასაცემად.

20-იანი წლების რუსი მოდერნიზმების თეორიული და მხატვრული წარმოშობის განხილვისას უნდა შევჩერდეთ მოდერნიზმის ესთეტიკის მიმდევართა გამონათქვამებზე, რასაც ებრძოდა ვ. ი. ლენინი და რასაც ახლა თავისი მიმდევრები გაუჩნდნენ.

„საეკლესიო წარმოდგენების“ მიმდევარი თვარტში ვიარჩესლავ ივანოვი, ბალეტში დიონისესეული და აპოლონისეული „შინდა“ საწყისების აღორძინებაზე მოუწოდებდა ა. ვოლონსკი, ხელოვნებაში ირაციონალიზმის შემდგომი მოქალაქე ა. ბული მისწრაფდნენ „შეცეკვალი“ რეალიზმი, მატერიალიზმი, ხალხურობა, როგორც დემოკრა-

ტიული, ქმედითი სოციალური მიმართულების პრინციპული, ლიტერატურაში, მუსიკასა და ფერწერაში აპოლიტიკური, ავტონომიური, „წმინდა ხელოვნების“ სტრუქტურა.

ჟურნალში „ზაისიკი მეჩტატელური“, „ვიზნ ისკუსტვა“ ისინი გატაცებით ეწაფებოდნენ სხვადასხვა მოდერნიზტულ მიმართულებას. ვ. ივანოვი ხაზს უსვამდა, რომ ახლამ თვარტმა უნდა აღადგინოს ძველი ბერძნების რელიგიური, „საეკლესიო ზეიმები“.

ა. ვოლნისკი ბროშურაში „რა არის იდეალიზმი“ (1922), რომლის ყდაზე გამოსახული იყო კიევის სოფიის კათედრის ასპისის ორანტის რეპროდუქცია — ლეონისძე ბელი ლოკვის პოზაში (ვეფხტაშვილად კაცობრიობის ხსნას სრწნისაგან — რუსეთის ხსნას ბოლშევიზმისა და რევოლუციისაგან). ვოლნისკის სურდა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად შეენარჩუნებინა რაციონალიზირებული რწმენა და ინტუიტიკა კლასიკური და ეროვნული წინააღმდეგობების „დასაძლევად“, ბოლშევიზმის გასანადგურებლად.

ვოლნისკის გვერდით იყო ირაციონალიზმები, ინტუიტიკის ა. ბული, რომელიც გამოაცხადა გადაუჭრელი ანტიონიზმითა თვარტის ბუნების ტრანსცენდენტალურ საწყისსა და უხეშ მატერიალურ სინამდვილეს შორის. ჯერ კიდევ რევოლუციამდე მან მხამალა განაცხადა:

„როდესაც ჩვენ გავხვლბენ მხატვრულ შემოქმედებაში ხალხთან დაახლოების მრავალმნიშვნელოვანი ღონისძიებით, გვერთა, რომ სურთ ჩვენი გადამკვეც უტოპიზტებად პოლიტიკისა და ესთეტიკურ თეორიის სფეროში“ („მეფივე ველი“). რევოლუციის შემდეგ პოეტიკ-იდეალისტი, ერთი მხრივ, პოლიტეკლტის ლიტერატურულ სტუდიაში ასალაგზრდა პროლეტარულ პოეტებს ზრდად ხელოვნების მაგიერი მომსახურების სულისკვეთებით. იგი თვლიდა, რომ ჯობია იყო „პატარა ცოცხალი ბაყაყი“, ვიდრე „შუაზე გასლწილი ინტელექტუალი“. მეორე მხრივ იგი რედაქტორებად იდეალისტების, ეკოცენტრისტების, „წმინდა ხელოვნების“ დამცველთა ჟურნალს — „ზაისიკი მეჩტატელური“. ჟურნალის ყოველ ნომერში (სულ 1919-22 წლებში გამოვიდა ექვსი ნომერი) ა. ბული ბეჭდავდა თავის თეორიულ ოპუსებს ქემპირიკი ხელოვნების აპოლიტიკურობაზე, ზეკლასობრიობაზე, ინტუიტიკიზმზე.

დამახასიათებელია, რომ მოდერნიზმის ესთეტიკის აშკარა მომხრეები ბულის, ვოლანსკისა და ევრინოვის ხელოვნებაში ყოველგვარიად უწევდნენ პროპაგანდის თავიანთი ჟურნალების ფურცლებზე კ. მაღვივის, ნ. შავალის, ვ. კანდინსკის სუბიექტივისტურ დეკლარაციებს.

შემოდასახლებული ესთეტიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთ თავს აშკარად უწოდებდნენ იდეალისტებს, ინტუიტიკისტებს, ირაციონალიზმებს, მოსკოვის სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის (ГАХН), ლენინგრადის ხელოვნების ისტორიის სახელმწიფო ინსტიტუტის (ГИИИ) კვლევაში თავმჯიროლი ესთეტიკოსი ხელოვნებაშიმდენების ჯგუფი თავიანთ თავს უწოდებდნენ „მარქსისტებს“, სინამდვილეში კი ისინი იყვნენ გამოუსწორებელი მეტაფიზიკოსები და ესთეტიკის სფეროში აშკარად ებრძოდნენ მარქსიზმს.

განსნის ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ევლკარული სოციოლოგი პ. კოპანი. მიუხედავად ამისა, ეს აკადემია პრეტენზიას აცხადებდა ხელოვნებისა და მხატვრული კულტურის ყველა სახეობის მარქსისტულ შესწავლაზე.

გ. შპეტმა, ბ. იარბომ, დ. ნელოვიმა შექმნეს თეორეტიკოსების ერთიანი ფრონტი. ისინი აცხადებდნენ ხელო-



ენების ავტონომიას, დამოუკიდებლობას საზოგადოებისაგან, პოლიტიკისაგან, სახელმწიფოსაგან. განსაკუთრებით საყოფიერი იყო გ. შპეტი, რომელმაც გამოაქვეყნა არა მარტო ჯანსაღი რუსული ფილოსოფიის განვითარების შესახებ (1922), „ა. ი. გერცინის ფილოსოფიური მოღვაწეობები“, ეთნიკური ფიქციოლოგია“; არამედ „ეს-თეტიკური ფორმების“ თვის გამოცემა.

გ. შპეტი მიეცემოდა ბ. იარხის კავსს, რომელიც „მეცნიერული ლიტერატურათმცოდნეობის საზღვრებში“ ხელოვნების აცლილ ყოველგვარ საზოგადოებრივ მინარსს, შემეცნებით მნიშვნელობას. თავის მხრივ, გ. შპეტი ძალზე მშვილად ანათებს უგზავნიდა რუსული ფილოსოფიის მატერიალიზმსა და ხელოვნების სამოქალაქო სამსახურს, უარყოფდა რეალიზმის ესთეტიკას. ცრულმარქსისტისთვის რუსული ფილოსოფიის ისტორია — ეს არის „ორგანიზაცია“ ბუნებრივი, რუსული სტიქიური უმეცრებისა, და ვინაიდან ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ ბელინსკის დროიდან გამსჭვალულია უტილიტარზმის სულისკვეთებით, „ჩვენი საზოგადოება აზროვნებისადმი გულგრილი დარჩა. იგი მხოლოდ ტრადიციებსა და გრამატიკისაში იმსჯელებოდა სახელმწიფოებრივი და ოჯახური სარგებლობის გრძნობით“².

შპეტი, როგორც მისი ლენინგრადელი კოლეგა ფ. შმიტი, ტიპიური ვოლკენშტეინი იყო, მეკანკურად ათანამებდა მოღერწის ხელოვნების სოციალური მიდგომის ცდებს. იგი აგნოსტიკურად უარყოფს ესთეტიკური შეფენების ქემზარტებას და ასახვის თეორიას სკვლის თეოთგამოხატვის თეორიით. მისი აზრით, ესთეტიკურის არ გააჩნია არავითარი ეთიკური შეფერვალობა, ხელოვნებას კი — არავითარი საერთო სინამდვილესთან.

20-იანი წლების მოღერწისტი-თეორეტიკოსები მიწინააღმდეგე სუბიექტური სამყაროს ობიექტურში გათქვეფიყეს, მათ სურდათ მხატვრის, რეჟისორის, ხელოვნების შემოქმედებითი „მე“-ს გაბატონება. იმ დროის ესთეტიკის ყველა სფეროში — თეატრალურებში, ხელოვნებათმცოდნეობაში, მუსიკისმცოდნეობაში — ისინი და მათი ზმა, ზმა ხელოვნებაში რეალიზმისა და მატერიალიზმის განადგურებას.

თეატრის ცალკეული მოღვაწეები ნ. ვერინოვი, შემდეგ ვ. ვოლკენშტეინი და ა. პიოტროვსკი ყოველნაირად ცდილობდნენ თეატრის ესთეტიკურ „მეზანსტაციას“, ადამიანის სულიერ და ფილოსოფიურ პრინციპებში ჩადრმავებას. ვოლკენშტეინი დიდად შორს არ მიდიოდა აიხვალდისაგან, რომელიც აცხადებდა: ან რეალობა, ან ხელოვნება. თავის მხრივ, ვოლკენშტეინი აყენებდა სკვინიდან რეალისტური დრამატურგიის საბოლოო განდევნის აუცილებლობას.

სხვები, კერძოდ, მუსიკალური კრიტიკოსები ი. ეიგესი, ვ. კარატკინი, და ბ. ასაფიევიცა იმ თვისებდნენ მოღერწისტის ტერმინოლოგიას, ბერგსონიანობას და მუსიკაში, უპირველეს ყოვლისა, ხედავდნენ „შემეცნების ნაკადს“. ი. ეიგესის აზრით, მუსიკა მოითხოვს „საკანთა და მოვლენათა სამყაროს სრულ მიფიყვებას“; ლ. სპაბრევი სტატიაში „ომისა და რეგულაციის დროინდელი რუსული მუსიკა“ („Печать и революция“, 1922, № 7) სუფიანად აღნიშნავდა, რომ რუსული მუსიკის მოხვედრა სერიალისა და სტრავინსკის გვიანდელი პერიოდის არავასული ირრაციონალური მოტივების გაგვინის ქვეშ. სპანენველს გამოაქვდა ხელოვნების აპოლონურკონის იდეა, რისთვისაც ა. ლუნარსკის გაკეთდა დამისაუარა; მუსიკაში ფეიერვერული ექსტაზის, კომპოზიტორის ინტეგრირის ამაღლების თვალსაზრისზე იდგა ბ. ასაფიევიც.

და ბოლოს, მესამე — სუპრემატისტ გ. მალევიცა, ი. ვ. კანდინსკი, ს. მაკოუსკი ორიენტაციას იღებდნენ ფერწერის აბსტრაქტიზმისა და განყენებულობაზე, სესხანისა და „კოთიკური ეფერასტინის“ გერმანულ ექსპრესიონისტებზე, ყველა ან ხელოვნებისმცოდნეებსა და ფერწერებს, აბსტრაქტის აზრით, სურდათ ცოცხალი ცხოვრების შეცვლა მოღერწისტი „იოლეს ქვეყნით“. ამ მოღერწისტილ გამოხატვის აღიევება ბუზარის. მან ჟურნალში „ფეოლუკია და ნეულტურა“ (1928, № 2) გამოაქვეყნა ტენდენციური სტატია ა. კურელს ფერწერაში ავანგარდისმის დასაცავად „მხატვრული რეაქტია პერიოდული რეალიზმის ნილაბეჭვში“, სადაც სასტიკად აკრიტიკებდა აბრელებს (АХРР — Ассоциация художников революционной России), რეალიზმის ერთგულებისთვის. ჟურნალის მესამე ნომერში ვ. იაროსლავსკიმ დაბეჭდა პასუხი და აწვედა მოღერწისტი ხელოვნებათმცოდნეთა ბრალდების უსაფუძვლობა.

სტანკოვისტების საზოგადოების თავმჯდომარე დ. შტერენბერგი ყოველმხრივ აქვეყნებდა მხატვრების ორიენტაციას იმპრესიონისტებზე, დადისტებზე, სურეალისტებზე, ორფისტებზე, სინქრონისტებზე, ხელს უწყობდა მათს ამოვარდნას რეალიზმიდან.

ყველა ზემოჩამოთვლილი მოღერწისტისთვის მთავარი იყო რეალიზმის პრინციპების რღვევა, სუბიექტური სახეობა შეზღუდული სუვეერული სამყაროს შექმნა, მოღერწისტის ესთეტიკის დახმარებით „აბსოლუტური თავისუფლების“, „აბსოლუტური შერწყმის“ უფლების, „აბსოლუტური ხედვის“ ინტეგრირის აღიარება.

გ. ზამიატინი თავის სტატიებში, ერთი მხრივ, აცხადებდა, რომ რეალიზმი პირობითობაა და ნამდვილ ხელოვნებას ქმნიან „შემოღლინი“, განდგომილი, ერეტიკოსები, მეოცნებები, მეამბოხები, სკვპეტიკოსები“ („ხელოვნების სახლი“, 1821, № 1); მეორე მხრივ, ხელოვნების შემოქმედნი გათიშებიან რა რეალიზმს, უნდა დაეყრდნენ კუსტოდების რუსულის მისი „კატაკტი ზარებით“, „ცოცხალი მღვდელ-საოფრებით“³.

ისინი ცდილობდნენ სინამდვილის დეფორმირებას, ხელოვნებას და ცხოვრების, მხატვრისა და პუბლიკის, ტალანტისა და მოსოფლმშვეველობის, ლეგიკური აზროვნებისა და ალოგკურობის დაპირისპირებას. ამით ისინი საბოლოო ანგარიშში თავის იდეოლოგიურ აგრესიას მიმართავდნენ ლენინური ესთეტიკის საფუძვლების წინააღმდეგ. ეს მოღერწისტი მამინაც და ახლაც ყოველგვარი „იშხმის“ დაუსრულებელი რიგია.

ვ. ი. ლენინი XX საუკუნის დასაწყისშივე ვერ ურიგდებოდა ემპირიოკრიტიკიზმის, ემპირიისიმბოლიზმის, დეკადენტობის, მოღერწისტის გერავითარ გამოვლინებას. საყოველთაოდ ცნობილია დ. ზერეკოვსკის, ბ. ბერდიაევის, ბ. სავინოვის, ვ. ვინიკოვს, დ' ანუნიკის ლენინისეული კრიტიკული შეფასება.

ლენინის ბრძოლა მოღერწისტის სხვადასხვა სახეობის წინააღმდეგ მუშებრივი გაგრძელება იყო სუბიექტური იდეალიზმის მხედობის თანმიმდევრული ხაზისა, რაც გაატარა თავის ფუძემდებლურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველსავე წლებში ლენინური ესთეტიკა სოციალისტური კულტურის ყველა მშენებელს აძლევდა გასაღებს იმისა, რომ მათ შეეძინებოდა დაესაბუთებინათ მხატვრის, მწერლის, კომპოზიტორის, სკულპტორის როლი ასასავე ობიექტთან ურთიერთობაში.

ლენინი ადამიანის ცნობიერებისგან, გარესამყაროსგან, რეალურის დამოუკიდებლად არსებობის ძირითად რეალობიდან გამომდინარე, თავის თეორიაში განსაზღვრავდა შემეცნების ობიექტურობას, შემეცნებისა და პრაქტიკის ურდულე ერთიანობას. უამისოდ შეუძლებელია შემეცნებელი სუბიექტის აქტიურობა.

ლენინურ ესთეტიკაში არსებითი იყო დასაბუთება სინამდვილის რეალური და არა მოდერნისტული შემეცნების მეთოდისა. მან ყოველმხრივ გახსნა საყოველთაოის და ცალკეულის, განსაკუთრებულის, კონკრეტულის დიალექტიკა მხატვრულ სახეში. მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული განზოგადება ცხოვრებისეული კონკრეტულობის გარეშე ხელოვნების ნაწარმოებს გადააქცევს განყენებულ სქემად.

ლენინი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ არა ერთხელ აფრთხილებდა მხატვრებს, რომ სახეთა შექმნისას თავი აერიდებინათ სუბიექტური პიკანტრობისთვის. ლენინი ყოველდღიურად ადევნებდა თვალს საეურნალო პერიოდიკას, მაშინვე შენიშნავდა ხოლმე უცხო მოდერნისტულ ოპუსებს პრესაში და მოითხოვდა მათ მხილებას. „მან „წიგნის მატრიანეში“ (1918, № 17-18) სპეციალურად აღნიშნა მოდერნისტულად მოაზროვნე ალმანახი „მისლი“.

სუბიექტური იდეალიზმის ფილოსოფიასთან ვ. ი. ლენინის შეურიგებლობის მაგალითია აგრეთვე მისი გამოხატულება ვ. ბაზაროვის სტატიაზე, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „კრასნაია ნოვა“. ეს იყო ცდა ო. შენგელერის ფილოსოფიის გამოყენებისა საბჭოთა სინამდვილეში; ლენინის გამოსვლა სმენივებლების, რუს ეკზისტენციალისტ ნ. ბენდიავის რელიგიური გადმოწამების წინააღმდეგ.

კ. ცეცკინთან, ა. ლუნაჩარსკისთან, მ. გორკისთან, ი. სკვორცოვ-სტეპანოვთან, ა. გორონსკისთან საუბარში ლენინი დაჟინებით უსვამდა ხაზს ხელოვნების შემეცნებით მნიშვნელობას, მის მიერ რეალური სამყაროს ასახვის უნარს.

20-იანი წლების მოდერნისტების გამოსვლებში ვ. ი. ლენინი ხედავდა ბურჟუაზიული საზოგადოების ავონიას, რომელიც ცდილობდა შეეჩერებინა კაცობრიობის ისტორიის მსვლელობა. გამოველინებინა რეაქციული კლასების ფსიქიკისა და შეგნების ნაკლი.

თეთრმივრანტ მამა-შვილ ნაბოკოვების ბედის მაგალითზე განსაკუთრებულად თვალსაჩინოდ გამოვლინდა ბურჟუაზიული რუსული ელიტის კლასობრივი სახე. ელატისა, რომელმაც თავისი სულიერი გახრწნა დაასრულა „ლაქიობაში“, თანამედროვე ამერიკელი მილიარდერების „საპარადო მისასვლელებთან“.

ვ. ი. ლენინის მიერ ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ მეოთხედში მხილებული მოდერნიზმის ესთეტიკა უნაკოფო ყვავილია მხატვრული შემეცნების ხეზე ამოსული. მან უკვე 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში ვერ გაუძლო დროის გამოცდას და თანდათან ინაცვლებს მსოფლიოს ესთეტიკური რუკის პერიფერიაში.

შენიშვნები:

¹ Современная книга по эстетике, М., изд. иностр. лит., 1957, стр. 189.

² Г. Шпет. Очерк развития русской философии, ч. I, изд. «Колос», 1922, стр. 256, 29.

³ Русь. Русские типы Б. Кустодиева, Слово Е. Замятина, «Аквилон», стр. 10, 7.

მ. თარნიშვილი.
ნატურმორტი.



სატირა და ირონია —

სოციალური ბრძოლის იარაღი

მურმან თავდიშვილი

მარქსიზმის კლასიკოსთა რევოლუციური მოძღვრების დასაცავად ერთ-ერთ პარტიულ იარაღს ყოველთვის წარმოადგენდა სატირა და ირონია. თუ ჩვენ შევძლებთ მოწინააღმდეგეზე მკითხველი გაგაცნობთ, ეს ნიშნავს, რომ ბრძოლა მოგებულია — აღნიშნავდა ფრ. ენგელსი.

სატირა, ირონია, იუმორი... ეს ისეთი საშუალებებია მარქსიზმის კლასიკოსთა პოლემიკურ სტატიებში, რომელთა გამოყენებისას „თითოეული ფრაზა კი არ შეტყვევებს, არამედ ტყვიასვით ვარდება“. „ლენინი ბრწყინვალედ ფლობდა ეპოპური ენის, სატირისა და იუმორის ძლიერ აკრწანალს. მის პუბლიცისტურ შედევრებში უზად გვხვდება გესლიანი სატირის, მახვილი ირონიის, გულბოილი იუმორის მაგალითები“. აზრის განსაკუთრებული ტყვადობა, იუმორის ფაქიზი და ნიუანსობრივი წვდომა, კონკრეტულობა და სახეობრიობა — აი, რითი ხასიათდება ლენინური სატირა.

ქართველმა კრიტიკოსებმა ლენინის ფრთიანი ფრაზის სატირული ელვარება კარგად შეიგრძნეს და ზოგიერთი სტილიური თავიებურება მიანიშნეს კიდევ მკითხველს. „გ. ი. ლენინის ნაწერების სტილის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი ნიშანია პოლემიკურობა. ლენინმა შესწავლა გაცემტყვერებინა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების შეხედულებანი, თანამაზროვნეთათვის დროულად მიე-თითებინა ცალკეულ შეცდომებზე და ნათქვამისთვის ღრმა დამაჯერებლობის მინიჭებით, თავის მხარეზე გადმოყვანა საღად მოაზროვნე მსოფლიოს უსარმაზარი პროლეტარული არმია. ლენინს მოწინააღმდეგის შეხედულებათა გაცემტყვერებისა და თავის მოსაზრებათა დამტკიცებისთვის ამოუწერავია მსატრულ-სტილისტური არსენალი გააზრება, ასეთია ლენინის პუბლიცისტური სტილის ძირითადი შეფასება ქართულ კრიტიკაში.

გ. ი. ლენინის შრომებში სატირა უფრო ხშირად პოლემიკურ სტატიებსა და მამხილებელ წერილებში გვხვდება. სატირის სახეები მეტიწილად შემდეგი ძირითადი ხერხებითაა მოწოდებული: უარყოფითი შინაარსის გადმოცემა დადებითი ფორმით („დასტურის ფორმით წარმოდგენილი უარყოფა“ — გრ. კიკნაძე); ირონიის გამოხატვა რიტორიკული შემახილებით; მსატრული შედარებანი და ანალოგია; სატირული სიტყვაციის შექმნა ანტიონიმების გამოყენებით.

დადებითი ფორმით უარყოფითი შინაარსის გადმოცემის დროს ლენინისეული ირონია ყურადღებას ამახვილებს სწორედ იმ სიტუაციაზე, რომელიც მსჯელობის საგანია.

მეფის რუსეთის განათლების სამინისტრო იკვეხნოდა, რომ საგანმანათლებლო დარგებში 1913 წელს 1907 წელთან შედარებით დაბანადებული თანხის რაოდენობა 46-დან 137 მილიონამდე გადიდა. ლენინი ამხელს ხალხის მოტყუების ამ ცდას:

„თუ მათხოვარს, რომელსაც სამი კაპიკი აქვს, შაურს მისცემთ, მისი ქონება უცებ „უდიდესად“ (ხაზი სველგან ჩვენია — მ. თ.) გაიზარდება, მთელი 167 პროცენტით“ (სახალხო განათლების პოლიტიკის საკითხისათვის, ტ. 19, გვ. 146).

სიტყვის დადებითი ფორმით — „უდიდესად“ — უარყოფითი შინაარსი ისეა გადმოცემული, რომ სრულიად ნათელი ხდება, თუ როგორ გადიდა „უდიდესად“ საგანმანათლებლო თანხები. მკითხველი ცხადად ერკვევა იმაში, რომ ეს გამოიწვია არა განათლების მაღალ დონეზე ყოფნა, არამედ იმ თანხის შეტანამტმა სიმცირემ, რომელიც ამ მიზნებისთვის იყო გამოდებული.

ირონია არ სცილდება ლენინის კალამს ისეთი ნაღვლიანი მოწოდების დაწერისას, როგორიცაა „ტორტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა ქალებს“. მეპატრონეთაგან გაპარკულ მუშებს ლენინი ურჩევს იბრძოლონ ეკონომიური უფლებებისათვის, უხსნის, თუ რა აუტანელ პირობებში მუშაობენ ისინი და რა შეუდარებლად მცირე ხელფასს იღებენ „მზრუნველი მეპატრონეებისაგან“. „ბინის ქირად 1 მანეთს იხდით, — უხსნის მათ ლენინი, — მხოლოდ მარტო თქვენს მზრუნველ მეპატრონეებს ეცოტავებთ იგი“. ლენინი მოუწოდებს მათ: „მამ დაგამტკიცეთ ახლა, რომ ჩვენი „ეკთლისმყოფელი“ მოცინენ“ (ტ. 2, გვ. 85).

ამავე ხერხით ამხელს ლენინი ეფრუსის მიერ სისმონდის მოძღვრებით რეაქციული ევოლუციონისტების დაუნახაობას: „ეითომ სწავლული მწერლები ხშირად საოცარი იქნებიან რაყეზე ქვა ვერ დაიხანონ!“ (ეკონომიური რომანტიზმის დახასიათება, ტ. 2, გვ. 292).

სატატირა „ახალი საფარიტო კანონი“, თითქმის ყველა წინადადება ირონიულია. ირონიის მატარებელი სიტყვები ბრჭყალებია: „ბატონი, ჩაგრული მფაზარი ძაგები“ (ტ. 2, გვ. 330).

„მთავრობა დიდი „სამართლიანობით“ გამოირჩევა“ (ტ. 2, გვ. 338). „მუშები ყველა სამუშაოს მეპატრონეებთან „მეთაქმებო“ ასრულებენ“ (ტ. 2, გვ. 249). „სამართლიანი მთავრობა არ ართმევს“ აგრეთვე რუს მუშებს „უფლებას“ გაუხმართლებლად მოხედნენ საპრობლიმში“ (ტ. 2, გვ. 348). „მუშები-

დმერთო ჩემო, რა „ცალმხრივი“ იყვნენ ამ დროს გაუწირებლად ვიწრო ორთოდოქსები, „ერთი ცხოვრების“ ბრძანებათა მიმართ ყრუ ორთოდოქსები! არც ერთ მათ სტატიაში არ მოიძებნებოდა, „ჭოი საშინელეობაჲს არც ერთი, აბა, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, არც ერთი კონკრეტული მოთხოვნა“ (ტ. 5, გვ. 512-513).

ამწიარადვე აკრიტიკებს ლენინი „აქტიური ბოიკოტისადმი“ გეოლოგიულად განწყობილთა აზრებს: „ავტორი ემიჯნება რა „სინდიალისტურ ბოიკოტს“, „პასიური“ ბოიკოტს, იგონებს განსაკუთრებულ „აქტიურ“ (ჭოი, რა მემარცხენეობაა (ბოიკოტს“) სტატია „კომუნიზმი“, ტ. 31, გვ. 192).

ასევე ამხელს ლენინი განათლების მინისტრთა შიშს უბრალო ხალხის განათლების გამო: „განსაკუთრებული ძრწოვით ამბობს ბ-ნი მინისტრი, რომ ქ. ელცნი სკოლა მოთავსებულია მდინარე სოსნას გაღმა, სადაც უპირატესად უბრალო (ჭოი, საშინელეობაჲს) და ხელისაწინ ხალხი ცხოვრობს...“ (ტ. 2, გვ. 97).

ამ მაგალითიდან კარგად ჩანს როგორ ზუსტად: სიტყვის რა ეკონომიით არის მიწოდებული მკითხველისადმი მინისტრთა შიშის გამომწვევი ვითარების არსი.

ლენინის შრომებში ყველაზე მეტი ეფექტურობითა და ემოციურობით მაინც სატირული შედარებები და ანალოგიები გამოირჩევა. მხატვრული შედარება არა მარტო სიცხადისთვისაა გამოყენებული, არამედ ამავე დროს ნაკერია დაიცივის იარაღიცაა. 30-ათასიანი უსახსრო, მშვიდობიანი მუშის წინააღმდეგ მთელი კაპიტალისტური სიმდიდრისა და ხელისუფლების ძალის გამოყენებით გამარჯვებული მინისტრის უადგილო ტრაბახს ლენინი მოსწერებულად აღარებს, „...იმ პოლიციელი ჯარისკაცის ტრაბახს, რომელსაც თავი მოაქვს — გაფიცვიდან ისე წავიდი, რომ ვერა მცემესო“ (მეფის მთავრობა, ტ. 3, გვ. 14).

ლენინი ასევე მასელიგონიერულად ამხელდა ახალ კანონს, რომლის მრავალი უარყოფითი მხარე მუშებს აწვებოდა მხრებზე. ამ კანონთან შესაბამისად ლენინი იხსენებს ლომის არას, სადაც ლომი ნადავს ანაწილებდა თანამონადირეთა შორის:

„ერთი ნაწილი მას მიაქვს უფლების ძალით; მეორე ნაწილი მიაქვს იმიტომ, რომ ის ნადირთა მეფეა, მესამე იმიტომ, რომ იგი ყველაზე ღირნია, ზოლო მეოთხე ნაწილზე — ვინც ხელს გამოიშვერს, ის ცოცხალი ვეღარ წავაო“ (ახალი საფაბრიკო კანონი, ტ. 2, გვ. 384).

ლენინი აკრიტიკებდა პეტრე მასლოვს, რომელმაც გერმანულ ენაზე გამოსცა წიგნი „ავტარული საკითხი რუსეთში“ და რომელმაც, ლენინის თქმით, „მასლოვმა „ევროპელებს“ დაუმალა „მთელი“ თავისი თეორია“. ე. ი. არაფერი არ უთქვამს სწორად და თუ რამ უნდა ეთქვას, არ თქვა. ამას ლენინი აღარებს ამბავს ერთი უსწიბობისა, „რომელიც პირველად დაესწრო ანტიკური ფილოსოფოსების საუბარს და ამასთან მუდამ სდუმდა. თუ ჭკვიანი ხარ, — უთხრა ამ უსწიბოს ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა, — სულელურად იქვეყი. თუ სულელი ხარ, ჭკვიანურად იქვეყიო“ (ტ. 13, გვ. 385).

ეკონომისტების კრიტიკასაც, ეკონომისტთა თეზას — თვით ეკონომიურ ბრძოლას მიეცეს პოლიტიკური ხასიათი, — ლენინი ასეთი შედარებით დასცინის: „ეს სიტყვა-სიტყვით ისეთივე „ცხოვრების ალღოა“, რომელსაც იჩენდა ხალხური ეპოსის გმირი, სამგლოჯიარო პროფისის დანახვაზე რომ ყვიროდა: „ეს ერთი და სხვა ათასიო“ (რა ვაკეთოთ? ტ. 5, გვ. 565).


ასეთი ლენინის შრომებში გაბნეული სატირის შესანიშ-

ნავი ნიმუშები, რომელთა სიმკაცრე განვითარებულია ლიტერატურულ-პოლიტიკური პავერობის ტონში, პრინციპულ კრიტიკაში. პრინციპულობას კი მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როცა ცალმხრივი არ არის.

ვ. ი. ლენინის პრინციპული, მშვიდი, მაგრამ მეტად სარკასტული პოლომიკა, ბელადის პავერობის ტონი გვაგონობს იმებს, რომ „კამათის მძაფრი ტონი, ჩაქსოვილი მკვეთრ ირონიამ, შეფარულ იუმორში, ყოფილა, არის და იქნება ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრების თანამდეგი მოვლენა“. ამასთან ჩანს, რომ ბელადის პოლომიკურ ფრასას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანისადმი სიყვარული უდევს საფუძვლად, რაც ჭეშმარიტი დიდსულოვნებაა. ეს რაც შეეხება ლენინური სარკაზმის ეთიკურ მხარეს, ზოლო მხატვრული ძალის მინგვით ვ. ი. ლენინის მიერ მამხილებელ, გამიცხვეულ საშუალებათა მასელიგონიერული, ეფექტური გამოყენება გვარწმუნებს, რომ სატირა და ირონია როგორც ძველის, დახვეწულის, ჩამორჩენილის წინააღმდეგ მებრძოლი იარაღი, მუდამ ბელადის მხარეზე იყო, არასოდეს უღალატებია მისთვის და ერთგულად ეხმარებოდა მშრომელთა ბედნიერებისათვის სამართლიან ბრძოლაში.

ა. გორგაძე.

მეშახტე.





ალიკო გორგაძის ნამუშევართა გამოფენის განხილვაზე.

ა. გორგაძე. ღეკაბრისტის პორტრეტი.

მხატვრის პარადიული ღიმილი

ღიმილი შინაგანი ბუნება, ღრმა სუ-
ლიერი განცდები, მრავალმხრივი შე-
მოქმედებითი დიაპაზონი, ნათელი
მხატვრული აზროვნება — აი, ყოვე-
ლივე ის, რაც ასე პარმონიულად იყო
შეზავებული შესანიშნავი ხელოვანის,
საქართველოს სსრ დამსახურებული
მხატვრის ალიკო (ალექსანდრე)
გორგაძის პიროვნებაში.

შემოქმედებითი ძიებისა და აღმა-
ვლის წლებში შეწყდა ამ უნიჭიერე-
სი, საოცრად ენერგიული, ფაქიზი,
ჭეშმარიტად არტისტული ბუნების
მქონე ადამიანის მაჯისცემა. თავისი
ქვეყნის, ხელოვნების სიყვარულში
ჩაიფურღლა იგი და ვინ იცის, რამდენი
განუზომიერებელი ოცნება წა-
რიტანა თან.

მწელად თუ მოიძებნება ისეთი ხე-
ლოვანი, რომელიც თანაბარი ძალით
მუშაობდეს სახვითი ხელოვნების
სხვადასხვა ელემენტში; ალიკო გორგაძე
კი არათუ ფლობდა ფერწერის, გრა-
ფიკის, ქანდაკებისა და ჭედურობის

ურთულეს ტექნიკურ საშუალებებს,
არამედ ყოველ მის ნამუშევარში
ნათლად შეიმჩნეოდა მხატვრის მალა-
ლი პროფესიული ოსტატობა, ცხოვ-
რების პოეტური შეგრძნება და სიახ-
ლისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა.

ალ. გორგაძის შემოქმედება ყვე-
ლას ზიზღავდა. მისი მართალი ხე-
ლოვნება, ზრომისმოყვარეობა მუდამ
იყო მისაბადი არა მარტო კოლმე-
ბის, არამედ მათთვისაც, ვინც ის-ის
იყო გზას იკაფავდა მხატვრობაში.
სწორედ ამან განაპირობა, რომ საქა-
რთველოს სსრ მხატვართა კავშირის
გამგეობამ და მხატვრის მეგობრებმა
საქართველოს სურათების გალერეაში
მოაწყვეს ალ. გორგაძის ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა, სადაც წარ-
მოდგენილი იყო ფერწერის, გრაფი-
კის, ქანდაკებისა თუ ჭედურობის ნი-
მუშები, მისი ბოლო პერიოდის და-
უმთავრებელი ნამუშევრები და ცხოვ-
რებისა და მოღვაწეობის ამსახველი
ფოტოსურათები.



გალერეის ცენტრალურ დარბაზში, საკმაოდ მოზრდილ ფოტოზე აღბეჭდილი ალ. გორგაძე მოსულთ გულწრფელი ღიმილით ეგებებოდა და ამ ღიმილში ჩანდა მისი დაუდევარი ხასიათი, შინაგანი კეთილშობილება და სულიერი სისპეტაკე, რომელიც პარპონიულად ერწყმოდა მის ყველა ნაშუაგვარს.

ხელოვან ადღევებდა თანამედროვეობა, ადამიანთა ცხოვრება, მათი განცდებისა და ოცნებების უსასრულო სამყარო. ყოველივე ამან კი უშუალო ასახვა პიოგა მის შთამბეჭდავ, მხატვრული სიმართლთა ნაგებ კომპოზიციებში.

ალ. გორგაძეს მეტად თავისებური ხელწერა ჰქონდა, იგი რეალისტურად აღიქვამდა და ძლიერი მხატვრული მეტყველებით ხსნიდა ცხოვრების ამ თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას. მისი მრავალფეროვანი სკულპტურული კომპოზიცია „ჭიათურელი მუშები“ ხომ ამის ნათელი დადასტურებაა. არ შეიძლება გვერდი აუვაროთ მის ფიგურულ კომპოზიციებს: „პირველად წარმოებაში“, ტრიპტიქი „შრომა“, „რუსთავი“, რომლებშიც სრულად გამოვლინდა თუ როგორ ისწრაფოდა მხატვარი სრულყოფილად წარმოებას მშრომელი ადამიანი, მისი რომანტიკული ცხოვრება; სწორედ ამ ადამიანებში ეძებდა და პოულობდა იგი რამაც პოეტურს, ამაღლებულს და როდესაც საწაფელს მიაღწევდა, დიდ სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი მხატვრის ფიგურული თუ გრაფიკული ნაშუაგვრები გვატყვევებენ ფერისა და ხაზის არაჩვეულებრივი შეგრძნებით, თემატიკის აქტუალობით. უაღრესად საინტერესოა მისი ჭეღვრება, რომელიც გამოირჩევა საუბოთ დეკორატიული გადაწყვეტითა და დინამიკით.

დამოუკიდებელი გამოფენით კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ სევდიანად ტოვებდნენ გალერეას, რადგან იმაზე ფიქრობდნენ, თუ რამდენი ნაშუაგვარ ნაშუაგვრის შემწა შეეძლო მომავალში მხატვარს და რა უდროოდ ჩაქრა მისი სიცოცხლე.

გამოფენამ დიდხანს გასტანა, მრავალმა თბილისელმა თუ უცხოელმა იხსულა იგი, დატკნა ხელოვანის ქმნილებებით; გამოფენის ბოლო დღეს კი გალერეაში შეიკრიბნენ მისი ხელოვნების თავყანისმცემლები და ღირსეული შეფასება მისცეს ალ. გორგაძის შემოქმედებას.

შოლიამ ბრძინაშვილი ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ რიგებს ეკუთვნის, რომელთაც თავის უნაზრად, კეთილსინდისიერი და უაღრესად ნაყოფიერი მოქმედებით მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს როგორც ჩვენი ერისთვის, ასევე საკაცობრიო კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქეში.

ამ გამოჩენილმა მოღვაწემ უმაღლესი განათლება ეროპაში მიიღო. ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პეტრე უმიკაშვილის რჩევითა და მატერიალური დახმარებით ფ. გოგიჩაიშვილი, როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული ასალგაზრდა, 25 წლის ასაკში 1897 წელს, უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება გერმანიაში. მაღლიერების გრძნობით აღსავსე ფ. გოგიჩაიშვილი ქ. უმიკაშვილის წიგნის „ხალხური სიტყვიერების“ წინასიტყვაობაში წერდა: „ჩემი დაბრუნების შემდეგ ქ. უმიკაშვილმა მხოლოდ ორ წელწაღს იცოცხლა. არ ვიცოდი — არ გაუმსწლავს ვინ ეხმარებოდა ჩემ შენახვაში. ვიცოდი მხოლოდ: ნ. ღოღობერიძე და დ. სარაჯიშვილი. მისი სიყვდილის შემდეგ მის ქალაქში ვიპოვე ცნობა იმ პირთა შესახებ, რომელნიც მას თურმე ეხმარებოდნენ. დღესაც არ ვიცი, მათში ხომ არ გამოჩნდა ვინმე. მე იმით ვიხელმძღვანელო, რაც აღმოვაჩინე: იმ პირთ თანდათან, რამდენიმე წლის განმავლობაში, ვლი გადავუხადე მაღლიერებით და ბოდიშობით. არ გადამხდია ნ. ღოღობერიძისა და დ. სარაჯიშვილისათვის, არც პეტრესათვის. პირველი ჩვენი სწავლა-განათლების მეცენატები იყვნენ და გაცემულს არ იბრუნებდნენ, ხოლო პეტრე ღარიბი კაცი იყო და კი უნდა მიეღო განაცხადი, თუშეცა არ ვიცი, როგორ უნდა მოსწრებებოდიყო მისი დაყოფა ამაზე. სიყვდილმა მოუსწრო.“

მაგრამ არა — რომ კიდევ მოხერხებულყოფი, განა ეს იქნებოდა გადახდა? ეს იყო ვალი, რომელიც, რაგინდ მეხადნა, მაინც ვალად დარჩებოდა ჰუდამ და კიდევ დარჩა. აბა სად მეშობა ის ზღვა გრძნობა მისთვის იმ სამაგიეროს მისასღვევლად, რაც მას ჩემგან შეეფერებოდა.¹

პეტრე უმიკაშვილის ღირსეულმა აღზრდილმა მიელი თავისი სიცოცხლე უბუღიკისტერ მოღვაწეობას, ასალგაზრდობის განათლებისა და ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეს მთაწინდა. სწორედ ამიტომ დაიწახსურა ფ. გოგიჩაიშვილმა საზოგადო მოღვაწის საპატიო სახელი.

ფ. გოგიჩაიშვილი ჯერ მიუნხენის უნივერსიტეტში ესწრება პროფესორების — ბრენტანოსა და რიოსის ლექციებს, ხოლო შემდგომ კი ლაიპციგის უნივერსიტეტში. 1901 წელს იგი ამთავრებს ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის გერმანიის განყოფილების კურსს და იმავე წელს, ეკონომისტ-სოციოლოგი პროფესორის კარლ ბიუხერის ხელმძღვანელობით, წარმატებით იცავს დისერტაციას თემაზე „ხელოვნობა საკრთველოში განსაკუთრებით კი წარმოების პრიმიტიული ფორმების გათვალისწინებით“, რის საფუძველზეც მას ენიჭება ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. ამ ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი და გულდასმით შეჩრეულია ციტატები რუსულ, ქართულ და ვეროპულ ენებზე იმ დროისათვის არსებული ენოგრაფიული ნაშრომებიდან. ამ ნაშრომების ავტორებად უცხოელებიან ერთად ჩვენი თანამემამულეებიც: მ. მაჩაბელი, აბაშაძე, დ. ფურცელაძე, დ. ხიზანიშვილი, კოვალევიკი, ს. ი. ჩხიკავაძე, ი. კარგარეთელი, ზ. ფალიაშვილი და სხვები გვევლინებიან. აღნიშნულ ლიტერატურ-

მეცნიერის ღვაწაღების 100 წლისთავი

ფ ი ლ ი ზ ე

გ თ გ ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი

ზ რ თ მ ი ს ა ლ ა ხ ი ლ თ ნ ე მ ი ს

უ რ თ ი ა რ თ ლ ი ს უ მ ა ს ა ზ

ელისაბედ როსტომაშვილი



ფილიპე გოგიჩაიშვილი.

რასთან ერთად ფ. გოგიჩაიშვილს თავის სადოქტორო შრომაში „ხელისნობა საქართველოში“ გამოყენებული აქვს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და პედაგოგის ი. პ. როსტომაშვილის პირველი რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, რაც მას ძვირფას მასალას აწვდიდა.

ფ. გოგიჩაიშვილის სხენებული ნაშრომი, როგორც მნიშვნელოვანი სახასიათის გამოკვლევა, იმავე წელს ტიუბინგენში გამოქვეყნდა ჟურნალ „Zeitschrift für die gesamten Staatswissenschaft“-ის დამატების სახით, რამაც იმდროინდელ გერმანულ პრესაში გამოხმაურება გამოიწვია. ფ. გოგიჩაიშვილის მასწავლებელი კარლ ბიულერი წერდა: „მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი სემინარის წევრმა ასეთი სამაგალითო შრომა გვიჩვენა.“²

ჩვენთვის ფ. გოგიჩაიშვილის ამ ნაშრომის ღირსება, მისი მნიშვნელობა, მხოლოდ სოციოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებით არ შემოიფარგლება. მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეროვნული კულტურის პროპაგანდისათვის, ვინაიდან დასავლეთ ევროპას პირუდგინა საქართველოს შესახებ სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ენაზე არსებული მეცნიერული თუ პუბლიცისტური ლიტერატურა: მარდენის, არტურ ლაისტის, შუხარდტის, შერცბახერის, გამბას, კლაპროთისა და სხვათა შრომები; გაციონ თავისი დროის საქართველოს ადმინისტრაციულ-

ტერიტორიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაყოფა, მისი დიდი წარსული და ეროვნული თვითშეფოთობა. თავისი სამშობლოს ხატოვანი აღწერისას ფ. გოგიჩაიშვილმა დაიმოწმა არტურ ლაისტის სიტყვები: „ტურფაა საქართველო, მრავალი მისი ლანდშაფტი ღირსია სამოთხეს იქნეს შედარებული“.

ფ. გოგიჩაიშვილი იმ მეცნიერთაგანია, რომელმაც საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ვითარების ასახვის ფონზე თავისი ერის სულიერი საგანძური საერთაშორისო კულტურას დაუკავშირა. ამიტომაც ჟურნალი „კვალი“ აღფრთოვანებით გამოეხმაურა მის სადისერტაციო ნაშრომს: „სახელმთავრ ძლიერს გვიცნობს ჯერ კიდევ ევროპა და, ყოველ სხვა ღირსებათა გარდა, ამითაც ვფიქრებთა ეს შრომა ჩვენთვის“. შინაარსის გადმოცემის შემდეგ რეცენზენტი დასძენდა, რომ მეტად საკულისხმო იქნებოდა ფ. გოგიჩაიშვილის ამ ნაშრომის ქართულ ენაზეც დაბეჭდვა.³

რაც შეეხება ამ ნაშრომის მეცნიერულ ღირსებას, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის კვლევისას ეკონომიურ მასალას ნდობით იყენებდა და ემყარებოდა იმდროინდელი გერმანული ეკონომიური მეცნიერება. ფ. გოგიჩაიშვილის ნაშრომს „ხელისნობა საქართველოში“ საკმაოდ ფართო ყურადღებას უთმობს და ნშირად იმოწმებს, როგორც სერიოზულ მეცნიერულ წყაროს გერმანელი პროფესორი კარლ ბიულერი თავის ცნობილ შრომაში „სახალხო

მეურნეობის წარმოშობა“ (1904), რომელიც თავისი დროისათვის საერთაშორისო გეონომიურ მეცნიერებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და რუსი მეკულევარების მიერაც ითარგმნა და რამდენჯერმე გამოქვეყნდა.

რა თქმა უნდა, ერთ წერილში შეუძლებელია ასახოს ფ. გოიჩიაშვილის საინტერესო მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნაყოფიერი გზა. მისი ნაშრომების საერთო რაოდენობა 300-ს აღემატება; ისინი საერთოდ კაციახიისა და ჯერძოდ საქართველოს სოციალურ-გეონომიური ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს ეხებიან, მაგრამ ამ წერილის მიზანს შეადგენს, შრომისა და ხელშეწყობის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, იმ ქართული მასალის განხილვა, რომელმაც შემდგომ საბატიო ადგილი მოიპოვა კ. ბიუხერის უღრესად საინტერესო გამოკვლევაში „შრომა და რიტმი“. ამ უკანასკნელს კი გ. პ. პლენა-ნიშმა „საუცხოო გამოკვლევა“ უწოდა.

ფ. გოიჩიაშვილის მიერ მიწოდებულმა ქართულმა მასალამ კ. ბიუხერის წიგნის ერთ-ერთი თავის (თავი V) „შრომითი სიმღერების მნიშვნელობა მრავალი მუშახელის გაერთიანების საქმეში“ მთლიანი პარაგრაფი შეადგინა ქვესათაურით — „Georgien“.

კ. ბიუხერი, რომელსაც ჯერ კიდევ იმდროინდელი პრესა „გეონომიური მეცნიერების ერთ-ერთ კორიფელ თვალად, ძირითადად ცნობილია, როგორც სასახლო მეურნეობის ისტორიკოსი. იგი ბურჟუაზიული პოლიტიკური გეონომიის ე. წ. „ისტორიულ სკოლას“ მიეკუთვნება. კ. ბიუხერის მიერ წამოყენებული „მეურნეობის განვითარების სქემის“ მიხედვით საზოგადოების განვითარების საფუძვლს წარმოადგენს არა წარმოების წესი, ან წარმოების სამუშაოებზე საკუთრების ხასიათი, არამედ გაცვლის წესი. ბიუხერის აზრით, საზოგადოების განვითარების საფუძვლს პირდაპირ გაცვლის ხასიათში არსებული ცვლილებები განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს კ. ბიუხერის გეონომიური მოძღვრების ავტორიანობის

გარჩევა. მარქსისტულმა პოლიტიკურმა გეონომიამ ნათლად გაჩვენა, რომ სასახლო მეურნეობის ისტორიის შესახებ ნამდვილი მეცნიერება უნდა ეყრდნობოდეს წარმოების წესსა და მასში მიმდინარე ცვლილებებს და არა პროდუქტთა გაცვლის ხასიათში არსებულ ცვალებადობას. რადგან ეს უკანასკნელი თითოთ არის განსაზღვრული წარმოების წესით. როგორც ვხედავთ, სასახლო მეურნეობის განვითარების გეგმარბიკი მიზნები, რომელიც მარქსისტული პოლიტიკური გეონომიის მიერ იქნა დადგენილი, კ. ბიუხერი-საივს უცხო დარჩა.

თუმცა კ. ბიუხერის სოციალურ-გეონომიური კვლევის ცენტრში სასახლო მეურნეობისა და შრომის საკითხები იდგა, მაგრამ ამასთან, იგი შევიდა ხელუფლების სოციალოგიის, კერძოდ, ხელუფლების წარმოშობისა და მისი შრომასა და თამაშთან ურთიერთობის საკითხის გარკვევასაც.

კ. ბიუხერის წიგნში „შრომა და რიტმი“ გამოკვეთილად არის დასმული შრომისა და ხელუფლების, კერძოდ, შრომისა და სიმღერის, შრომისა და პოეზიის ურთიერთობის საკითხი. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ფ. გოიჩიაშვილის მიერ მიწოდებული ქართული მასალა და მისი პრეზენტაცია, ასევე ამ და სხვა მასალა საფუძველზე კ. ბიუხერის მიერ გაკეთებული დასკვნები.


ფ. გოიჩიაშვილის ქართულ მასალაში ჩანს, რომ ისეთი სამუშაოების რიტმული ხასიათი, როგორიც არის მინდორების დამუშავება, მკა, თონხა, საცხოვრებელი სახლები, ციხესიმაგრეების აშენება და სხვა, რომელთა შესრულება, ერთი შეხედვით, მუსიკის ტაქტის თანხლებით, ტექნიკური პირობების გამო თითქმის შეუძლებელია, განპირობებულია მუშაობის ჯგუფური ხასიათით.

მოთმავალია ჯგუფი, რომელიც გარკვეული სამუშაო უნდა შესრულოს, ცდილობს ერთმანეთთან შეთანხმებულად იმოქმედოს, ე. ი. შექმნას ერთიანი რიტმი, რაც დროის ერთი და იმავე მონაკვეთში ძალის ერთი და იმავე რაოდენობის დახარჯვას გულისხმობს. შრომის ეს ერთიანი რიტმი, თავის მხრივ, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, რადგან ცალკეულ მომუშავეს რიტმულობის საფუძველზე უზს-ნის დაძაბულობას და შრომას უადვილებს. შრომითი სიმღერა კი, რომლის შინაარსი და მუსიკალურ-რიტმული სურათი შრომის სახეობითა და მისი რიტმით არის განსაზღვრული, ჯერ ერთი, აძლიერებს შრომის ერთიან რიტმს და, მეორე, წამახალისებელ ფუნქციასაც ასრულებს, ამა-ვის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ამის საილუსტრაციოდ, ფ. გოიჩიაშვილს მოაქვს შრომითი დახმარების ჩიჯა — „ნაიტი“, რომელიც განსაკუთრებით საქართველოშია გავრცელებული. „ნაიტი“ იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია სამუშაოს შესასრულებლად ან-ლო და შრომითი მოზოლობი მოთმავალიებიან. ამ სამუშაოს, ჩიქულობრივ, ახლავს სიმღერა „ნაიდური“, რომელიც იდე-ნათ ხმამაღლა და მძლავრად სრულდება, რომ იგი შორ მანძილზეც ისმის. ამასთან ერთად, ისეთი სამუშაოები შორჩეული, რომლებიც სიმღერას უშუალოდ უკავშირდები-ან და ირწყვებიან. პირველ რიგში მათ რიტმს მიეკუთვნება: სიმინდის თონხა, მკა, ცელვა და სხვა.

გეონოსათვის ცნობილია, რომ სიმინდის თონხა საკმა-ოდ მძიმე ფიზიკური შრომაა, მაგრამ მისი თანხლებით სი-მღერით, რომელიც ნელ ტემპში იწყება, ხოლო შემდეგ თანდათანობით ძლიერდება, იგი საკმაოდ ადვილი შესას-რულებელი ხდება. თანდათან გაძლიერებული სიმღერის რიტმი გარკვეულ მომენტში სამუშაო რიტმს გმობავს, რის გამოც სამუშაო უფრო ცოცხალი და ინტენსიური. ამიტო-მაც მოზიბი შედარებით იოლად იტანენ დიდლას, რიდე-საც მძიმე და დაძაბულ სამუშაოს სიმღერა ახლავს.

„ხელსონობა საქართველოში“, სტუბერ.



ცნობით ფრანგ მოგზაურ გამბეს, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის მოგზაურობად, გარკვეულად შეუმჩნევია, რომ შრომისა და სიმღერის რიტმი დასასრულისათვის უფრო გაცხოველებულია, ვიდრე დასაწყისში. განსაკუთრებით იგი განაცხადებს იმ გარემოებაზე, რომ ისეთი მიმზე სამუშაოს შესრულებისას, როგორც არის სიმინდის თონა, მუშებს არ უნდვალდებათ მაღალი ტონისა და რიტმულად სწრაფი სიმღერის შესრულება და, რაც მთავარია, მათი ფილტვებიც ეკუთვნის ასეთ დაძაბულ დატვირთვას. ესაბოდა, მომუშავეთა ორგანიზმის აეთი დაბნელობა დიდხანს ვერ გატანს და როგორც კი სიმღერის ტემპი უმაღლეს წერტილს მიაღწევს, სიმღერაც მუშაობის პროცესთან ერთად მთავრდება.

ფ. გოგიჩაიშვილი სპეციალურად განიხილავს ნაღურის სამ სახეობას, რომელსაც სიმინდის თონის დროს მღერის ქართლში, კახეთში, იმერეთში და აღნიშნავს სიმღერის და მუშაობის ერთობლივ მახასიათებლებს, მათ კავშირს.

ასევე განიხილავს იგი სხვა შრომითი სიმღერებსაც პურის მესია და ბალახის თიბვის დროს. ამ შემთხვევაში სიმღერისა და მუშაობის ტემპი განსხვავდება სიმინდის თონისა და მისი თანხმული სიმღერის ტემპისაგან. ამ შედარების საფუძველზე ნაჩვენებია შრომის სახეობებისა და შესატყვის სიმღერათა შორის არსებული კავშირი.

ამრიგად, ფ. გოგიჩაიშვილი ქართული მასალის საფუძველზე გვიჩვენებს ის მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც არსებობს შრომასა და სიმღერას შორის, რომ შრომის რიტმი განსაზღვრავს სიმღერის რიტმს და ამიტომაც შრომის სხვადასხვა სახეს სხვადასხვა შრომითი სიმღერა ახლავს. მართალია, სიმღერას შრომა უკავს საფუძვლად, მაგრამ დიდია ჯგერითი სიმღერის ზეგავლენა შრომის პროცესზე. ამასთან ფ. გოგიჩაიშვილია ნათელი, რომ შრომითი სიმღერა წარმოადგენს მრავალრიცხოვან მუშაობა მართვანი უბედულ, მათ გამაერთიანებელ საშუალებას, რომ შრომითი სიმღერა არის შრომის მასშტაბულირებელი, შრომითი ენთუზიაზმის გამგზავნი საშუალება, ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელის შეწყობითი პირობა.

ამიტომაც გვევლინება შრომითი სიმღერა შრომის ნაყოფიერების ზრდის მიზნულად ფაქტორად. შრომითი სიმღერა წარმოადგენს, როგორც დაქანცვლობის მომსახურება, ამდენად, შრომის შემოქმედებითი საწყისის გამაძლიერებელი მომენტია. ყოველივე ამის საფუძველზე შრომა ადამიანის მტანჯელი მოღვაწეობიდან შემოქმედებით პროცესად იქცევა.

აღნიშნული კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე კ. ბიუხერი იმ დასკვნაზე მიდის, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ხალხებთან შრომა და სიმღერა ურთიერთთან არის დაკავშირებული, რომ სამუშაოს შესრულების დროს წარმოებული მოძრაობების რიტმსა და სიმღერის ზომას შორის უკუიკავშირება. ბიუხერის აზრით, შრომასა და სიმღერას შორის არსებულ ურთიერთკავშირში განსაზღვრული როლი მუშაობას, შრომას ენიჭება. სიმღერის შინაარსი და რიტმი შრომის რიტმით არის განპირობებული და ამიტომაც შეესაბამება მას. ამდენად, ხელოვნება შრომის საფუძველზე წარმოშობილია. შრომა ხელოვნების საფუძველია.

კ. ბიუხერის სოციალურ-ეკონომიური მოძღვრების მეთოდოლოგიური პოზიციის მცდარობაზე (რომელიც ზემოთაც აღვნიშნეთ) განპირობება ბიუხერის არათანმიმდევრობა, მერყეობა შრომისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხშიც, რაც უფრო ნათლად ჩანს კ. ბიუხერის ნაშრომში „სასაბუთო მუშაობების წარმოშობა“. კ. ბიუხერი ბოლომდე ვერ ატარებს და ზოგჯერ დაღატაკის კიდევაც შრომის პირველადობის პრინციპს ხელოვნების მიმართ. გა-

დამწყვეტ მომენტში კ. ბიუხერისათვის აღმოჩნდება, რომ განვითარების ადრეულ ეტაპზე შრომა იმდენად ბუნებრივი მოვლენაა, რომ იგი უფრო თამაშის ბუნებისაა, ვიდრე შრომის, რადგან იგი მოკლებულია გეგმარუბიერებისა და განაღდასახელობის მომენტებს. ამიტომ თამაში წინ უსწრებს შრომას, ხოლო ხელოვნება — სასარგებლო ნივთების წარმოებას. ასე ირღვევა, სამწესაოდ, შრომის პირველადობის მატერიალისტური პრინციპი ხელოვნების მიმართ. ამ არათანმიმდევრული პოზიციის გამო კ. ბიუხერი, ხელოვნების წარმოშობის საკითხის გარკვევისას ზოგჯერ სუბიექტურ-იდეალისტური (ვ. წ. „თამაშის თეორია“) პოზიციებისაკენ იხრება, რის გამოც იმავე გ. კ. პლენანოვის სამართლიან საყვედურსა და კრიტიკას იმსახურებს¹⁸. გ. კ. პლენანოვი სამართლიანად მიუთითებს იმ წინადადებაზეც, რასაც ადგილი ჰქონდა ბიუხერის მიერ მოხალხი მასალასა და მის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს შორის.

აქვე უნდა შევინშნოთ, რომ კ. ბიუხერისათვის ფ. გოგიჩაიშვილის მიერ მიწოდებული ქართული მასალა შრომისა და ხელოვნების ურთიერთამოკიდებულების მატერიალისტურ გაგებას უარისსმობდა და სწორედ კ. ბიუხერის თვალსაზრისის მატერიალისტურ მხარეს აძლიერებს. ეს მასალა ასაბუთებს დასკვნებს, რომ „შრომა ასე სასარგებლო საგნების წარმოება წინ უსწრებს ხელოვნებას“.

გ. კ. პლენანოვი შრომის, თამაშისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით წერდა: „თამაში, რომ მართლაც უნსწრებდა შრომას, ხოლო ხელოვნება სასარგებლო ნივთების წარმოებას, მაშინ ისტორიის მატერიალისტური გაგება ისეთიანად, როგორც ამას „კაპიტალიზმის“ ავტორი გვთავაზობს, ვერ გაუტდება კრიტიკას და მთელი ჩემი შეხედულება ამ საკითხის ირგვლივ ყრამალა შეტრიალდება. შრომა ხელოვნების პირობით რომ ყოფილიყო, მაშინ უნდა გველაპარაკა, რომ გითნიშავა დამოკიდებული ხელოვნებაზე და არა პირიქით“¹⁹.

შრომისა და ხელოვნების ურთიერთამოკიდებულების საკითხის გარკვევისას კ. ბიუხერი სპეკულირებ ჩერდება იმ თავისუფლებებზე, რომლებიც შრომაში შეიძლება წარმოებას კაპიტალისტური წესის განვითარების პირობებში. იგი აღნიშნავს, რომ შრომა განვითარების ადრეულ ეტაპზე, ისე როგორც დღეს, არ წარმოადგენს მძიმე ჭირის, საბაზრო საკონფლიქტის. მისი ორგანიზაციას არ ეყო შროლა ანგარიშის ნაყოფი. აი, როგორ ახასიათებს კ. ბიუხერი შრომისა და ხელოვნების პარამონიას საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე: „ყველგან თამაშია და მხიარულება, სიმღერა და მუსიკა, ამხანაგობა და დახმარებისადმი მზადყოფნა, — ნაგვითა ნამდვილი სამყარო. ჩვენს დროში კი, — დაძქენს იგი, — ეს მხიარული სამყარო კულტურაში იხრის, ისევე როგორც მატერიალი იტბორება ხოლომდ იკავებში“.

იარაღების სრულყოფის ზრდასთან ერთად რიტმისა და სიმღერის როლი შრომის პროცესში თანდათან მცირდება. მართალია, ადამიანი შრომის დიდ ნაწილსავე თავისუფლდება, სამაგიეროდ, იგი ნაკლებად თავისუფლია მოძრაობებში და მეტად არის დამოკიდებული შრომის იარაღზე, რომლის ტექნიკური ბატონობა ადამიანზე დროთა განმავლობაში ამ იარაღის მფლობელის კონომიურ ბატონობად იქცევა. განვითარების პროცესში შრომა თანდათან უკავადებს ყველა უცხო ელემენტს, სცილდება დინამიურ ხელოვნებას, თამაშს, რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და სერიოზულ, ცხოვრებისეულ საქმიანობად იქცევა.

პირველი მანქანები ხელის სამუშაო მოძრაობებს ასრულებენ. ამიტომ მათი მოძრაობა რიტმულია და თან ახლავთ ძველი მუსიკა. ახალი მანქანები კარგავენ მოძრაო-

ბის მუსიკალურ რიტმულობას: იკარგება შრომის ძველი მუ-
სიკა, რომლის მოსმენა კიდევ შეიძლებოდა რიტმულად მო-
მუშავე პირველი მანქანების კაკუნში. მექანიზმების სწრა-
ფი მოძრაობის დროს მხოლოდ გაურკვეველი, გამაბრუნებ-
ელი ხმაური ისმის. მართალია, მასშიც შეიძლება რაღაცა
რიტმის შეგნა, მაგრამ ჩვენი გრძნობებისათვის იგი აღარ
არის რიტმული, რის გამოც იგი ჩვენში მხოლოდ უსამიშო-
ვნებისა და უკმაყოფილების გრძნობას იწვევს.

იარაღი ადამიანის მსახურს კი არ არის, არამედ ადამ-
იანზე ბატონობს. შრომის ტექნიკის გრძლიობა და ტემპი
შრომის მომუშავე აღარ არის დამოკიდებული. მუშა მოვაჯ-
ვლითა მანქანის მკადრს და ამასთანავე უაღრესად ცოცხალ
მექანიზმზე. ამიტომაც კარხანაში მუშის შრომა დამქან-
ცმულია.¹⁰

„ხელოვნება და ტექნიკა, — აღნიშნავს ბიუხერი, —
თანამედროვე საფეხურზე მეტისმეტად დასცილდნენ ერთ-
მანეთს. დინამიურ ხელოვნებას არავითარი დამოკიდებუ-
ლება არა აქვს არც მეცნიერებასთან და არც ტექნიკასთან.
მუშის ცხოვრებაში ისინი არავითარ როლს აღარ თამაშო-
ბენ. ცალკეული ადამიანის ცხოვრება, შემოქმედებითი მო-
მენტის მხრივ, უფრო ღარიბი გახდა. შრომა მისთვის არც
მუშაკაა და არც პოვნია. საბაზრო საქონლის წარმოებას
მუშისათვის აღარ მოაქვს დიდება და პატივი, როგორც ამ
ნივთის მფლობელისა და მომხმარებლისათვის. ბაზარი სა-
ქონლის უამრავ რაოდენობას მოითხოვს და ინდივიდუა-
ლურ ნიჭს გაშლის საშუალებას აღარ აძლევს. გარკვეული
პროფესიით გაპარობებულ მოღვაწეობა უკვე აღარ არის
თამაში და მხიარული ტკბობა. იგი მიმე უმოკლდება იქ-
ცმია.“

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, — დასძენს
დასაბრუნო ბიუხერი, — რომ კაცობრიობამ დიდი წარმა-
ტება მოიპოვა. შრომის დიფერენციაციისა და დაყოფის
წესებით ტექნიკამ და ხელოვნებამ არაჩვეულებრივი ნა-
ყოფიერებას მიაღწია. შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა. ჩვე-
ნი სამეურნეო სიმდიდრე გაიზარდა და არ უნდა დაგვარ-
გოთ იმის იმედი, რომ ოდესმე ტექნიკისა და ხელოვნების
უფრო მაღალი რიტმული ერთიანობა მიიღწევა, რაც სრულ
კვლად დაუნებრებს სიმხიარულებს, ცხოველმყოფელობას,
ხოლო სხეულს — კარმონიულ განვითარებას, რითაც პირ-
ველყოფილი ადამიანების საუკეთესო წარმომადგენლები
გამოირჩეოდნენ“.

ასეთი იყო კ. ბიუხერის თვალსაზრისი შრომის, თამა-

შისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.
როგორც საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე,
ასევე კაპიტალისტური წარმოების პირობებში; აგრეთვე
შრომისა და ხელოვნების მომავალ, უფრო მაღალ რიტმულ
ურთიერთობაში. ასეთი იყო თვალსაზრისი, რომელშიც გარ-
კვეთილი ადგილი ეძირა მასალას საქართველოს სინამდვი-
ლიდან.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მართა-
ლია, ფ. გოგინაშვილის გერმანიაში კ. ბიუხერის მეცნიერ-
ული ხელმძღვანელობით უხსენებდა მუშაობა, მაგრამ იგი
ბრმად არ გაჰყოლია თავისი მასწავლებლის — „ურტუა-
ზიური ეკონომიური სკოლის“ ხაზს. ფ. გოგინაშვილი არ
იზიარებდა ბიუხერის თეორიას პირველყოფილი თემური
წყობილების უარყოფის შესახებ. მისი მეცნიერული განვი-
თარების გზა წარმართებოდა ბიუხერის სოციალ-ეკონო-
მიური მოძღვრებიდან მარცხნივ — ისტორიის მატერია-
ლისტური გაგებისაკენ, მატერიალისტური სოციოლოგიისა-
კენ, მარქსიზმისაკენ.

ამიტომ, შემთხვევითი არ იყო ის დიდი ინტერესი და
სიყვარული, რაც გამოიჩინა შემდგომ ფ. გოგინაშვილმა
მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების თარგმნის საქმეში. მი-
სი მონაწილეობით გამოდის „კაპიტალის“ პირველი ტომი;
მის მიერ ითარგმნა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკი-
კისათვის“; „ფილოსოფიის სილაბაკი“, „კაპიტალის“ II
და III ტომები, I და II წიგნი; „კომუნისტური პარტიის მა-
ნისფესტი“ და სხვ. საქართველოს ინტელექტუალთა და მოეულ
ქართველი ხალხი ფ. გოგინაშვილის თარგმანებით ეჩიარა
მარქსიზმის ფუძემდებელთა შრომებს. მასვე ეკუთვნის აგ-
რეთვე ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგე-
ნელთა ა. სმიტისა და დ. რიკარდოს ნაშრომთა თარგმანე-
ბები.

ფ. გოგინაშვილი თბილისს უნივერსიტეტის დამაარ-
სებელთაგანია. მისი არსებობის პირველივე დღეებიდან
კიბხულობდა ლექციებს სახულებისმეტყველო ფაკულტე-
ტებზე და ზრდდა საბჭოთა საქართველოს ეკონომისტთა
კადრებს. ვინ მოთვალის პროფ. ფ. გოგინაშვილის აღხ-
რდილობა ნამოღვაწარს.

დღეს ქართველი ხალხი მადლიერების გრძნობით იგო-
ნებს სავაწმოსოლი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის
ფილიავე გოგინაშვილის ამავე ჩვენი ეროვნული კულტუ-
რის წინამძე.

შენიშვნები:

1 ციტირებულია ბ. გუგუშვილის წერტილის მიხედვით „მეც-
ნიერების დამსახურებელი მოღვაწე პროფესორი ფილიპე გაბრი-
ელის ძე გოგინაშვილი. სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერ-
სიტეტის შრომები XXXIV ა—ბ, თბილისი, 1948 წ., გვ. 8.
2 გაზეთი „კვლი“, 1901 წ., № 15, № 29, № 30.
3 უნდა აღვნიშნოთ, რომ ფ. გოგინაშვილის ამ ნაშრომის
„ხელოვნება საქართველოში“ თარგმანი შესრულებულია მიმ-
დინარე წელს ისე ფინანსების კათედრის დოცენტის გ. გამრეკე-
ლის მიერ და მოთხვედლი მას მაღალ მიღებს.
4 კარლ ბიუხერი, „შრომა და რიტმი“, მ., 1923, გვ. 197-207,
ზოგიერთი უმნიშვნელო განსხვავებით, მოცემულია ფ. გოგინა-

შეჯლის ზემოხსენებულ მონოგრაფიულ ნაშრომში „ხელონსო-
ბა საქართველოში“.
5 იქვე, გვ. 199-202.
6 იქვე, გვ. 41.
7 კ. ბიუხერი, „სახალხო მეურნეობის წარმოშობა“, 1923 წ.,
გვ. 23-24.
8 გ. პლენავიკი, რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები,
ტ. V, მ., 1958, გვ. 340-341.
9 იქვე.
10 კ. ბიუხერი, „შრომა და რიტმი“, გვ. 311.

სპრავკი რახმანოვიჩის ხსოვნის საღამოზე

საინტერესო ღებოუტი



რევაზ გაბიჩაძე

პამპრუში კონცერტები ჩვენში იშვიათად როდი იმართება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ასეთ კონცერტებზე კანტიკუნტად თუ შეხედებით სოლო სიმღერას. გაცილებით ნაკლებია კამერული საღამოები, სადაც მთელი პროგრამა მხოლოდ ვოკალური მუსიკით იყოს წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება ისეთი მომღერალი, რომელსაც თავისი შემოქმედება ამ გზით წარემართოს, მისი მთელი მოღვაწეობის მიზანი კამერულ-ვოკალური მუსიკის შესანიშნავი ნიმუშების პროაგანდა ყოფილიყოს. ეს, ერთი მხრივ, გასეზივებ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ კამერული შემოქმედების სფერო მუსიკის მაღალ კატეგორიებს მიეკუთვნება და იგი ხელოვანისგან მოითხოვს მაღალ სამშეშრულებლო კულტურას, დახვეწილ, ფაქიზ გემოვნებას, ანაბმელურობის გრძნობას და, თუ გნებავთ, ერიგვარ „თავგანწირვას“, რადგან კამერული მომღერლის კარიერა ვერასოდეს შედრდება საოპერო მომღერლის საყოველთაო პოპულარობასა და სახელის მოხვეჭას.

ასეა თუ ისე, ამას წინათ გამარტულ სოლო კონცერტზე რესპუბლიკის დამსახურებელმა არტისტმა, თბილისის ზ. ფილასვილის სახელობის

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა ტატიანა მალიშევამ „გაბედა“ და მსმენელის წინაშე წარსდგა დიდი და რთული პროგრამით, რომელიც მთლიანად მიძღვნა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის ს. რახმანინოვის შესანიშნავ ვოკალურ შემოქმედებას.

ტ. მალიშევას ჩვენი მაყურებელი იცნობს, როგორც ოპერის ერთ-ერთ წამყვან, ნიჭიერ მომღერალს, რომელსაც ვოკალური მონაცემები ხელს უწყობს შექმნას საინტერესო საოპერო-სცენური სახეები. ამიტომ ყოველმხრივ მისასალმებელია მომღერლის მისწრაფება მისთვის სრულიად ახალი სფეროს — კამერული მუსიკის დარგში მოღვაწეობისაკენ.

ბევრი რამ საინტერესო აღმოჩნდა ტ. მალიშევას შესრულებაში. რაც მთავარია, მომღერალმა გამოამჟღავნა კარგი გემოვნება, კამერული ხელოვნების საიდუმლოების დაუფლებისაკენ სწრაფვა. მან შეძლო დარბაზთან ისეთი ემოციური კონტაქტი დაემყარებინა, რომელიც შესაძლებელს ხდის რახმანინოვის სარომანსო შემოქმედების განსაკუთრებული სურნელების აღქმას.

ტ. მალიშევას ვოკალის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი ხმის ელასტიურობა და კარგი ნიუანსირება. ამ

მხრივ ნატიფი შესრულებით აღსანიშნავია რამდენიმე რომანსი, რომლებიც გამოირჩევიან არა დრამატული დამაბულობით, არამედ ნაზი, ლირიკული ჟღერადობით, რაც უთუოდ ახლათ მომღერლის შემოქმედებით ბუნებასთან, ასეთებია: „Дитя, как цветок ты прекрасна“, „Ночь печальна“ და განსაკუთრებით „О, не грусти“, რომელიც მომღერალმა მომხიბლავი სინაზით, შინაგანი სითბოთი გადმოგვცა.

პირველ განყოფილებაში ასევე კარგ დონეზე იყო შესრულებული „Она, как полдень хороша“, „იასამანი“ და სხვა რომანსები. ყველა ეს ნაწარმოები განწყობილებით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან; ამიტომ მომღერალს ფერების მეტი მრავალნაირობის გამოჩენა მართებდა. უფრო საჭირო იყო, მეაფთოდ გასმოდა ხაზი თითოეული მათგანის დამახასიათებელ თვისებებსა და შტრიხებს.

მეორე განყოფილება ტ. მალიშევამ მეტი დამაჯერებლობით ჩაატარა; აქ მან დასძლია ერთგვარი ღელვა, რომელიც სავსებით ბუნებრივია ასეთი საპასუხისმგებლო და რთული პროგრამის შესრულებისას.

უნდა აღინიშნოს რომანსი „Полно-била я на печаль свою“,



ტატია მალიშევა ს. რაზმანიოვის
ხსოვნის საღამოზე.

რომელიც მომღერალმა „ერთი სუნთქვით“, ლირიკული ფერადოვნებით შეასრულა და აგრეთვე „ნაწყვეტი მიუსდეს“, სადაც ტ. მალიშევამ შესანიშნავად გახსნა შინაგანი დაძაბულობით აღსავსე მუსიკალური სურათი. საერთოდ, მეორე განყოფილებაში შესრულებული ნაწარმოებები გამოირჩეოდნენ განწყობილების მრავალფეროვნებითა და განცდათა სიუხვით. მომღერალმა თითოეულ რომანსს გამოუნახა შესატყვისი მუსიკალური ფერები, დაამტკიცა,

რომ მას შესწევს უნარი წარმატებით იმუშაოს კამერული მუსიკის დარგში, იყოს ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტი ვოკალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებისა.

ტ. მალიშევას წარმატება გაინაწილა ფორტეპიანოს პარტიის შემსრულებელმა, ნიჭიერმა პიანისტმა ქალმა მ. ქურთოშვილმა, რომელმაც სერიოზული და ნაყოფიერი მუშაობა გასწია მომღერალთან თითოეული რომანსის გააზრებულად შესრულებითვის. აღსანიშნავია, რომ მთლიან-

ნად შესრულება აღნიშნულ კონცერტზე გამოირჩეოდა დახვეწილი გემოვნებით, ანსამბლის კარგი გრძნობით.

კონცერტის დასაწყისში მ. ქურთოშვილმა წარმატებით შეასრულა აგრეთვე ს. რაზმანიოვის ორი პრელიუდი და მის მიერვე დამუშავებული მ. მუსორგსკის „გოპაკი“.

კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე, რაც უთუოდ ნიჭიერ შემსრულებელთა შემდგომი წარმატების უდავო საწინდარია.

ს. რაზმანიოვის ხსოვნის საღამოზე.



შემთხვევითი არ არის, რომ გასულ სეზონში დადგენილი სპექტაკლებიდან მხოლოდ თანამედროვეობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს გამოვეყვით. თანამედროვეობის პრობლემატიკა თეატრის ცხოვრებაში თეატრის მუდმივმოქმედი ფაქტორია, მისი არსებობის აზრი და გამართლებაც, თანამედროვეობა ერთნაირად სავალდებულოა ყველა შემთხვევაში და იგი № 1 პრობლემაა უნდა დავისახოთ.

საკითხის გაუბრალოება იქნებოდა, რომ თანამედროვეობის პრობლემა მხოლოდ თემატიკით შემოგვეზღუდა, ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ მაინც პრობლემის ერთი მხარეა. ამ მხრე აკადემიურ, პროფესიულ თეატრებს შეიძლება სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს ნებისმიერმა თეატრმა, მათ შორის სახალხო თეატრებმაც. აქ არანაკლები სიმწვავეთ დგას თეატრალური სახიერების, საუკეთესო მონაპოვართა (მსოფლიო თეატრალური სიახლეების გათვალისწინებით), მნიშვნელოვანი თეატრალური პროცესების წყდლომით და მისი წინსწრაფვის ჟინით რეჟისორული, სამსახიობო თუ მსახერხოლმეცნიერული ჯგუფების დონის საკითხი.

თანამედროვეობის თემატიკა მთელი ძალით ვერ აღწევდა სცენაზე თუ მას არ მოეძებნა ასევე აქტუალური, თანამედროვეი ფორმა და სახე. თეატრში ცალმხრივად, მხოლოდ თემატიკური აქტუალობით გააზრებული თანამედროვეობა საქმის ნახევარია. ეს უფრო აგტორიის დამსახურებაა, ვიდრე თეატრისა. დღეს კი თეატრის მიმართ სულ სხვა მოთხოვნილებებია წყვეტილი. პიესის ინტერპრეტაციის რეჟისორი ჩვენ აღარ გვხვიაღეს, პიესის კოპირება თეატრს შემოქმედებით აქტივში არ ჩაეთვლება.

საგონიბოლად გაიხარდა თეატრის პროცესში წვდომის შესწავლა, გაფართოვდა ცოდნის არე და პოზიციონირება. დღევანდელი მაყურებელი ის აღარ არის, რაც გუშინ იყო და არც ხვალინდელი დამესაკუთება აწინდელს. ინფორმაციის ულავი წყარო ათასნაირი არსებით იყრება მაყურებლის ცნობიერებაში და ჯერ კიდევ გუშინ ჩვეულებრივი მაყურებელი დღეს უკვე გათვითცნობიერებულ თეატრალად გვევლინება. ორიენტაცია ახლად მაყურებელზე უნდა აიღოს თეატრმა. ყველა სხვა პოზიცია მცდარი და მიუღებელია.

მაშ ასე, დღეს ტრიუმფირატი განაგებს თეატრის სკეპტებს. მაგრამ ყველა შემთხვევაში, როგორც თემატიკის, ისე თეატრალური აზროვნებისა და მაყურებლის შესაფასებლად, მას დაესმის წინასწარი — თანამედროვე. თანამედროვე თემატიკა, ესე იგი სადღესისა და საჭიბობროტო სათქმელ-სატიკარი; თანამედროვე თეატრალური აზროვნება, ესე იგი სიახლისა და ნოვატორობისაკენ სწრაფვა მსოფლიო თეატრალური პროცესების გათვალისწინებით; თანამედროვე მაყურებელი, ესე იგი მოწინავე, გათვითცნობიერებული, თანამედროვე მოქალაქის, თანამედროვე ახალგაზრდის ეპითეტიკის შინაარსით და არა მხოლოდ შენა თანამედროვეობის სახით. ჩვენს გვერდით ხომ ცხოვრობს ბევრი დამაინა, მაგრამ ყველას როლი უწოდებთ თანამედროვე ახალგაზრდას, თანამედროვე მოქალაქეს. ორიენტაცია მაყურებელზე მხოლოდ ამ ეპითეტიკის ღირსშესანიშნავ საზოგადოების მოწინავე ფენაზეა საფარაველი.

აქ რჩეულიათვის ხელოვნების ქაღავებს ტყუილ-უბრალედ დავუწვევებ ძებნას, რადგან საფუძველი არ არსებობს.

მაგრამ მაინც რატომ ხდება, რომ ისტორიულ პიესას ჩვენ თანამედროვეს ვამოთხოვთ, რატომ უპოქინებენ თეატრებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ თანამედროვე რეპერტუარს? ანდა რატომ, რომ განსახილველი საკითხები სწორედ თანამედროვე თემატიკის, საბჭოთა თემატიკის სცენურ განხორციელებას ეძღვნება. თეატრიც და,

თ ე ა ტ რ ი ს

თანამედროვეობა

სახაოთა თემატიკა პ. ბარკანოვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის
სცენაზე 1972-73 წლებზე სეროზი

ალექსანდრე შალუტაშვილი

საზოგადოდ, ხელოვნების ყველა დარგი ხალხის, ერის გათვითცნობიერებისათვის, მისი ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის მძლავრ საშუალებად გვესახება. ხალხის აღზრდა თანამედროვე ადამიანის სულისა და ცხოვრების ლაბირინთებში წვდომა, მაღალი იდეალების ქადაგება, ანდა შოლტის ძალა გაცილებით უფროა და საგრძნობა თანამედროვე ცხოვრების მაგალითზე, ვიდრე ამას ჩვენ ვახერხებთ ისტორიულ ან კლასიკურ ნაწარმოებთა მომწველიებით, ქარაგმული, იგავარაკული საშუალებებით და ასოციაციებით. შემოქმედითი გზით ნათქვამი, უშუალოდ, აშკარა თქმას ვამჯობინებთ. მოყვრის პირობა მთავრის სიმრძელ ჩვენზე სიძლიერის უტყუარი ნიშანია.

დრამატული მწერლობისა და თეატრის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ყველაზე საგულისხმო და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მოქალაქეობრივი პრინციპულობის შედეგად ჩვენში თანდათანობით იშლება ზღვარი სიმართ-

ლის ორნაირ გაგებას შორის: მახლობელ ადამიანებში, მეგობრებში სათქმელ სიმაღლესა და ხმაშალა, თეატრის სცენიდან ნათქვამ სიმაღლეს შორის. ამ ორი სიმაღლის ზღვარის მოსახიბად თამაშ იბრძოდნენ ქართული დრამატული შემოქმედება და თეატრი. მათ სასახლედ უნდა ითქვას. რომ ეს ბრძოლა დაწყებული ერთ კიდეზე ადრე, როდესაც სიმაღლის თქმის არცთუ ხელსაყრელი ატმოსფერო სუფევდა. დაიწყო ადრე და დღეს უკვე გამაგრებული გვირგვინდება.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის დღევანდელ ატმოსფეროში ცარიელი სიბნელე და გაბედულება ფელეტონურ სიტამებსა და გაბედულებას ვერ გასცდება, თუ ნაწარმოებს მაღალი ესთეტიკური ღირებულება არ ექნება. უამისობა უკვე აღარ გვარავს. ასეთ „კრიტიკულ“ შემოხტომა და ჯიბითი გამოსტომების დაემსგავსება. პრესაში უამრავი მახლობელი ფაქტი იბეჭდება, მაგრამ მათი გამოყენება და უზრუნველყოფა, ფაქტების ღრმა, მსატყურელი განხილვის გარეშე, როდესაც ფაქტს მიღმა მოვლენის არსი არ არის გახსნილი, სპეკულაციური დაწყების ჩვენს დრამატურგიასა და თეატრს. ამან შეიძლება საშუაო ტენდენციულ შუას — კრიტიკა კრიტიკისათვის.

ასეთია ზოგადი მოსაზრებები თანამედროვეობის პრობლემაზე დაკავშირებით. ეს ზოგადი კი ყველა თეატრისათვის ერთნაირად საგაღდებელია. მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს კონკრეტულ თეატრთან. კონკრეტულ დრამატურგიასა და კონკრეტულ სარეჟერატურო პოლიტიკასთან. დაიწყოთ ამ უკანასკნელით.

საბჭოთა თეატრის ამსახველი სამი ნაწარმოებიდან ორი — ი. ვაკელიის „პარაკუნე“ და ა. ჩხაიძის — დ. ლის „წიგნი მთაზე“ ერთი საკითხია კრიტიკისათვის. ისინი ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებებს ამჩვენებენ. თვალსაწიურ კრიტიკული პათოსი მსჭავჭავს. გ. ხუბუაშვილის დრამასაც „მისი მამა მართალი“ ეს ფაქტი უკვე მრავალსიმთქმელია. იგი უშუალო გამომავლებზეა ჩვენი პარტიის პოლიტიკური ხაზისა და, რაც მთავარია, ხალხის ფიქრების, მისი გულისთქმის, სურვილების უშუალო გამომავლის წარმოადგენს. აქვს, ხალხის გულსთქმის ჩვენი საზოგადოების მოწინავე, პროგრესული უმრავლესობის ძალის სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სარეჟერატურო პოლიტიკის საქმეზე უნდა ითქვას, რომ სამივე პიესა რეჟერატურში შევიდა და განხორციელდა გაიკლებით ადრე, ვიდრე ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებების მარტების უკონკრეტოების მიხედვით ნიშნულგაქრული, თვითკრებული საქმეა მიცემოდა. თეატრის მიერ გამოჩენილი მოქალაქეობრივი სიბნელე და გაბედულება იმ ტენდენციის თანხვედრისა, რაც მარჯანიშვილის თეატრის ტრადიციად მოსდგამს, როცა საქმე მიდგება ხალხის გულისთქმის გამომხატველ რეჟერატურის შერჩევასა და განხორციელებას.

ეს თეატრი მუდამ ხალხის სიყვარულით იყო გარემოწერილი. ამასი მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის სცენის დიდმოხატვებს, მაგრამ ასეთი სიყვარულის მოსახიბად არანაყოლებო როლს თამაშობდნენ ხალხის ფიქრების, მათი სურვილების თანამაღლა განმცხადებელი პიესები, რასაც მუდამ დიდი ადგილი ეთმობოდა მარჯანიშვილის თეატრის სარეჟერატურო პოლიტიკაში.

გასული სეზონის რეჟერატურაში განხორციელებული თანამედროვეობის ამსახველი სამი პიესა თანხმდებოდა იმ აქტუალური, საკუთრივ საკითხებისა, რაც ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრშია

მოქცეული. ასეთ შემთხვევაში ხელოვნების, საზოგადო, კერძოდ კი თეატრის — პარტიის უერთგულესი თანამშრომლის გათვალისწინებით, ლიტონი ტყვედ არ გაიხსნის. ამის დასაჯური მიმდინარე წლის 20 თვედრალი იყო, როდესაც რესპუბლიკის პარტიული აქტივი საგანგებოდ ეწვია მარჯანიშვილის სახელობის თეატრს ალექსანდრე ჩხაიძის პიესის სანახავად.

სწორმა, უტყუარმა სარეჟერატურო პოლიტიკამ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარმატებით გადაწყვიტა თანამედროვეობის პრობლემა (თეატრის თვალსაზრისით).

მაგრამ როგორ დასა ამ თეატრში თეატრალური სახეობების, თეატრალური ჯიშოვნების დონე, ასევე აქტუალურად პასუხობენ თუ არა ისინი თანამედროვეობის პრობლემებს საჩუქისორო ხელოვნების, სამსახიბო განსახიერების, დეკორატიული გადაწყვეტილების თვალსაზრისით? თუ ამ სამი სპექტაკლით გავსივრებდებით თეატრის შემოქმედებით მსატყურელ სახეს (და ეს არც არის გასაკვირი), არც თუ ისე სახარბილო სურათი წარმოგვიდგება აწინდელი მდგომარეობისა თუ პერსპექტივის თვალსაზრისით.

რადგან სიტყვა მსატყურელ სახეზე ჩამოვარდა, დაიწყოთ ამ უმთავრესით. ცხადია, ეს ძველად გადასწყვეტი პრობლემა, თანაც იმ რთული კატაკლიზმების შემდეგ, რაც ამ თეატრმა ბოლო წლებში განიცადა. მაგრამ დადგა დრო, როდესაც ამავედამ მოთხოვნილებამ განიხილეთ პრეტენზიის უფლება მოიპოვა. დღეს მოვალე ვართ თეატრს ბევრი რამ მოვთხოვო. ქებას და გუნდურად კმაყვამ დასმასხებულმა, ზოგჯერ დღესასწაულებელმა მოადუნა თეატრისა და თეატრალური საზოგადოებრიობის გამაღვილებელი ინტერესი. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ბედის, მისი მსატყურელ სახის, შემოქმედებითი სულის მიმართ. თეატრის აწინდელი მდგომარეობა არ ითვება მანუაშეშეშე სურათის საგაღდებელი დღის განსახივრებად. გარუკვევული და ბუნდობიანი თეატრის შემოქმედებითი, მსატყურელ პიროვნება როგორც სარეგისორო ხელოვნებაში, ისე სამსახიბო შესრულებაში.

თეატრალური ხელოვნების განვითარების დღევანდელ ეტაპზე აკადემიური თეატრის მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩათვალოს ამა თუ იმ საშუალო, ანდა კარგი სპექტაკლის ჩვენებით. მით უფრო, თუ ამ გზასა და საშუალოს ცვლილ ემატება. თეატრალური ჯიშოვნების თანამედროვე დონე შორს გასცდა იმას, რასაც ჩვენ მარჯანიშვილის თეატრის ზოგიერთ სპექტაკლებში ვხედავთ.

თეატრმა ექვსი სეზონი დასის შევსებას თუ დაკომპლექტებას შეაღია. იგი ამ მხრივ ყველაზე მარტვი, იოლ გზას დაადგა: რამდენი კარგი მსახიობი შეინათა, იდენი თავის თეატრში გადმოიხილა. ვარსკვლავები, რომლებიც სხვა თეატრების სცენებზე ბრწყინავდნენ (პერიფერიულ თეატრებს ვგულისხმობ), აქ ჩაჩნენ. საქმე, რომელიც ისინი ამ თეატრის სცენაზე ეწევიან, ვერ ანახადურებს იმ დიდ ზარალს, რაც მაიამა წამოსხმად მოუტანა პერიფერიული თეატრებსა და თავად ამ მსახიობების თავმოყრიბ.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმ ჭეშმარიტებაზე, რომ თეატრი იქნებოდა თანამართლები ერთიანობით და არა ინდივიდი მსახიობების თავმოყრიბ.

ის აზრი კი, რომელიც გაავრცელდა, ალგუნდობდა ანაღად დაბადებდა ჯველ, ჩვენთვის ნაყბო მსახიობის, რეჟისორს და მსატყურესა, არ სჩანს, მოვლის რელიეფურობით არ იკვეთება თეატრის მუშაობაში.

აღნიშნული გარემოება ართულებს ჩვენს ამოცანასაც,

რადგან ხელთ არ გვაქვს გარკვეული ესთეტიკური კრიტიკური — რა საზომით მივედგეთ განსახილველი სპექტაკლების შეფასებას. ის, რაც ძველად იყო, დღეს აღარ არის; ჩვენ არ მიგერიტონ წარსულს და არც მოვითხოვთ მის დაბრუნებას, მაგრამ წუხვართ, რომ ახალი არ ჩანს, არ ისახება ახალი მიმების კონტურები, რათა რაღაც მოდელი მასზე დაყრდნობით შეიმუშავდეთ. ერთიად გვჩნება — თანამედროვეობის სამი სპექტაკლი შეფასებით მხოლოდ კარგი, ან ცუდი სპექტაკლების ზოგადი საზომით, მაგრამ ეს ზოგადი მაინც გათვალისწინებული კონკრეტული დაგვბრუნებს. საერთო საზომი და მასშტაბები აქ გარეშე კაცის, ყოველ შემთხვევაში, არაგულშემატკივრის პოზას დავმსხვავებთ. მხედველობაში მაინც მუდამ კონკრეტული თეატრის (მარკანიშვილის თეატრის), კონკრეტული პერიოდის (ბოლო წლების) კარგი და ცუდი სპექტაკლების შედარება-შეპირისპირებით უნდა აიწონო-გაიზომოს.

„აპრაკუენე ჭიმიკი ელი“ თითქმის სამი ათეული წლის წინათ დაიწერა. ეს პიესა დღესაც ცოცხლობს და გარკვეულ თეატრალურ და შემეცნებით ინტერესს აღიზნავს. პიესის სიციფელსუნაზიანობა ამ ნაწარმოების სასარგებლოდ ლაპარაკობს. მიიწვევს ბურჟუაზიას არც შემდგომ გადაფარებას მას. აპრაკუენე ხატობისა და ყვარყვარის მძანდფივი გასლავთ. მართალია, ისინი არ არიან სიამის ტყულები, მაგრამ არც ისე უცხოები გასლავთ, რომ მათ შორის ნათესაური კავშირი არ შეიმჩნეოდეს. აპრაკუენე, მსგავსად პირველი ორისა (ყვარყვარე, ხარის-ტრის), შესანიშნავ მასალას აწვდის მასხიბის აქტიურული განსახიერების, მნიშვნელოვანი, მასშტაბური სახის შესაქმნელად. ნაწარმოებში თუნდაც ერთი ასეთი სახე უკვე დიდი მონაპოვარია.

სახის მიმართ ინტერესი და ყურადღება დღესაც არ გაქრალა. ცხოვრობიდან ამოხიდილი ეს სახე თეატრის სცენის საშუალებით ისევ ცხოვრებას ეკოლოგდება და უბრუნდება. მაყურებელი არც დღეს აღიქვამს ამ სახეს უცხოოდ და ატანობრად. აღბათ ეს ინტერესი ამოძრავდება თეატრის, როცა იგი ხელს კავშირს აქვს. ვაჟული ყველაზე პოპულარული პიესის დადგმა. აღბათ იმიტომ გამბობთ, რომ სხვა ინტერესი მარკანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლში არ შეიმჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დადგმამ ორი რეჟისორი გამოიყვალა.

სარისკოსა და საუბალოდეს თეატრმა ნაღდი და განანტრებული ამჟამინა. ცნობილი გასდა, რომ ქუთაისში რიგირი სპექტაკლი შეიქმნა ამ მასალაზე და იგივე თუ განმეორდებოდა, ურიოდ არ იქნებოდა. ასე ვარაუდობდა თეატრი. ამიტომაც დადგმაზე მან გადაწყვიტა მოეწვია ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თ. მესხი და ამავე თეატრის ზოგადი მხატვარი ჯ. ფარუშვილი. ასეც მოხდა მით უფრო, რომ ამ სადადელი ჯგუფის მოწვევის მოსურნე თავად ავტორიც იყო.

რას ვევერებნა ეს ფაქტი? ჩვენი აზრით, აზაფერს საგულისხმოს, ყოველ შემთხვევაში, ისეთი რეპერტუარის თეატრის, როგორიც მარკანიშვილის თეატრია, არ შეიძლება ამოძრავდეს მხოლოდ ერთი რიგირი სპექტაკლის შექმნის ინტერესები. ეს ცოტაა მისთვის. თუნდაც ეს ფაქტი პრინციპის უქონლობის ნიშანია. აქ ავტორი იმ ელემენტარულ, გულუბრყვილო გზას დაადგა, რაც მან დასის დაკომპლექტების საქმეში გამოიჩინა: ნიჭიერი, ნაცადი მსახიობი; ნიჭიერი, ნაცადი რეჟისორი!

ყველა ვარაუდო თითქმის გამართლებული უნდა იყოს, ყველა თამაშუქი განაღდებული. მაგრამ არის კია ასე? ვაი, რომ არა. აქ მხედველობის გარეშე დარჩენილი მიველი რიგი მომენტები, კერძოდ: რამდენად შეერწყმის ეს

რეჟისორი ამა თუ იმ თეატრის მხატვრულ სტილს და. პირობით, კოლექტივი — რეჟისორს, რა სიახლე შეიძლება მოიტანოს ახალმა რეჟისორმა, რა არის საგარეშე მხატვრული სინამდვილის ძიებათა სფეროში. ეს კითხვები არც წამოჭრილა, რადგან ხელშეშასები შემოქმედებითი გეზი და პროგრამა არ ჩანს. დარჩა მხოლოდ კარგი სპექტაკლის შექმნის სურვილი. მაგრამ როგორია შედგენილი კარგი სპექტაკლის შესაქმნელად ხელსაყრელ სიტუაციაშიც კი, როდესაც კოლექტივი არ არსებობს გარკვეული შემოქმედებითი პროგრამა?

წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდ სიმძნელეს აწყდება რეჟისორი, როცა საკმე სპექტაკლის მხატვრულ ორგანიზაციას ეძებს. სწორედ ამ სიმძნელეს წააწყდა რეჟისორი თამაშ მესხი. მან არ იცის რა სიახლეებით იმეღმდგენელოს, რათა თეატრის თასაზიარი და თანამშრომელი რეჟისორის რეპერტუარია განიმტკიცოს. სურვილი დიდი აქვს. მაგრამ ნადავს მყარს ვერ შეადგ, ამიტომ მან მიმართა ნაცად, ტრადიციულ გზას, რომელიც, მისი ვარაუდით, თეატრის ნაცად, გამომრძედილი ტრადიციაც იყო. ასე მივიღეთ ტრადიციული სპექტაკლი და არა მისი გარგრელება. მსგავსი შემთხვევების გამეორება (და ეს არც ისე იშვიათია) თეატრს ტრადიციულობის სამიშ საფრთხეს უქადის.

ამრიგად, დადგმული სპექტაკლი უნებურ შედარებას ბაღებს, ფარული პოლემიკის სახეს სძენს თამაშ მესხის „აპრაკუენეს“ მარკანიშვილის თეატრის ადრეულ სპექტაკლებთან და ამ შედარებაში, ამ პოლემიკაში დამახასიათებელი გამოდის როგორც რეჟისორი, ისე მსახიობები და თეატრიც. იმის განმეორება, რაც იყო, რომ კიდევ გახდეს შესაძლებელი, მაინც უკან გადადგმული ნაბიჯია.

ასე გამოვყავს ჩვენ ერთი უმთავრესი „საბრალდებო“ დასკვნა: მარკანიშვილის თეატრის სპექტაკლი „აპრაკუენე“ არ არის თანამედროვე თეატრალური აზროვნების დონის შესაფერისი სცენური ნაწარმოები. თეატრალური ხელოვნების განვითარების დღევანდელი დონე კი გვაკადვებულებს, რომ აკადემიური თეატრის კოლექტივის მხოლოდმოდელად და პირდაპირ მოვითხოვთ ეს.

მაგრამ შეიძლება შემოვედგომ და გვითხრან, რატომ ვთხოვთ თეატრს, თანაც მის ერთ დადგმას, იმას, რაც მისი ყურადღების გარეშე დგას და მისხნად არ დაუსხაეს; რატომ არ ვმსჯელობთ სპექტაკლის ბუნებიდან გამომდინარე და არ ვახდენთ იმ მხატვრული სინამდვილის ანალიზს, რასაც თეატრი გვთავაზობს? ესე იგი, ტრადიციის თვალსაზრისით, თეატრის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი სცენური გამოცდილების თუნდაც უშუალო განმეორებისა და ათვისების თვალსაზრისით. ამ კუთხიდანაც შევხედოთ საქმეს.

უმთავრესი, რაც ამ თეატრს მოსდგამდა ოდითგანვე, ეს არის ანსამბლურობა, სცენური სახეების მასშტაბურობა, აქტიურული ისტატობის დემონსტრირება, სპექტაკლი-კონცერტი. შეიძლება ამ ტრადიციის ღირსეული შემცირდებოდა ვალიაოთ თუნდაც სამეფო განსახილველი სპექტაკლის სამსახიობო შესრულება და ანსამბლურობა? რასაკვირველია არა! შესაძლებელია თითოეული მსახიობის ბიოგრაფიამ ესა თუ ის როლი წარ გადადგმული ნაბიჯია, მნიშვნელოვანი შენაძინე, მაგრამ ასეთ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ თეატრისათვის ის, რაც იყო და რაც ამაყნად არის? ერთად საკმეა! ჩვენ აქ შეიძლება გვითხრან: არც ის მსახიობები არიან სცენაზე, არსენს არმონი წუ გავზომოვთ. იმ შესაძლებლობებიდან გამოვიდეთ, რაც თეატრს გააჩნია. მაგრამ რა გუნათ, როდესაც თეა-

ტრის დინება ძველ კალაპოტშია მოქცეული. კრიტიკული აზრი შეგვოს ამას და არც მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების საბაზოები მოთხოვოს თეატრს, რადგან ასეთი არ შეიძლება? მხოლოდ კარგი და ცუდი სპექტაკლის საზომს მივმართოთ? რა თქმა უნდა არა, რადგან თეატრმა სპექტაკლი ძველი ამოცანების მიზანდასახულებით გადაწყვიტა, მოთხოვნილება ძველთან შედარებით უნდა გავიზიარებდეთ, იმ ამოცანებიდან უნდა ამოვიდეთ.


სპექტაკლის სტილისტიკურ მოთხოვნაზე ამჟამად განსხვავებული აზრია, მაგრამ ის მხატვრული ხელწერა, რომლითაც სპექტაკლია ნაგები, მოითმენს კი ისეთ სტილისტიკურ შეუსაბამობას, არამთლიანობას, როგორიც სპექტაკლის დეკორაციულ გადაწყვეტასა და აქტივობა შესრულების მანერაშია?

რეჟისორი, რომელიც, მხატვართან ერთად, ასე ზუსტად და პიესის ჟანრის შესატყვისად გვთავაზობს დეკორაციულ კონსტრუქციას, აპარატურას, ამ ცალკეინა კაცის ასიმეტრიულ და ალოგიკურ გარე სამყაროს ყოფითი კომედიის რეალისტურ განხრავში, როგორდა იძლევა მსახიობთა განსახიერებას. ეს ზომ თავაყვეტილი პირობითობის — „პრინციპს ტურანდოტის“, ან მარჯანიშვილისეული „სამი ბღენისი“ მსგავსი თეატრალური სახიერებაა.

სად გაქარა, რატომ არ ჩანს ეს ტრადიცია სპექტაკლში? ამას ზომ სიტყვა-სიტყვით გვკარნახობს მხატვარი. ან კოსტიუმები — რატომ ეთიჯნება ასე ყოფით და ყველდღიურ თეატრალურ ექსტრაგავანტურობას? ანდა რით შეიძლება აიხსნას უფრომბა ამ სასიათის პიესაში? თუ ეს „სოფრემენიკის“ ზოგიერთ სპექტაკლს უბდის ხარკს, საესმებით უადგილოა.

სპექტაკლს სათვალედ ენებს პლასტიკური და მუსიკალური გადაწყვეტის სიღარიბე, არასანამტლობა. ვახტანგ ნინუა აქ მარტულულივით ტრიალებს, მას ვკილოვებ-

სცენა სპექტაკლიდან „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“. გერასიმე გარაყანიძე — ტარიელ საყვარელიძე, ჟურნალისტი გურამ ხელაძე — მალხაზ მეტრეველი.



ბა მ. ჭეიშვილის დემოკრატიკულ ეს არის და ეს. ჩვენს მოლოდინს პეპელას როლში არაფრით ამართლებს გულზე ყოფმიძის, ქართული სცენის ერთ-ერთი უნიკეთესი წარმომადგენლის განსახიერება. რადგან სახასიათო როლეზის შემსრულებელთა ნიჭიერებაზე ჩამოვარდა სიტყვა, მ. ქიორაძის სამდღავრი არა აქვს, მაგრამ იგი კიკიტას სახის ნაცვალად თავისი მსახიობური აპარატურითა გარეთული და შტამპებიც მომქმდარა, ამ გზით სიარული რა ხერხს დააყრის მის პროფესიას.

გ. ზურცილავს აქვთო. დიდად სცილდება ეს როლი იმ სახასიათო სახეებს, რასაც მსახიობი სოხუმის თეატრის სცენაზე ჰქმნიდა. დიდი თავისტება არ სჭირდება ამ სახის შინაუბნების ამოკითხვას და მისი კარნახით გარეგნული იერსახის მოძებნა. მსგავსი სელექციონერი ჯერ ქვეყანას არ უშვია. არქიმო კონიკებს უშმაკუნებს საზამთრობს, რათა მისი თესლიდან მათრობელს საზამთრობი აღმოაცენოს და ქვეყანას მოჰვიდოს. ამის მომგონს ბარონ მიუნაუზუნის ფახტასა სჭირდება, მაგრამ არქიმო მხოლოდ გარემოებებით რილია, იგი პრაქტიკოსი სელექციონერივით, ცხოვრებაში ნერვებს თავის გამოცდებებს, ყველდღიურ მემბრის ცდილობს დაწვრივს. ეს კაცი შეიძლება იყოს მიკო ბაონი მიუნაუზუნე და მეტიც. გ. ზურცილავი კი ყოფით პლანს არ სცილდება.

ამ სპექტაკლში ფორთაშევეცილია მსახიობთა შესრულების იმპროვიზაციულობა და ფანტაზია. აქ ბევრი რამ ზომბა-წონის საზღვრებშია მოქცეული, მაშინ, რდგენაც ყველაფერი, რაც კომიკურს ენება, ზღვარდაუდებელი, პიპეროლოური და ტენდენციურია.

კრიტიკა კრიტიკად რჩება, როდესაც თანამედროვე მაყურებელს მოსწონს სპექტაკლი, ესწრება მას და ტანს ურავს. მაგრამ დამერწმუნებელი არ არის, რომლის შესახებაც ზემოთ გვქმნდა ლაპარაკი, რომელსაც უნდა ითვისისწინებდეს და ყვრნობილდეს თეატრი. იგი მხოლოდ მოწონავე, თეატრალ მაყურებელზე უნდა იღებდეს ორიენტაციას.

ასე მივდივართ კიდევ ერთ ახალ, არასახსურველ დისკუსიამდე — სპექტაკლის წარატება სულ მას მაყურებელზეა ნავარაუდები, ვიდრე ეს უნდა ხდებოდეს თეატრალური ხელოვნების დინის მაუწყებელ აკადემიურ თეატრში.

არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქმის ყველაფერი ხელალებით ურასყოფია. იმ მაყურებლისა არ იყოს, ჩვენც ბევრი რამ მოგწონს ამ სპექტაკლში; მოგვწონს ცენტრალური გმირის განსახიერება, მხატვრის ნამუშევარი კი განსაკუთრებით, მახვილონიზებული და ქველის ღირსი მთელი რიგი მიზანსცენები, მაგრამ ჩვენ აქ ჩვეულებრივ მასშტაბსა და მოთხოვნილებებს არ გვეულისებობთ, რომ ამას განსაკუთრებული, პირველხარისხიანი მნიშვნელობა მივანიჭოთ. აქ მთავარია თეატრის მხატვრული ცხოვრების განმსაზღვრელი პრინციპული საკითხები. ეს სპექტაკლიც, ისე როგორც დანარჩენები ორი, უფრო საშუალებაა, ვიდრე მიზანი ზოგადპრინციპულ საკითხებზე მჯელობის გასამართად. თეატრი დღის უნდა ემსახურებოდეს, მას თანამედროვე საზოგადოებასაღმის სამსახურის ღრმა მოქალაქეობრივ შეგნება უნდა უძღოდეს წინ. იმის განსაზღვრაში, თუ რა სახისათის თეატრია დღეს საჭირო შენი თანამედროვეობისათვის, ჩანს თეატრის მსგევეურთა სიბრძნე და კეთილონიზებულობა.

ხელოვნების ყოველი სახე, ყველა ფორმა იდეოლოგიური იარაღია და ხალხის სამსახურში უნდა იყოს ჩაყენებული. ჩვენ უტილიტარული ხელოვნების მუცდაგებლობი ვართ და ვიცით, რომ იგი საშუალებაა და არა მიზანი

სიენა სპექტაკლიდან „აპრაჟენე კიუ-კიმილი“. აპრაჟენე — ეპატაჟე ნინუა (ენეტრმო).



მით უფრო ასეთი უნდა იყოს თეატრის მიმართულება და სტილი. ცხოვრების მოცემულ ეტაპზე რას განიცემთ უპირატესობას, დღეს რა სჭირდება ყველაზე მეტად შენს თანამედროვეობას: ამაღლებული რომანტიკული თეატრის იდეის ქადაგება, თუ ფსიქოლოგიური რეალიზმი, ანალიტიკური ინტელექტუალური თეატრი თუ საზეიმო, მუდამ სისასრულისა და ხალისის მომგვრელი სანახაობები, თუ პუბლიცისტური შემართების თეატრი-ტრიბუნა.

არჩევანზე შეჩერება უბრალო სტილის საკითხი როდია. ეს ის მხატვრული პოზიციაა, რომლიდანაც თეატრის მოქალაქეობრივი, იდეური ტენდენცია გამოსჴვირის. სხვა საქმეა როგორ აგვყავს იგი ხელოვნების ხარისხში; პირველი რიგის საკითხია თუ რა გზას ვადგავართ, რას ვამჯობინებთ, რას ვარჩევთ. ამ მხრივ დრამატურგიაში უკვე ისახება რალაც კონტრუქციები.

თანამედროვე ქართული დრამატურგიის საერთო მდინარეებს თან ერთვის პუბლიცისტური ნაკადი. ამ ბოლო დროს იგი ალექსანდრე ჩხაიძის დრამატურგიულ კუთვნილებად იქცა. მისი დრამების დიდი პოპულარობა ამ განხრის მოთხოვნილებითაც უნდა აიხსნას. პირდაპირი, შეუვალი სიმართლის ხმაამღა განცხადების დამუხმარლი სურვილი თავისუფლად უკაფავს გზას ალექსანდრე ჩხაიძის პიესებს სამბოთა კავშირის მრავალი თეატრის სცენისკენ. მწერლის ბოლოდროინდელი პიესაც „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“ გავუწყებს, რომ არ არსებობს არავითარი პოლიტიკა, რომელიც სიმართლის ხმას უფრო სწორად დეკლარირს. ეს ნათა თავისუფლად მივიკვლევს გზას არა მარტო თეატრების, არამედ ხალხის გულებისაკენაც. უფრო ზუსტად, იგი თეატრებისკენ ესოდენ ძალით იმიტირს იკვლევს გზას, რომ ხალხის ზეამიადს გამოხატავს. გარდა ამისა, სიმართლასათვის მებრძოლ დრამატურგია შორის ალექსანდრე ჩხაიძე, მისი მოქალაქეობრივად მძაფრი დრამატურგიაც უნდა ვივლოთ.

რეჟისორისა და დრამატურგის თანამშრომლობა იმედის მომცემია. ასეთი თანამეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა უკვე დამკვიდრდა რეჟისორ ნუგზარ გაჩავასა და ალექსანდრე ჩხაიძეს შორის.


გვინდა გვგზავდეს, რომ რეჟისორ ნ. გაჩავას არჩევან და მწერლის პიესებისადმი პირადი სიმპათია გამოიყვეულია სიმართლის ხმამაღლა, საკვეყნოდ თქმის აუცილებლობით, მისი დრმა შეგნებით, რომ დღევანდელ ეტაპზე

ყველაზე საჭირო და სასარგებლო მებრძოლი პუბლიცისტური თეატრის არსებობა. ნ. გაჩავა ის რეჟისორია, რომელიც პირველი იქნის განსაკუთრებულ დაინტერესებას ამგვარი ხასიათის დრამატურგიის მიმართ და მას ასევე ერთ-ერთი პირველი უკვალავს გზას თეატრის სცენისაკენ. რეჟისორის ამ სიიამაზმენ და სურვილმა შეუძლებელია პატივისცემა არ აღძრას ჩვენში. ის რომ მებრძოლ თეატრს უჭერს მხარს, მკლავდება მასალის შერჩევაში, უტყუარ არჩევანში, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთსავე უტყუარ ხაზს ვერ ვნახულობთ ა. ჩხაიძის აღნიშნული პიესის რეჟისორულ გადაწყვეტასა და მასხიობურ შესრულებაში.

სპექტაკლის პუბლიცისტურ ფორმაში მოქცევა საჭირო და აუცილებელიც იყო. ეს მხოლოდ სტილისტიკის, განხრის საკითხი არ არის. განხრის საშუალებით ჩვენ ხელოვანის პოზიციას, ტენდენციას ვაღვწევთ. ეს მხატვრული ტენდენცია, საშუალებას, რომელიც თეატრს წარმოგვიდგება არა ცხოვრების სარკვე, არამედ გამაღიდეველ შუამდ. პიესის განხრის გათვალისწინება, თუნდაც უსახო დრამატურგიული მასალის გარკვეულ განხრში თავმოყრა, მისი ერთი სტილისტური ნიშნული გაერთიანება არის სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტის ქვაკუთხედი. იქ, სადაც ეს არ არის, არც გარკვეულ რეჟისორულ გადაწყვეტაზე შეიძლება თამაშიდ ლაპარაკი.

მაყურებელი დიდი გულისყურით მიყვება პიესაში მომხდარი ამბების მსვლელობას, არა გიმართა ბედსა და მიუღრმავას, არამედ მომხდარ ამბებს. რა თქმა უნდა, ეს ამბავი გიმირების პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების გზით გადმოიქცემა (სხვა გზა წარმოუდგენელიცაა). მაგრამ მასურებელი შემოთხებულობა ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი ამბების. საზოგადოებრივი ინტერესის ცენტრი ამ ამბებზეა გადატანილი, ავტორის მთავარი ყუარდლების ობიექტი სწორედ ის არის. რეჟისორს კი თანაგარი ზრუნვის საგნად უქცევა ხასიათების ფსიქოლოგიური ბუნება, ცალკეული სცენების ლოკაციური, ფსიქოლოგიური დამუშავების ამოცანები. და ხშირი შემთხვევაში აღწევს კიდევ მიზანს, ამკლავნებს საშურ გემოვნებას, ზოგიერებასა და სისადავეს.

მაგრამ ის, რომ ნაწარმოების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი გამოიყვეულია სხვა ამბით და რეჟისორს კიდევ სიმძიმის ეპიფანტრი სხვა მხარეზე აქვს გადატანილი, საჭირო და სასურველ შედეგებს არ იძლევა. ეს შენიშვნა შესაძლებელია ზოგიერების უადგილოდ, ანდა პარადოქ-



სეენა სპექტაკლიდან „მოსამართლე“. დავითი — კოტე მახარაძე,
კოტე — ვეშალ მონიავა.

სულად მოეწვევინოს, მაგრამ მათ მინდა შევასხნო, რომ ა. ჩხაიძის პიესა „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“ პუბლიცისტური დრამის სფეროში ძეგს და მისი სხვა სფეროში გადამაცვლება მართებული არ არის. პიესის ჟანრის არასწორი გაგება შურს იძიებს თავად სპექტაკლზე, ჟანრული გაურვეველობა ატყვია სპექტაკლს და ამის გამოც, სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტაც გაურკვეველი დარჩა. აი, რატომ მიგვანია ჟანრის პრობლემა თეატრის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, პრინციპულ საკითხად.

თვალსაჩინოებისათვის მინდა რამდენიმე წინადადება წამოვყენო. რეჟისორს (შხაგართან ერთად) წაწარმოების აზრობრივი სიმბოლიცა წყალსადენის მშენებლობის მიღებით კი არ უნდა წარმოესაზრა, არამედ რადიოთი. სიმბოლოს ზმაძალა, საქვეყნოდ განცხადების იდეა ნიშანდებული იყო წაწარმოების პირვანდელ სათაურში, „მოკროფონი“.

როგორია პიესაში წაწარმოდენილი ძალაუფლების თემა, თანაც პარტიული ძალაუფლების? აბსოლუტური პირდაპირობითა და მოურიდელობით! რამდენი რაიკომის მდივანი ვიყით, რომელიც აბსოლუტურ უფლებებს ამოლევდა, ან ახლაც აძლევს საკუთარ თავს? იყო თუ არა იმის აუცილებლობა, რომ „აბსოლუტური მინარქიის“ თემის თაობაზე გამსაბუტლება ეპოეა დეკორაციულ გადაწყვეტაში. რისი დახვეწილობის კაბინეტის სცენაზე წარმოდგენილი?

მე მგონი, აუცილებელი თუ არა, სასურველი მაინც იყო.

სხვევ სასურველი გახლდათ პიესის გაერთ მოქმედი მთავარი ძალის ჩვენებაც ხალხის, მშენებლების, მუშათა კლასის სახით, თუნდაც მდუმარედ, მაგრამ იმ პლაკატური ეფექტურობით, რაც მაიაკოვსკის ახასიათებს. ეს ხომ ის ძალაა, რომლის წინაშე ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელი პარტიაცა და საბჭოთა ხელისუფლებაც. ეინ მისცა უფლება, ან ჩანაირად მოხდა, რომ ქვეყანაში, სადაც არსებობს მშრომელი ხალხის დიქტატურა, რაიკომის მდივანს ერთპიროვნულად (რადგან საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნის ბიუროზე), ხალხის სისხლწორცველი საკითხები გადაწყვიტოს ასე, ან ისე! შეიძლება გვითხრან, რომ ასეთი ხალხი, ასეთი ძალა დარბაზში იგულება რეჟისორსო. მართალია, მაგრამ პუბლიცისტური ჟანრის ბუნება გვიბიძგებს და გვკარნახობს ამას, როგორც სპექტაკლის სასურველ სახიერებას, რათა პიესის იდეას, ავტორის ჩანაფიქრს, სპექტაკლის სათქმელს გამაძიდებელი მუშით ვუზიხროთ.

რამდენიმე სიტყვა აქტიორულ შესრულებაზე. იმ სტილსა და მანერაზე, რომელსაც სცენაზე ვიქცევთ და რასაც რეჟისორი და მხანობები ირჩევენ. ეს გახლავთ ყოფითი რეალისტური პიესის განსახიერების სტილი და მანერა. აქ დროის, ადგილისა და მოქმედების ლოკალიზაციასაც ვხედავთ. ამ საქმეში, ისე როგორც სხვაგან, სპექტაკლის ღირსებას დიდად ზნებს დეკორაციული გადაწყვეტა და შესრულების ულსაზიობა, ზოგჯერ ელემენტარული ქეშმარტების გაუთვალისწინებლობა. სტილისტური შესაბამისობა, მაგალითი? გვერდებზე გარაყანიძის სახელი, თავისი დახატული ფასადით, და იქვე ნატურალისტური სიუჟეტით შესრულებული დეკორაციის კაბინეტი. დეკორაციული დანადგარების ფონი კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მინდა აქ ი. ოსაძეზე ვილაპარაკო და იმ პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე, რაც ამ მხანობის ახასიათებს. კარგა ხანია, რაც იგი მარგანიშვილის თეატრის სცენაზეა და არავითარი მთავარი როლი არ უთამაშვინა. მას უფრო პირობები რეგია წილად, მაგრამ გინასავთ როდისმე მისი თამაში სასგათაშორისო ყოფილიყოს, გაეფუჭებინოს როლი, ეპიზოდ, ან სახე? რომ ის ყველა შესაძლებელ შემთხვევას საკუთარი აქტიორული ნიჭის გამოსაღწეხნელად მაქსიმალურად არ იყენებდეს? პროფესიონალიზმში, ნამდვილი შემოქმედის კეთილსინდისიერება ამის უფლებას არ აძლევს მას. სამაგიეროდ, რამდენია ახალგაზრდობიდან და საშუალო თაობიდანაც ისეთები, რომლებიც უგერგილოდ, სასგათაშორისოდ ეკიდებიან ეპიზოდური როლების თამაშს. რამდენი შესაძლებლობაა დაკარგული თუნდაც „პარაუნეში“.

ყოველ უმნიშვნელო ეპიზოდს უნდა შევხედოთ, რთგორც სერიოზულ შემოქმედებით განაცხადს დიდი, მთავარი როლის მისაღებად. არ უნდა ველოდით იმ დროს თუ როდის ვაგვიღივებს ბუდი და პამელის ან ჩაკის როლის შესასრულებლად აღმოგვაჩენს ესა თუ ის რეჟისორი.

გერასიმე გარაყანიძის სცენური სახეც ქართველი გლეხკაცების იმ ეპიზოდური სახეების გამოცდილების საფუძველზეა აღმოცენებული, რომლებიც წლების მანძილზე განუხსნაიერებია ამ თეატრში კერძობის, მაკეტების, მეფე ერეკლეს მთავარი როლის შემსრულებელს ტარიელ საყვარელიძეს.

რამდენი სიტოზ, მეგობრული სიფაქიზე, გულითადაზაა ოსაძესა და საყვარელიძეს შორის გამართულ დიალოგში. ეს ერთი ეპიზოდი გერასიმესა და სოფლის უბრა-

ლო ფოსტალიონის შორის მათი ურთიერთდამოკიდებულების მიერ ბიოგრაფიას გადავიშლის.

თენგიზ არჩვაძე მეორე პლანზე წარმართავს თავის როლს. ის უფრო განიცდის, ვიდრე გამოხატავს, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე წარმოთქვამს. ნაგულისხმევი აზრები და ფიქრები განსაკუთრებით ყურადღების ობიექტად აქცევენ ამ სახეს. ეს ძლიერი პიროვნება რაღაც ხშირად-ნელოვანი აზრით შეფიქრებულად, რწმუნებანაშროლოდ, მაგრამ მაინც პიროვნება, რომლის დამარცხებაც, ანდა ორმოდელადაც გადაღსით შემოიბრუნდება, თუ უკან დახევას, მძიმე არტილერიის გარეშე არ მოხერხდება.

მ. მეზურიშვილის გურამ ხელაძე პიროვნული, ადამიანური მომხიზნელობა მსახიობისა განსაკუთრებული სიმპათიით განგვაწყობს მისი სცენური ორეჟის მიმართ. სცენური ორეჟი აქ ტყუილად როდი ვიხსენებ. იგი არ ცდილობს, შესაძლოა, არც თვლის საჭიროდ, აზრები, სიმაბოლოე, რისთვისაც იბრძვის და რაც ასე თავისად ეჩვენება, სხვას გადაუღოვოს, რაღაც ხასიათის სამოსელში გახაჩოს. ანალოგიურ ხერხს მიმართავს მსახიობიც გ. ხუჩუბაძეც. მაღას როლში; თუმცა როლის დინამიკით რაღაც ხასიათის შექმნის ნიშნები მის შესრულებაში აქა-იქ მაინც გაივლევს ხოლმე.

ხ. ლაფტაძემ მაყურებელმა სერიოზული იტყვიან, „ხელში აიყვანა“. რეჟისორის გარეშე არაფერი დარჩენილა. მაგრამ სილოვანის როლი იმ ხერხებითა და საშუალებებით, რომლებიც მსახიობი მიმართავს და რეჟისორის სასტიკი აძლევს, ხომ არ არის საექსტრალის სტილიდან ამოვარდნილი? რეჟისორსა და მსახიობს მიაჩნიათ, რომ არა, რადგან დიდ სივრცეს უთმობენ მას, ჩვენ კი პირიქით გგონია.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა უნდა მივიჩნიოთ გ. ხუჩუბაძის „მოსამართლე“.

კარგა ხნის უმოქმედობამ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ანზორ ქუთათელაძის პროფესიონალიზმა. ჩვენ თითქმის შეგუებული ვიყავით იმ აზრს, რომ დირექტორებამ უკვე შეიწირა რეჟისორი. და აი, მოხდა საოცარი მეტამორფოზა. ა. ქუთათელაძემ მოლოდინს გადააჭარბა; მას დიდი სურვილი, მონდობა და ყინი აღმოაჩნდა. მაგრამ, ყველას რომ თავისი მიერღობა, სამართლიანობა მოითხოვს, ორიოდ სიტყვით მაინც შევიჩერდეთ ამ საექსტრალის პირველწყაროზე — პეისაზე და მის ავტორზე.

გ. ხუჩუბაძე პირველი ავტორია, ვინც სერიოზულ ფორმისეულ სიახლეებს წერდას ჩვენს დამატარებაში. ასევე, პირველია იგი მათ შორის, ვინც თავის დრამებს ინტელექტუალური დრამის პრინციპებს უდებს საჩივრებს. ეს ორიგინალიზმა და სიახლე ჩვენს დრამატულ მწერლობაში და ცოტას როდი იწმენდა. გ. ხუჩუბაძე პირველია, — იყოს თანამედროვე თეატრისა და დრამის სიახლეების საკმის კურსში, მას აქვს დღევანდელი ლიტერატურული სტილის შეგრძნების განახლებული ალღო და ორიგინალ აყენებს კიდევ მას. მწერალი ისე ავებს თავის დრამებს, რომ ისინი წმინდა ფორმისეულ სუფერშიც თავად შეიცავენ თეატრული ინტერესს. მაყურებელი, რომელიც დღემდე არ ზიარებია თანამედროვე თეატრული სიახლეებს, მის ნაწარმოებებში აღმოჩენილი ახალი სამყაროს ხილვითა და ახალი სინამდვილის განცნობით იზიზღება. ეს ის დრამატურგია, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო საექსტრალის შინაარსს, არამედ მნიშვნელოვანწილად მის ფორმასაც.

მწერალი თავის გმირებს გვაცნობს მათი სულიერი და

ზნეობრივი ღირსებების მეცადი გამოცდის ჟამს, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში. თითოეული ასეთი სიტუაცია იმდენად დამატულია და დრამატული, რომ ნებისმიერ პიესას გასწვდომდა სიუჟეტური ქარგად. მაგრამ აქ მისთვის მთავარი ამბავი და სიტუაცია კი არ არის, არამედ ის ანალიტიკური მსჯელობა და განსჯა, საიდანაც ცხოვრებისეული სინთეზ უნდა გამოიკვეთოს, დარისტალდება. რაციონალური საწყისი, სათქმელის განცხადების სურვილი იმდენად მჭიდრობს მის პიესებში, რომ სათქმელის საილუსტრაციოდ, უფრო ზუსტად კი, საბამად ის ზოგჯერ ხელოვნურ, გამოზიზნავს მიმართავს. მისი ყურადღების ცენტრში მოქცეულია ადამიანი, ადამიანის სოციალური, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური შინაარსი. ცხოვრება კაცისა — აი მისა დრამატული მწერლობის თემატური სამყარო. ამ სფეროშია მოქცეული მისი ბოლოდროინდელი პიესაც „მოსამართლე“.

ამ პიესის შემოსვლას მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე თან შემოაყვია თეატრალური სახიერების სიძაღვე. მსახიობთა სცენური განცდისა და გარდასახვის თავისებურებები. ამან არ შეიძლება თავისი კეთილსინდისიერად გავლენა არ იქონიოს მსახიობთა სასცენო პრაქტიკაზე და, რაც მთავარია, არ გააფართოოს მაყურებელთა ესთეტიკური აღზრდა, თეატრალური აღქმის პირობებში.

ზოგიერთი გამოჩაღების გარდა, აქ ყველაფერი — დაწყებული მსახიობთა განსაზღვრებითა და დამთავრებული კახიბებით ესთეტიკურ ხარისხშია აყვანილი. მთლიანობაში ეს იმდენად მოსაწონი და მისაღები სცენური ნაწარმოებია, რომ შეგვივლად ვარიდებთ თავს ამა თუ იმ უზუსტო ეპიზოდის კრიტიკულ შეფასებას.

საექსტრალში თითოეული მსახიობი რამდენიმე სახის ავტორია, ყოველ შემთხვევაში, ორისა მაინც: ერთი ის, რასაც ისინი წარმოადგენენ, განმასახიერებენ, ანდა განიცდიან და გარდაისახებიან, მეორე თავად მსახიობი, თავად კოტე მხარატი, შოია მახვილაძე, მედლა ბიბილაშვილი, დიდი ჭიჭინაძე და ასე შემდეგ. ამასაც ხომ წარმოგდება უნდა მაყურებელთა წინაშე, თანაც უბრალო, ჩვეულებრივი ყოფითი ყოველდღიურობის ილუზიით, მაგრამ უსათუოდ ესთეტიკის ხარისხში.

პარადოქსულია, მაგრამ ამ ელემენტარული სცენური ამოცანების განხორციელებისას გამქადნა მსახიობური (ამ შემთხვევაში უკვე ადამიანური) სისუსტეები, ცდუნებები, რომლებიც მათ ცხოვრებიდან მოაყვებათ და, პირადად, — სცენიდან ცხოვრებაში შეაქვთ. ამგვალთად, ექსპონიციამდე თვალში გვეყვით ყანყარის რომანტიზმი (ეს თეატრალური ფარგონი რეჟისორ ვასო ყუშიბაშვილს ეკუთვნის). მეორის კალურ თილისმის მიხედვითი მანერლობა, შესაძლოა არაჩვეულებრივი სილაღე, რომელსაც ყველაფერი ამ ცხოვრებაში თამაშ-თამაშად უქნას და ასე შემდეგ. მაგრამ ეს სხვათაშორის, ისე, გვარის დაუსახილველად. მსაგეს რამეს მხოლოდ ჩასაყრდენი თვალს არჩვენ, ჩასაფრება კი ისეთ დროს ვერაფერი შეიძლება.

ამ საექსტრალის ავტორები, მონაწილე მსახიობები ქმნიან მშვენიერი ილუზიურ თეატრალურ სამყაროს, ამ სამყაროში მათ შეგვაძლევს უკიდურესი თეატრალური პირობითობის საშუალებათა მომარჯვებულებით. ისინი ქმნიან განსახიერების თავისებურ, ორგანულ სცენურ რეალიზმს, განსხვავებულ თეატრალურ სინამდვილეს და ამას აკეთებენ ისეთი ძალით, რომ უნდა ვიწაფო, განვიცადოთ და დავიჯეროთ ისე, როგორც მათ სწამთ, განაცდიან და სჯერათ, ისინი ისე გვაზიარებენ და განგვაცდენიან თეატრის პირობითობის მშვენიერებას, თეატრში თეატრის სილამაზესა და მომხიზნელობას.



მის იცის, რამდენი წიგნი მოუკაზმავს მას და გემოვნებით გაუფორმებია რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს, გრაფიკოს გიორგი ნადირაძეს. მის მიერ ნატიფად ამოჭრილ შრიფტის ჩუქურთმას ხელმოწერად გაუცოცხლებია ჟამთა სივსიასგან მივიწყებული ქმნილხანა.

ამ საინტერესო მხატვარ-გრაფიკოსმა თავისი შემოქმედება ერის სულიერი კულტურის კეთილმოზილურ სამსახურს მიუძღვნა. მის შემოქმედებაში ჩანს ჭეშმარიტი ხელოვანის დამოკიდებულება მშობლიური კულტურისადმი. ცხადია, თუ ხელოვანი მოწყვეტილია ეროვნულ წიაღვსა და არ საზრდოობს თავისი ხალხის სულიერი სიმდიდრით, მივლი ძალთი ვერ გამოხატავს საკუთარ სათქმელს. ეს იცის გიორგი ნადირაძემ, რომელმაც საკმაო აღიარება პპოვა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

1960 წელს საქართველოს სსრ მონეტებზეა აკადემიამ წიაღვს ლონდონის მუცნიერებათა აკადემიას გაუგზავნა გიორგი ნადირაძის მიერ ტყავის გრავილზე გრაფიკულად შესრულებული ქართული ორნამენტებით მოჩუქურთმებული ქართულ-ინგლისური მილოცვის ტექსტები, რომლებიც ტყავისავე ბუდეში იყო ჩასმული. სასიამოვნოა, რომ გიორგი ნადირაძის მიერ აღდგენილ საქართველოს უძველეს სადღესანო ქართულ უნიკალს ახლა ინგლისელები ძვირფას რელიკვიად ინახავენ.

გიორგი ნადირაძეს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის გრაფიკის მხატვრული სისტემის შემუშავებაში. იგი ჩუმი, მორიდებული, მაგრამ თვალსაჩინო თანამონაწილეა ქართული წიგნის სანიმუშო გაფორმებისა.

ყმაწვილკაცობაში უმაჟიმო დარჩენილი, სწავლამოწყურებული ნიჭიერი ახალგაზრდა ყურადღებულან არ გამორჩენილი თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველკურს ოთხეულ შარლემანსა და პედაგოგ ვასილ აბდუშელიშვილს, რომელმაც მომავალ მხატვარ-გრაფიკოსს გზა გაუკაფეს ჭეშმარიტი შემოქმედებისაკენ. იოსებ

ესთეტიკურ აღქმას, ჩვენს შემეცნებით ინტერესებს დიფერენცირებულს ხდის არა მარტო ის, თუ რას თამაშობენ მსახიობები, არამედ როგორ თამაშობენ. თამაში, თავად განსახიერებით ტკობა ჩვეულებრივი, რიგითი მაყურებლის კუთვნილება არ გახლავთ. მაგრამ აქ სადემარკაციო ხაზი იმდენად მკვეთრია, რომ ჩვეულებრივი, რიგითი მაყურებლის ყურადღებას გათვითცნობიერებული თეატრალის ინტერესით ძაბავს. იგი აიძულებს მაყურებელს, რომ სპექტაკლს უყუროს ისე, როგორც შემოქმედებით პროცესს, რომელიც ახლა, მის თვალწინ გათამაშდება, გადაიზრდება ხასიათებში და მძაფრ სცენურ განცდებში. თეატრალური ნაწარმოების ასეთ სინამდვილეს ახალი შინაარსი შეაქვს მაყურებლის აღზრდაში. მაყურებლის ესთეტიკური აღზრდა კი ამ მხარესაც უნდა გულისხმობდეს. იგი ხვალ და ზევ მოგვიმზადებს ნამდვილ აუდიტორიას თეატრალურად უფრო რთული, ფილოსოფიურად უფრო ღრმა ახალი ნაწარმოებების გასამარჯველად.

აქ უნდა დავსვათ წერტილი და საწყყნად ნურავის დარჩება, რომ არ შეგვიძლია რამდენიმე ფრაზაში მოვაქციო ის დიდი მუშაობა, რაც მსახიობმა კორტე მახარაძემ გასწია სპექტაკლის ცენტრალური სახის განსახიერებისას. არ შემიძლია ვილაპარაკო ამ მუშაობის დიდებულ შედეგებზე, მსახიობის უდავო გამარჯვების მიზეზებზე, მარჯანიშვილის თეატრში მისი ახლად დაბადების ისტორიაზე. ანდა იაკობ ტრიპოლსკისა და გ. ციციშვილის მიერ შექმნილ გრანტივით მკვრივ გაგას ხასიათზე, შოთა მახვილადისა და დოდო ჭიჭინაძის ქალურ სათნოებად ქცეულ ნატოს სახეზე, მ. ბიბილიშვილის ბევრი ეპითეტით ღირსქმნილ მშვენიერ გვანცაზე, ჯ. მონიავასა და მ. ვეშტაის აქტიურულ წარმატებებზე და სხვების; იოსების, დათოს, კაპიას როლის შემსრულებელ მსახიობებზე, არც ზანდა იოსელიანის სერიოზულ შემოქმედებით განაცხადზე დედის ეპიზოდურ როლში. იმ აქტიურულ შთაგონებაზე, რომელსაც იგი უნებურად თუ შეგნებულად ეზიარა სცენის დიდოსტატების ვერიკო ანჯაფარიძის, ან თამარ ჭავჭავაძის ბედდამწვარი დედების ხილვით, როდესაც ისინი, კასონას გმირივით, ზეზურად კვდებოდნენ სცენაზე.

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა თითოეული სპექტაკლის ანალიზი, უზარალო კრიტიკული შეფასება და შეჯამება. და სადაც ამას ეყვადეთ, მგონი ნაუცმათეიე გამოვიდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ დღეს ქართულ თეატრში, ბევრი პრობლემა დაგროვდა. ეს პრობლემები გაცილებით მნიშვნელოვანი და მღელვარეა, ვიდრე ამა თუ იმ სპექტაკლის კრიტიკული შეფასება და ანალიზი.

ქართული თეატრის აწინდელი მდგომარეობა საკამათო და სადისკუსიოა. დავ, დაიწყოს ეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მაგალითზე. მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ხომ ქართული თეატრის ავანგარდული ძალაა, მისი ავ-კარგის ერთი ნიშნად შეგვაჩვენა.



ქართული ფიზნის მაკაზმავი

ეთერ მაჭავარიანი

შარლემანის დახმარებით გიორგი ნადირაძე ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1941 წელს დაამთავრა.

ძნელბედობის პერიოდი იდგა. უჭირდა ქვეყანას, უჭირდა ახალგაზრდა მხატვარსაც. ჯერ იყო და, მისი ორი ძმა გმირულად დაეცა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ახალბედა მხატვარს გული არ გატეხია. იგი გატაცებით მუშაობდა პატრიოტული შინაარსის პლაკატ-სტენდების გაფორმებებზე, აწყობდა გამოფენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქმნიდა თურდოს და გრემის ხიდების ესკიზებს პეიზაჟებით. გ. ნადირაძემ აკვარელში შესარულა ცნობილი ქართველი მწერლის დანიელ ჭონჭიასისთვის სახლი, რომელიც ამჟამად სოფელ ყვავილის ოლთერატურულ მუზეუმში ინახება. გიორგი ნადირაძეს ეკუთვნის სამეორის მშენებლობის მოწინავე მუშების რამდენიმე პორტრეტული ჩანახატი.

1946 წლიდან დღემდე მხატვარი

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში“, მისი მადლიანი მარჯვენით შემკულ-მოკაზმული წიგნები უხვად ამწვინებენ ქართული წიგნის თაროებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა სულ ახლახან გამოსცა პროფესორ ილია აბულაძის ერთ-ერთი უნიკალური ნაშრომი — „ძველი ქართული წიგნის ლექსიკონი“, რომელიც უძვირფასესი საგანძურია ეროვნული კულტურისათვის. მისი შემოკმა-მორუქებზე გიორგი ნადირაძემ ითავა. წიგნის მოხატულობა და თავფურცლები აშკარად მიგვანიშნებენ მხატვრის სიყვარულს ქართული სულიერი კულტურისადმი. მათში ჩანს ავტორის სიფაქიზე, დახვეწილი გემოვნება და შესრულების თავისებური სტილი. მანვე შეამკო ქართველი ხალხის ისტორიის პირთუფელი მატანე — „ქართლის ცხოვრება“. მეკლევარ-მეცნიერებთან ერთად, ქართველი

მკითხველი დიდად დაინტერესებულია ვანის არქეოლოგიური გათხრებით, აქ აღმოჩენილი უძველესი ექსპონატებით. ცხადია, ამ თემას გულრილვად ვერც მხატვარი აუვლილა გვერდს. და შედეგიც სახეზეა. გ. ნადირაძემ ოსტატურად აამუშავებდა „მეცნიერების“ მიერ გამოცემული „ვანის“ I ტომის გარეკანი და კოლორიტულ შტრიხებში წარმოგვიდგინა თავფურცლები. ერთი თვალის შევლებით წიგნის გარეკანი წაუკითხავადაც გავგერძნობინებს, თუ რა მდიდარი მასალა მასში მოქცეულია.

შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ნაშრომების გაფორმება თავისებურად ჩაუფიქრებია გიორგი ნადირაძეს, რომლის კომპოზიცია და სიუჟეტი უპასუხებს მთელი პოემის სულს.

ძნელია ჩამოითვალოს გრაფიკოსის მიერ სიყვარულითა და მონდომებით მოკაზმული წიგნების სრული სია. აი ზოგიერთი მათგანი. „ანთიმე ივერიელი“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, „აღმოსავლური ფოლოლოგია“, „ქართული ხალხური პოეზიის მასალები“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8 ტომი), „წინათა დღეების შედგენილობა ძველ ქართულში“, „გაიოზ რექტორი“, „დავით ბატონიშვილი“, „სოლომონ დოდაშვილი“, „ამბეოლოგრაფია“ (57 თავსართ-ბოლოსართი). „თეიმურაზ ბაგრატიონი“, „მრავალთავი“ (პირველი წიგნი).

1957 წელს საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისათვის დაკავშირებით გამართულ წიგნის, გრაფიკისა და პლაკატების სრულიად საკავშირო გამოფენაზე, საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრომ გიორგი ნადირაძის მიერ გაფორმებულ რუსულ-ქართულ სამტომეულ ლექსიკონს დიპლომი მიანიჭა.

გრაფიკოს-მხატვარს მოღვაწეობის 35 წელი უსრულდება. გვჯერა, რომ იგი მუდამ სიყვარულით მოვიდებდა ქართული წიგნის გაფორმების ძველი-შობილურ და ძნელ საქმეს.

შეჯანაჲს ანტიკური ხალოვნების კებლაჲი

ამირან კახიძე

შეჯანაჲსის ანტიკური ხანის ნაქალაქარისა და სამაროვნების ტერიტორიაზე აღმოჩენილი მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი კულტურის ძეგლები უძვირფასეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ ძველი კოლხეთის ქალაქთა ცხოვრებისა და ბერძნულ სამყაროსთან საუკრო-ეკონომიურ თუ კულტურულ ურთიერთობათა შესწავლისთვის. ამ თვალსაზრისით დიდ მცენიერულ ინტერესს იწვევს ფიქსირებული 1967 წელს აღმოჩენილი, საქართველოს ზღვისპირეთისათვის მანამდე უცნობი ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანი (ძვ. წ. V-IV ს.). ცალკეულ სამაროვნულ კომპლექსებში მრავლად იქნა აღმოჩენილი ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობანი, სხვადასხვა საწარმოო ცენტრის ამფორები, იონური და ატიკური კერამიკული ნაწარმი, უცხოური მონეტები და ა. შ. ეს ნაწარმი შეეხება ფიქსირების ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანზე მოპოვებული ანტიკურ წითელფიგურიანი კრატერს, რომელიც ანტიკური ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია.

1967 წელს პირველ სამარხში აღმოჩენილი კრატერი (ქ-ფ-67/22) მოზრდილი ნატეხებისაგან არის აღდგენილი. მისი სიმაღლე 49,5 სმ-ია, პირის დიამეტრი — 43 სმ; აქვს სამაღო ფართი, საფეხურიანი, დისკოსებური ძირი, რომელიც ტანისაგან გამოყოფილია რელიეფური რგოლით. მრავალგანკვეთიანი ყურები ზემოთკენაა ახედული. ტანის ზედაპირი მთლიანად დაფარულია ორფერ-იანი წითელფიგურული მხატვრობით, რგოლისებური პირის გარეთა კალთაზე მოხატულია ოვალური ჩაწყობილი მოზრდილი ვოლუტებიანი პალმეტები, რომელთაც ენაცვლებათ ასევე ვოლუტებიანი ლოტოსის ყვავილები. პალმეტები და ლოტოსის ყვავილები სამაღო მჭიდროდ განლაგებულიან და პირის გარეთა ზედაპირზე ქმნიან ფართო პორიზონტალურ ზოლს; ზედა და ქვედა ფრისის მხატვრობა გამოყოფილია ოვერის სამკაულისაგან შედგენილი პორიზონტალური ზოლით. ქვედა ფრისის მხატვრობას გარს უვლის მჟანდრის კონამენტები; ყვავილი სამი, ერთ მუხმზევებაში ორი მჟანდრის შემდეგ, მოცეფულია ოთხუთხედილ ჩასმული ხან სწორი, ხან ირბი ჯვრები. ქვედა ფრისის A და B კომპოზიცია (ყურების არეში) ერთმანეთისაგან გამოიყოფა საპირისპიროდ განლაგებული ორმაგი ვოლუტებიანი პალმეტებითა და გაერთიანებული ნაწევარპალმეტებისა და ფოთლებისაგან შედგენილი სამკაულით. კრატერის ძირის მიღა ზედაპირი, საყრდენი და ზედა საფეხურის აღნიშნული არე, ყურების შიდა ზედაპირი, მიმტწვის ადგილები, პირის შიდა ზედაპირის ორი ურთიერთისაგან საკმაოდ მოშორებული ვიწრო პორიზონტალური ზოლი ღია მოყვითაღი თიხისავე ფონზეა დატოვებული — დანარჩენი დაფარულია საუკეთესო ხარისხის ზევისსილისებური მოლივლივ შავი ატიკური ლაკით; კრატერზე დაცული ცალკეული კომპოზიციების აღწერას ვიწყებთ ფრინტალური სცენით.

A — ზედა ფრისი. მასზე თუხუვსის მიერ ელენის მოტაცების სცენაა აღბეჭდილი. მოქმედება უნდა ხდებ-

ოდეს არტემიდე-ორთიას ტაძარში, რაზეც ნათლად მიუთითებს აქვე გამოსახული იონურ კაპიტელიანი საკურთხეველი და დორიული კოლონა. მრავალფიგურიათი კომპოზიციის ცენტრში ნაჩვენებია მიწველი ახალგაზრდა — ატიკის უპოპულარესი გმირი თუხუვსი, რომელიც ილტვის ელენესკენ. თუხუვსის სახე და ფეხები პროფილშია ნაჩვენები, ტანი — ფასში; მას მარცხენა ხელში ზავაია ორი გრძელი შუბი, მარცხენა ხელით კი მხეზა კლებებს მარჯვენა მხარს. თავს ორნამენტირებული ქუდი — პეტაზი მოსავს. ქუდს ქვემოთ მოჩანს გრძელი, ჩამოშლილი თმები, რომლებიც ფარავენ ყურებსა და გეფას. თვალი პროფილშია გამოსახული. მარცხენა ფერდზე აკიდაა მოკლე სატყვარი, მარცხენა ხელზე გადავადებული აქვს ვიწრო, გრძელი და სადა მოსასხამი (ლამადა). სახისა და ტანის ნაკეთების ჩვენების მიზნით, ზომიერადაა გამოყენებული ფაქრი ფუნჯით გამოყვანილი სხვადასხვა ზომისა და მიმართულების განსაზღვრული შავი ლაკის საზღები.

თუხუვსის წინ გამოსახულ ელენეს აცვია დაღვასწავალთ პეპლოსი, რომლის ზედა ტანი (აპეცილი კალთა) და ბოლო შემკულია ფართომეტოებიანი ამით. წელზე ვიწრო, სადა სარტყელი აქვს შემორტყმული. კონად მტკრულ თმებს ამარებს მახვილშეკლებიანი დიადემა. ომის არე ფონისაგან გამოყოფილია თიხისავე ფერის ვიწრო ზოლით. ელენე გაუბრის თუხუვსს, სახე კი მისკენ აქვს მიმრუნებელი; იგი მარცხენა პროფილშია წარმოდგენილი, ტანით კი — ფასში. მარჯვენა ხელი თუხუვსისკენ აქვს გაწვდილი, მარცხენა კი ზეაწული. ვფიქრობთ, რომ არქაული გაზათმხატვრობის გავლენით, ელენეს თვალს გუჯა გამოსახულია პირდაპირ — ფასში. ელენეს უკან დგას წვეტიანი მამაკაცი. შესაძლოა იგი იყოს ელენეს მამა — თვით უზუნაესი ღვიაება ზევის, რომელიც გამოსახულია მარცხენა პროფილში; აცვია გრძელი და ფართო სახელოებიანი ქიტონი, რომელსაც თითქმის ზემოდან მთლიანად ფარავს ფართო და გრძელი კიდებშეკლები წამოსასხამი; მარჯვენა ხელში უჭირავს ორნამენტირებული სიკატრა, თავი ემყობა აქვს დადნის მტისაგან შედგენილი გვირგვინით; მის გვერდით ვხედავთ ზურვიან კაპს. გვირგვინი, სიკატრა და ფიგურის მონუმენტური გამოსახულება ნათელყოფს, რომ საქმე გვაქვს უზუნაეს ღვიაებასთან.

შემდგომ მოხატულია ელენეს ორი მეგობარი ქალიშვილის ფიგურა, რომლებიც შემოთვლებული გარბიან მარჯვნივ და თუხუვსისა და ელენესკენ იყურებიან. პირველს გრძელი ქიტონია აცვია, რომლის ზედა ტანის ბოლო და ყელის არე შემკულია მტოებიანი ამით. მხრებზე გადმოვადებულ მოკლე, ასევე ბოლოებშეკლებ წამოსასხამს ქვემოთ მოჩანს წელს შემოვლებული ვიწრო სარტყელი. მუხლების არეში ქიტონი შემკულია ყავისფრად განსჯბულ ლენად, ოდნავ შესაწმენი, ორიგად განლაგებული შავი ლაკის წერტილოვანი ორნამენტის პორიზონტალური ზოლით, კონად შეკრული ვარცხნილობა კი — ფართო

ოთხკუთხაშტოებიანი დიადემით. ფიგურა გამოსახულია ფასში. მეორე გოგონას აცვია ფაფუკი, ბრწყინვალე სა-
ფულეებიანი გრძელი ქიტიანი, რომლის ქვედა კალთა შემ-
კულია წერტილოვანი ორნამენტის პირიზონტალური რი-
გით, მხარსა და მარცხენა ხელზე გადადებული აქვს ბო-
ლოზეზე ამოშემოვლებული საკმაოდ გრძელი წამოსას-
ხამი. კეფასთან კონად შეკრულ ვარცხნილობას ამაგრებს
მასხვილშტოებიანი დიადემა.


ფორტალური სცენის ზედა ფრიზის მარჯვენა მო-
ნაკვეთზე გამოსახულია ქალის კიდევ სამი ფიგურა: პირ-
ველი დგას მარცხენა პროფილში, მარჯვენა ხელით სკიპ-
ტრა უკავია, ხოლო მარცხენათი — დაფნის შტო. გრძელი
ქიტონი თითქმის ფეხების არესაც ფარავს. ქიტონს ზემოთ
მოსავს ფართო და გრძელი წამოსასხამი. კულულებად
დახვეული თმები უკან აქვს ჩამოშლილი, თავი კი ფარ-
თოშტოებიანი დიადემით შემკული. მის სახეზე აშკარად
შეინიშნება პრეკში გამოშვებულია, რაც დამახასია-
თებელია ამ გაზის მომხატველის ხატვის მანერისთვის.
როგორც აღინიშნეთ, ფიგურას მარჯვენა ხელში სკიპტრა
უკავია, რაც მის ღვთაებრივ წარმომავლობაზე უნდა მიუ-
თითუდეს.

ქალის მომდევნო ფიგურაც მარცხენა პროფილშია გა-
მოსახული. ორივე ხელი წინ აქვს გაწვილილი და თუხევისი-
საქნ მიემართება. აცვია სადა, ფართოსახელოებიანი ქი-
ტიანი, რომელსაც ფარავს ზემოდან გადმოფენილი ბოლო-
ზეშემკული მოსასხამი. თავზე ჩაჩი ხურავს, თმის კულუ-
ლი მხოლოდ მარცხენა კეფასთან მოუჩანს. მესამე ქალის
ფიგურაც მარცხენა პროფილშია ნაჩვენებ. აცვია გრძელი
ქიტონი, რომელსაც ფარავს ზემოდან, სადა წამოსასხამი;
მას მხოლოდ მარჯვენა ხელი მოუჩანს, რომლითაც სკიპ-
ტრა უკავია. თავი შემკული აქვს შტოებიანი დიადემით.

ფორტალური სცენის ზედა ფრიზის მარჯვენა მონაკვე-
თი ისრულდება ორნამენტირებული დორიული კოლონით.
ფორტალური სცენის ზედა ფრიზის მარცხენა მონაკვე-
თზე, ე. ი. თუხევის უკან, მოხატულია ახალგაზრდა
გოგონას ფიგურა, რომელიც ხელდაწვდილი გარბის მარ-
ცხნისკენ, სახე კი თუხევისისა და ღლებსკენ აქვს მიბრუ-
ნებული. იგი ნაჩვენებია ტანით ფასში, აცვია მხრის არე-
ში ბალაით შეკრული პეპლოსი, რომლის ზედა კალთის
ბოლო შემკულია ყავისფრად განსავებული შავი ლაკის
აშით, ხოლო ქვედა კალთის ბოლო კი -- შტოებიანი
აშით. კონად შეკრული თმები დამაგრებული აქვს მას-
ვილშტოებიანი დიადემით. მომდევნო გოგონაც მარცხნივ
გარბის, მასაც უკან აქვს თავი მიბრუნებული და თუხეკ-
ისისა და ღლებსკენ იყურება; აცვია გადმოშლილ ზედატა-
ნიანი ფართოსახელოებიანი ნაზი ქიტიანი. სადა, ვიწრო
და გრძელი მოსასხამი მარცხენა მხარეზე გადაადგია, რომ-
ლის ერთი ბოლო მარჯვენა ხელით ზევით აუწევია, ხო-
ლო მეორე ბოლო კი მარცხენა ხელსა და მკერდს შორის
მოუქცევია. კეფაზე კონად შეკრული თმები შერეული აქვს
სადა ღლებსკენი სარტყლით. როგორც ჩანს, ეს ორი-
ვე გოგონა იღებს მეგობრებია და შემწეობით თავშესა-
ფრისათვის სიღრმეში ნაჩვენებია იონურკაპიტელიანი სა-
კურთხევისკენ გარბიან.

საკურთხელოს წინ მარჯვენა პროფილში დგას გრძელ
და ფართო ბოლოზეშემკული მოსასხამში გახვეული წვერი-
ანი მამაკაცი. მოუჩანს მხოლოდ მიმდევრი მარჯვენა მხარი
და ხელი, რომლითაც ჯოხი უკავია. თავი შემკული აქვს
დაფნის გვირგვინით.

მამაკაცის უკან ზედად კალის ფიგურას, რომელიც
ხელბეგაშლილი გარბის მარცხნივ, თავი უკან თუხე-
ვისსკენ აქვს მიბრუნებული, სახით მარჯვენა პროფილშია
გამოსახული, ტანით ე. ი. ფასში. აცვია სადა, ნაზი



ფიგურარს ანტიკური ხანის ფიგურის ერთ-ერთი ნიმუში.

ქსოვილისაგან დამზადებული ქიტიანი, მარჯვენა მხარ-
სა და ტანზე შემოსხვეული აქვს მოსასხამი, რომლის ბო-
ლოები შემკულია ჩვეულებრივ ყავისფრად განსავებული
შავი ლაკის აშით. უკან კონად შეკრული თმები დამაგ-
რებული აქვს შტოებიანი დიადემით.

შემდგომი ქალის ფიგურა გამოსახულია მარჯვენა
პროფილში, მარჯვენა ხელში უკავია ორნამენტირებული
სკიპტრა, ხოლო მარცხენაში კი ზეთისხილის წყელი შტო.
აცვია შედარებით გრძელი, ფართოსახელოვანი გამჭვირ-
ვალე ქიტიანი და სადა მოსასხამი. თმები დამაგრებული
აქვს მასხვილშტოებიანი დიადემით.

მის უკან გამოსახული ქალის ფიგურა იჩქარის მარ-
ჯენისკენ. ე. ი. მოქმედების ცენტრისკენ, სახე და ქვედა
კიდურები ნაჩვენებია მარჯვენა პროფილში, ტანით კი
ოდნავ ჩვენსკენაა შემობრუნებული. აცვია ნაზი ქსოვილი-
საგან დამზადებული ვიწრო სარტყლიანი ქიტიანი, მხრებ-
ზე წამოვადებული აქვს ფართო, ბოლოზეშემკული მოსას-
ხამი, თავზე ხურავს მანდილი, რომლის ერთი ბოლო ხე-
ლით ოდნავ ზევით აქვს აწეული. თავს ამაპობ ფართო-
შტოებიანი დიადემა.

ფორტალური სცენის ზედა ფრიზის მარცხენა მო-
ნაკვეთის ბოლოს მოხატულია კიდევ ერთი ქალის ფიგურა
მარცხნივ ფასში, სახე მიბრუნებული აქვს მარცხნივ.
მარცხენა ხელი გამოსახულია მარჯვენა პროფილში, მარ-
ჯვენა — კი პირიქით. აცვია ფართოსახელოვანი ქიტი-
ნი და ბოლოზეშემკული ფართო მოსასხამი. უკან კონად
შეკრულ თმებს ამაგრებს სადა ღლებსკენი ზოლი. ვარ-
ცხნილობა ფარავს ყურის ზოლი, რომელსაც სახის არე-
ში ხერხის კბილისებრი შემოწერილობა აქვს.

A. ქვედა ფრიზი. მითი ტრიპტოლემოსის, დე-
მეტრესა და პერსეფონეს შესახებ. ცენტრში გამოსახულია
ფრთოსან ექვლზე მჯდომი ტრიპტოლემოსი, რომელსაც

მარცხენა ხელში სკიპტრა და თავთავები უკავია, მარჯვენაში კი — ფილა. მარცხენა მხარსა და ტანზე შემოსხმული აქვს ფართო და გრძელი მოსასხამი. დაკუთვლილებული გრძელი თმები ჩამოშლილი აქვს ზურგისა და მკერდის არეში. თავს უშვობს დაფნის შტოს გვირგვინი. ტრიბიტოლუმის წინ დგას ქალღმერთი დემეტრა, რომელსაც მარცხენა ხელში უკავია სკიპტრა და თავთავები, მარჯვენა — წინ გაწვეული ხელში კი — ბრინჯაოს იონოხა. დემეტრე ნაწენებია ტანი ფსაში, სახით კი — მარცხენა პრიფილი. აცვია გრძელი ქიტონი, მარცხენა მხარსა და ტანზე შემოსხმული აქვს ფართო და გრძელი ბოლოფემეკული მოსასხამი. თავს უშმენებს მახვილმტოვებიანი დიადემა. დემეტრეს უკან მოხატული უნდა იყოს ჰეკატე — ფსაში. მასაც საზე მარცხნივ აქვს ზნაბრუნებული. ჰეკატეს ორივე ხელში მამხალეები უკავია. აცვია კალთხეაგვილი ბოლოფემეკული პეპლოსი. მისი თავიც შემკულია მახვილმტოვებიანი დიადემით. ჰეკატეს უკან სიერცხმი მომანს ორმანერტირებული ტაბურტი, რომლის ფეხს თავში შემკულია იონური კაპიტლებით.

ტრიბიტოლუმის უკან გამოსახულია პერსეფონე მარჯვენა პრიფილიში. აცვია მტად ნახა ქსიერლისგან დამზადებული ქიტონი და ფართო და გრძელი მოსასხამი. ორივე ხელში უკავია ზეთისხილის შტოს ბოლოები. თავი შემკული აქვს ფართომტოვებიანი დიადემით.

ტრიბიტოლუმისა და პერსეფონეს შორის სიღრმეში მოჩანს ჩუქურთმიანი დორიული კოლონა, რაც ადსატურებს, რომელზედაც ზდგა ელევსინის ტაძარი; ხოლო პერსეფონეს უკან კედელზე ჰკიდია პირსახეი, რომლის ბოლოები შემკულია მომან-მოყავისფრო ზოლითა და ე. წ. ჯოხების ორმანერტირებით.

ხედავს ფრ. ი. ოროგრე ჩანს, წარმოადგენს ფორნატორ სკეინს A კომპოზიციის ზედა ფორხის უშუალო გაგრძელებას, სადაც გამოსახული უნდა იყოს ლირაზე დამკვრელი და, მათ შორის, გამარჯვების ღვთაება — ფორთხა ნიკე. არაა გამორიცხული, რომ მრავალფეროვანი კომპოზიციით ჩართული იყოს ასევე აპოლონი და მარსიასის მუსიკალური შესრულების ამსახველი სცენა. ოროგრე ვთქვით, ცენტრში ნაჩვენებია ფრთოსანი ნიკე, რომელიც მარჯვნივ მიემართება. ის გამოსახულია მარჯვენა პრიფილიში, ორივე ხელი წინ აქვს გაწვეული. აცვია გადმოსული ზედატანიანი ქიტონი, რომელიც შემკულია ყავისფრად განზავებული შავი ლაქის ვიწრო ზოლით. უკან კონად შეკრული თმები დამარგებული აქვს ლენტისებრი სარტყლით. ნიკეს წინ ღირიანი ახალგაზრდაა, რომელიც მარჯვნივ მიემართება და უკან, ნიკესკენ. იხედება. თავი შემკული აქვს ზეთისხილის შტოთი, თმზე კერძო ტანს მუხლამდე ფარავს ბოლოფემეკული წამოსასხამი. ახალგაზრდა თავის შეიღებიან ლირას გადასცემს მის წინ მდგომ წყურთის მამაკაცს, რომელიც მარცხენა პრიფილიში გამოსახული. იგი მთლიანად გახვეულია სადა წამოსასხამში, მოუჩანს მარჯვენა ხელის ნაწილი, რომელშიც ჯოხი უკავია. წყურთის მამაკაცი ერთადერთი ფიგურაა, რომელსაც ფიჭზე სანაღი აცვია. წყურთისაზე თავზე ადგას ზეთისხილის შტოს გვირგვინი.

ნიკეს უკან გამოსახული ფიგურა ნაწილობრივ დაზიანებულია; აქაც მონატრული ყოფილა ახალგაზრდა, რომელიც მარცხნივ მიემართება, ხოლო თავი ნიკესკენ აქვს მებრუნებული, ე. ი. საზე ნაწენებია მარჯვენა პრიფილი, ტანი — ფსაში. ისიც გახვეულია წამოსასხამში. თავზე გაკეთებული აქვს ზეთისხილის შტოს გვირგვინი. ბოლოს, აქვია კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელიც მარჯვნივ მიემართება. ფიგურა ნაწენებია მთლიანად მარჯვენა პრიფილიში; ახალგაზრდას მარცხენა ხელში უკავია შეიღ-

მიანი ლირა, ხოლო მარჯვენა კი წინ აქვს გაწვეული. ისიც გამჭვირვალე მოსასხამში გახვეულია. მარჯვენა ხელის, მხრისა და ფეხების არეს წამოსასხამი ფარავს. ახალგაზრდას თავს უშვობს ზეთისხილის შტოს გვირგვინი.

ხედავს ფრ. ი. სიმპოზიუმი. სარემელზე წამოწოლილია მოსასხამი ნაწილობრივ გახვეული წყურთის მამაკაცი, რომელსაც მარჯვენა შიშველი ხელი წინ აქვს გაწვეული, ხოლო მარცხენაში მავლთაიანი სკიფთის უკავია. თავს უშვობს ზეთისხილის შტოებისგან შედგენილი გვირგვინი. იგი მარცხენა იდაყვით ეყრდნობა სწორი და კლავილი ზოლებით აჭრებულ ბალოში. სარემელის წინა ფეხების ბოლოები შემკულია დორიული კაპიტლებით. საწოლის წინ დგას გრძელი, არტუზ მალდი მაგიდისებური სუფრა (ტრაპეზი). წყურთის მამაკაცის საწოლის უკანა ფეხებთან ახლოს მონატრულია ქალის ფიგურა მარჯვენა პრიფილიში. მის მარჯვენა ხელში ბრინჯაოს იონოხითა უკავია, მარცხენაში კი — გაურკვეველი ნივთი, შესაძლოა ჯარა. აცვია გრძელი ქიტონი და წამოსასხამი. კუფასთან კონად შეკრულ თმებს ამაგრებს ლენტისებრი სარტყელი. ქალის უკან ვხვდებით ზურგთან სკანს, ხოლო კედელზე ჰკიდია მუსიკალური ინსტრუმენტის უფლარი. თვით საკრავი — შეიღებიანი ლირა კი გამოსახულია წყურთის მამაკაცის მუხლებთან. სიღრმეში აღმართულია ჩუქურთმიანი დორიული კოლონა.

მეორე სარემელზე წამოწოლილია წამოსასხამში ნაწილობრივ გახვეული ახალგაზრდა, რომელიც უსმენს ორმა ფლეიტაზე დამკვრელ გოგონას. ახალგაზრდაც მარცხენა იდაყვით ეყრდნობა ზოლებთან ბალოში. მავლთაიანი სკიფთის აქ ტრაპეზე დგას. საწოლის წინა ფეხების თავები შემკულია იონური კაპიტლებით. ფლეიტაზე დამკვრელ ქალს აცვია გრძელი ქიტონი და ბოლოფემეკული ფართო წამოსასხამი. კუფასთან კონად შეკრულ თმებს ამაგრებს ფართოფურცლოვანი დიადემა. გოგონა ნაწენებია მარჯვენა პრიფილიში. კედელზე ჰკიდია გაურკვეველი ნივთი.

ასეთია, მოკლედ, ფიჭვნარის კრატერის აღწერილობა. მასზე გამომტევილი სკეინების შინაარსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას შემდეგი: მითი ტრიპტოლუმის, დემეტრასა და პერსეფონეს შესახებ და სიმპოზიუმის ამსახველი სცენები ერთობ პოპულარული და გაგრძელებული სიუჟეტია ბერძნულ გაზაბთმომხატველობაში; ამიტომ, ბუნებრივია, მისი განსაზღვრა არაა დიდ სიძნელეებთან დაკავშირებული. ორივე სკეინისთვის შეიძლება დასასტუმრებელი იქნას არა ერთი უახლოესი პარალელი, როგორც ჩვენი გაზის მომხატველის ე. წ. „ნიომიდეის მატრისი“, ასევე სხვა კერამიკოსთა შემოქმედებები. საპაიროდ, სამეცნიერო ლიტერატურასა და ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებს შორის არ მოიხსნა უშუალო პარალელი კრატერის ზედა ფრთხის მრავალფეროვანი კომპოზიციის, რომელსაც „თეთრების მიერ ელენეს მოტაცების სცენა“ ეწოდება.

ბერძნული მითოლოგიის, ისტორიულ-ლიტერატურული ლიტერატურისა და ზოგიერთი მოხატული ფაქტის გათვალისწინების საფუძველზე, მივიღეთ დასკვნამდ, რომ ფიჭვნარის კრატერის მომხატველის მიზნად ჰქონდა დასახული — გადმოეცა თქვენთვის მიერ ელენეს მოტაცების ენობრივი ერთი. რომლის მიხედვით თქვენსა და მის-მა მეგობარმა პერიოთიმ ელენე მამის მოტაცებას, რაკა იგი თავის ტალ-შეგობრებთან ერთად ცეკვავდა არტემიდ-ორთის კარბარში.

თქვენის ირგვლივ შექმნილი თქმულებათა ციცილი ადსატურებს, რომ იგი ხშირად გამოდის ქალის მომტაცების როლში. ფიჭვნარის კრატერზე გამოსახული თმ-

ველი ახალგაზრდა, რომელსაც თუხვესთან ვაიცივით, ცოცხალ სურათთან განსაზღვრულად წარმოადგენს წყარო-ებში აღწერილი გმირისა. პლუტარქესთან ვითხოვთ: „მშვენიერი სანახაო იყო თუხვესი: მაღალი, ტანადი, თვალად მშვენიერი, მუქი კულუ-ლებით, გრუსად რომ ყყარა ფართო მხრებზე. შუბლზე კი კულულები შეკრებილი ჰქონია, რადგან აქოლის შესწორა. ახალგაზრდული დაკუნთო-სისხელი ტაბუკის ძალზე ღირსეულ მო-შინაა. ატეკლი ვაჟათომხატველი გმირებს ჩე-ვებრივ შიშვლად გამოხატავდნენ. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ თუხვეს ყოველთვის ახუ-რავს პეტაში, აქვს წყვილი შუბი, მოკლე სატყვარი და ვიწრო წამოსასხამი.

სიუჟეტურად ფიქვენარის კრატერის ზედა ფრთხან გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ქ. ბოსტონში დაკული ვო-ლუტებიანი კრატერის ყელის მხატვრობა, რომელიც შეს-რულებულია ფიქვენარის ვაზის მომხატველის „ნიობიდე-ბის მხატვრის“ მიერ. ქალის მოტაცების შედარებით მარ-ტივ სიუჟეტებს ხშირად შევხვდებით ბერძნულ მოხატულ ლარნაკებზე, მაგრამ მათი შინაარსობრივი ასხნა მო-ცემული არ არის. ზოგიერთი მკვლევარი ახალგაზრდას თუხვესთან აიგივებს, რომ შემხვედრად კი კონკრეტულად განასწავრულია, როგორც თუხვესის მიერ ელენეს მოტა-ცების სცენა, მაგრამ ამ სცენის ასე სრულყოფილი ფარ-თი მხატვრული ტილო მხოლოდ და მხოლოდ ფიქვენარის ვაზზეა დაკული.

ფიქვენარის კრატერის მომხატველი, ე. წ. „ნიობიდე-ბის მხატვარი“ ითვლება წითელფიფერიაში მხატვრობის ე. წ. თავისუფალი სტილის ერთ-ერთ უდიდეს წარმომად-გენლად, მონუმენტალური ვაზათომხატველობის ყურამ-დებლად; როგორც ცნობილი, ე. წ. მე-5 საუკუნე II მე-ოთხედლიდან აღმოსავლურ დესპოტიზე, სპარსეთზე იჩინე-თა გამარჯვების შემდგომ უდიდესი გარდატეხა ხდება ან-ტიკურ ხელოვნებაში. ე. წ. მაკედონ სტილის არქაული ხე-ლოვნების გადმონათებით მრავალფეროვანი პირობით სირ-ტისებრ-ჩრდილისებრი გართხმული და ფრთხისებრად განლაგებული ფიგურების ნაცვლად თანდათანობით ინერ-გება კლასიკური მონუმენტალური მხატვრობა გრანდიო-ზული მრავალფიფერიაში კომპოზიციებით. სიახლე „მა-ღალი კლასის“ ხელოვნებაში აღინიშნა იმით, რომ რთულ კომპოზიციებში ფიგურები გამოსახული არიან პლატიკ-ურად, თავისუფლად, ბუნებრივ, კარმონიულ მოძრაობა-ში; დიდი ყურადღება მიექცა პერსონაჟთა ფიზიკური და სულიერი სრულყოფის ერთნაირი ძალით გადმოცემაში. ჩნდება ახალი ფორმები გრანდიოზურობაში სცენების სიერ-ცემი კომპოზიციური განლაგებისთვის. არა ერთი შედეგ-ი შექმნის ადრეკლასიკური ბერძნული ხელოვნების უდი-დესმა. წარმომადგენლებმა, მონუმენტალური კედლის მხატ-ვრობის ჟუჟემბელებმა პოლიგონობა და მიკონმა, რომელთა ტრადიციულმა ვაზათომხატველობაში ნერგავს ფიქვენარის ლარნაკის მომხატველი.

„ნიობიდის მხატვრობის“ დამახასიათებელია იო-ლიონურივან მდგომარეობაში თავისუფალი განლაგე-ბა. სიმშვიდე, რომელსაც ისინი გამოხატავენ, ატარებენ არა აბსტრაქტულ, არამედ სრულიად სარწმუნო და ბუნებრივ სასილს, გავრთვებენ ოლიმპში ზეგნის ტაძარზე გამო-სახული ღმერთებისა და გმირების მონუმენტალურ ფიგუ-რებს. იგი ქმნის მისთვის საყვარელი ღმერთების (აპო-ლონი და არტემიდე, ზეფის და ათენა, დემეტრე და დიო-ნისე და სხვ.) თუ გმირების (თუხვესი, ტრიპტოლემოსი, ორფეუსი და ა. შ.) ტიპურ განზოგადებულ, იდეალი-

ზებულ სახეებს. ყველა ეს ნიშანი დამახასიათებელი იყო ადრეკლასიკური ბერძნული ხელოვნების ახალი მიმართუ-ლებისთვის.

ანტიკური მოხატული ვაზების ცნობილი სპეციალის-ტი ი. ბიზლი „ნიობიდის მხატვრის“ კალამს აკუთნე-ბებს 101 ვაზს, ხოლო მისი მოწაფეებისა და ზარისებრი მისი საყვარელი ფორმების ელუტებისა და ზარისებრი კრატერები, შედარებით იშვიათად ხატავს პელიკებზე, პილიონებზე, ამფორებზე, იონიონებზე და ლაკანებზე. რე-პერტურაში ასახავს პოპებს მონუმენტური კედლის მხა-ტვრობის თემატიკა: ამპრონომიხია, კრეტარომიხია, გი-განტომიხია, ტროას დაცემა და ა. შ. ასევე ხშირად შეხე-დებით სხვა საყოფაცხოვრებო სიუჟეტებსაც. მაგალითად, მეომრის გამოთხოვება ოჯახთან, სიმპოზიუმები — ღვი-ნის სმისა და კიტების თამაშის სცენები და ა. შ.

რა თქმა უნდა, აქ საშუალება არა გვაქვს ვრცლად ვი-საუბროთ ვაზის მომხატველის შემოქმედების ყველა ნიმუშ-ზე; ფიქვენარის კრატერთან როგორც ფორმის, ისე ორ-ნამენტაციისა და ბუნებრივია, მხატვრობის სტილის მი-ხედვით ყველაზე უფრო ახლო დგანს ორფიკური (და-სჯელი სკენის მუხლებში) და რეალისტულ ქალაქ სპინაში აღმოჩენილი წითელფიფერიაში კრატერი, რომელიც არა-მარტო მოხატულია ერთი მხატვრის მიერ, არამედ დამ-ზადებულიც ერთ და იმავე სახელოსნოში.

ლუერის კრატერის ფორმალურ სცენაზე გამოსახუ-ლია არონავტების შეგება. პერსონაჟები განლაგებუ-ლია უსწორმასწორო ზედაპირზე, რაც, რა თქმა უნდა, მსგავსად პოლიგონობის მიერ დანერგული კედლის მხატ-ვრობისა, სიანძლე ბერძნული ვაზათომხატველობისათვის და დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომაც საგანგებოდ შეე-ჩერდებით ცხებით მდგომ შიშვლად ახალგაზრდაზე. ფიქ-ვენარის კრატერის მიხედვით, შესაძლებელი ხდება სწო-რად განსაზღვრით „ნიობიდის მხატვრის“ შედეგების ლუერის კრატერის ეს პერსონაჟი. ამ განსაზღვრას კი მე-ტად დიდი მნიშვნელობა აქვს ლუერის კრატერზე გა-ნოსახული სცენების სწორი ინტერპრეტაციისთვის.

ერთი შესხვედრითაც აშკარა ხდება, რომ ლუერის კრატე-რის ეს ფიგურა როგორც მხატვრობის, ასევე აბრუნებუ-ბის მიხედვითაც, იმეორებს ფიქვენარის კრატერზე გამო-სახულ შიშვლად ახალგაზრდას, რომელიც ქალის მომტა-ცებლის როლით გამოდის. მოვლი რიგი მონაცემების მი-ხედვით, ამ ფიგურას ჩვენ ვუკავშირებთ ატიკის უპოუ-ლარეს გმირს თუხვესს და, შესაბამისად, ლუერის კრა-ტერზეც გამოსახულ ცხებით მდგომ ახალგაზრდასაც ჩვენ თუხვესად მივიჩნევთ. მსგავსად ფიქვენარის კრატერ-ზე გამოსახული ახალგაზრდასა, ლუერის კრატერის პერ-სონაჟსაც ხურავს უსუსტად ისეთივე ორნამენტურობითი პეტაში, ხელო უყურია ასევე წყვილი შუბი, ფერზეც ჰი-დია მოკლე სატყვარი, ხოლო პირდაპირ ხელზე გადადებ-ბული აქვს ვიწრო და გრძელი წამოსასხამი. ასევე იღვწ-ვურთა სხვა გარემული ნიშნების მიხედვითაც. გარდა ამისა, ბერძნული მიოთის მიხედვით ვიცით, რომ არგო-ნავტების ლაქრობაში მონაწილეობდა თუხვესიც.

ამ განსაზღვრას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რად-განაც ლუერის კრატერის ფორმალური სცენის ინტერ-პრეტაციის საქმეში შეცნობიერა შორის აზრთა სხვადასხვა-ობაა. შეგჩერდებით ზოგიერთ მათგანზე: ბიზლის, ვისკ-ტერის, პილიონისა და რომერტის მიხედვით აქ გადმოცე-მული უნდა იყოს „პერტურა და არგონავტიკა“. პაუზერი მათ მართაონის ძროხის გმირებად მიიჩნევს. ხოლო სიქსის მოსაზრებით, ამ სცენაზე გადმოცემული უნდა იყოს პე-რაკლეს მიერ თუხვესის განათავისუფლების სცენა ქვეკ-ნელის ტყვეობიდან. თუხვესი და პერიოთისი შეიწირა ახუ-

ვე გარდნებმა 1889 წელს. ახალ ვრცელ მსჯელობას გთავაზობს ამ სცენის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ერთი სიმონი, რომლის მიხედვითაც ლუვრის კრატერზე გადმოცემულია არა პირველი „მითური“ დაბრუნება პაქსის სამეფოდან, არამედ მეორე „ისტორიული“, როცა ძვ. წ. 475 წელს კიონმა ჯერად სკიონისკენ აღმოჩნული „დიდი აზიანების ადამიანის კუბი, რომლის გვერდითაც სპილენძის შუბი და ხმალი იყო“ თესვების ნუსხად მიიჩნია და დიდი პატივით გადმოასვენა ათენში და დაკრძალეს თუნუნში, აგორას მასლობლადა. ერთი სიმონი თქვამდა მიიჩნევს ქვემოთ, მიწაზე გარბნულ ახალ-გაზრდას. რა თქმა უნდა, ერთი სიმონის ეს ინტერპრეტაცია, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, საფუძველს მოკლებული ჩანს. როგორც ზემოთ მითითებებით, ფიჭვნარის კრატერი შესაძლებლობას იძლევა ზუსტად განესაზღვროს ლუვრის კრატერზე გამოსახული თესვის: ესა ცხვენთან მდგომი ახალგაზრდა, ხოლო ერთი სიმონის მსჯელობა კი მთლიანად აგებულია იმაზე, რომ ლუვრის კრატერის ფრონტალური სცენის თავერი გვიჩვენებს გარბნულ ახალგაზრდას, რომელიც გარყვნილი ნიშნებითაც არა ჰგავს თესვეს.

ფიჭვნარის აღმოჩენის მიხედვით, უფრო სარწმუნოდ მიგაჩნია ბიზოსი, ვებსტერის, პლემიკისა და რობერტის განსაზღვრა, რომ ლუვრის კრატერზე ნამდვილად გადმოცემულია არაოსმონის შეკრების სცენა. ლუვრის კრატერის მეორე მხარეს მოცემულია ნიობიდების დახოცვის პათეტური სცენა.

ლუვრის კრატერის მიხედვით კარგად ჩანს, რომ მოქმედებს იშლება სივრცეში, უსწორმასწორო ზედაპირზე. ფიჭვნარის ნაწილი განლაგებულია ბორცვებზე. მათი მოძრაობა, განსხვავებით მაცირი სტატიის მსატკრებლის კუთხოვანი მოძრაობებისაგან, უფრო ბუნებრივი, თავისუფალია. კრატერი დათარიღებულია ძვ. წ. 455-450 წლებით.

გარდა ლუვრის კრატერისა, ფიჭვნარის ვაზსთან როგორც ფორმის, ასევე ორნამენტაციისა და მსატკრებლის მანერის სრული ერთგვარობის მიხედვით, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სპინას კრატერი. სწორედ ამ ვაზის მიხედვით დაუკავშირეთ ფიჭვნარის კრატერის მსატკრებლობა „ნიობიდების ხელოსანს“, რაშიც ორი აზრი უკვე აღარ შეიძლება იყოს.

სპინას კრატერი დათარიღებულია ძვ. წ. მე-5 საუკუნის შუა წლებით. ამავე პერიოდს განეკუთვნება ფიჭვნარის კრატერიც. სპინას კრატერის ზედა ფორჩხე მოხატულია გიგანტმახისა, ხოლო ქვედა ფორჩხე ერთ მხარეს — მითი კრატერების, დემეტრისა ოპ პერსეფონეს შესახებ, მეორე მხარეს კი — თათისა და დელსატიონთან დაკავშირებული პროცესია მენადებისა და სკატიის მონასწილობით.

ამრიგად, ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძენ მოახლოვნება სამაროვანზე აღმოჩენილ წითელფიჭვიან კრატერს სხვა მოხატულ ვაზებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს ანტიკური ხელოვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს, რომელიც ამდღერებს ჩვენს ანთებს და თაღისაჲნი მასალას იძლევა კლასიკური მონუმენტალური მსატკრებლის შესასწავლად.

წინე აზრით, ფიჭვნარის კრატერის ზედა ფორჩხე უნდა აცოცხლებდეს მონუმენტალური კედლის მსატკრებლის დღემდე უცნობ მრავალფიჭვიან კომპოზიციას. ამ თვალსაზრისით ჩვენი მოსაზრების მცენიერული ღირებულება მეტად დიდია. გარდა ამისა, ფიჭვნარის ვაზა

შესაძლებლობას იძლევა სწორად განესაზღვროს „ნიობიდების მსატკრებლის“ შედგენის ლუვრის კრატერის ერთ-ერთი პერსონაჟი — ცხვენთან მდგომი ახალგაზრდა და ფიჭვნარის კრატერზე გამოსახული თესვის ორულად მიიჩნით. შესაბამისად მართებული ჩანს ლუვრის კრატერის ფრონტალური სცენის აღრიდვლ ინტერპრეტატორთა შესთვლება იმაზე, რომ აქ გადმოცემულია არაგონატების შეკრების სცენა. არაა გამორიცხული, რომ ლუვრის კრატერი კოლხეთის პაქსისპირად იყო დამზადებული და ამიტომაც მსატკრებმა მოგვცა ლეგენდარულ კოლხეთთან დაკავშირებული თემა; იგი სულ შეიძლება, ჩვენთვის უცნობი მისთვის გამო, იგი სულ სხვა მიმართულებით იქნა გაგზავნილი. საერთოდ კი ორივეს, სპინასა და ფიჭვნარის ლარნაკების ერთ და იმავე სახელობაში დამზადება არავითარ გვეს არა უნდა იწვევდეს.

ფიჭვნარის კრატერი საპირის ადგილს იკავებს „ნიობიდების მსატკრებლის“ შემოქმედებაში. იგი თამაშად შეიძლება ლუვრისა და სპინას კრატერების გვერდით დაგავსდეს. უფრო მეტიც, ფიჭვნარის ზომიერი განლაგების მიხედვით ის სპინას კრატერზე მაღლა დგას, სადაც გაკვეთილად შეინიშნება სცენების გადატვირთულობა.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ფიჭვნარის კრატერზე მოცემული პერსონაჟების ჩაცმულობის, სამკაულების, ვარცხნილობის, დგამ-ავეჯისა თუ სხვა ნივთების მრავალფეროვნება, სინატიცე და გამომსახველობა.

ბუნებრივია, ფიჭვნარის წითელფიჭვიანი კრატერის მნიშვნელობა მარტყ ამით არ ამოიწურება. სამაროვანზე მოპოვებულ სხვა მრავალფეროვნება უცხოურ ნაკეთობასთან ერთად იგი წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ წყაროს ძველ კოლხეთსა და ანტიკურ სამყაროს შორის არსებულ ურთიერთობების რიგი აქტუალური პირობების ასწავლად კლავისთვის. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე მსჯელობა სამართების მთელი მასალების განხილვის დროს იქნება მოკლებული, მაგრამ ახლა წინასწარ შევნიშნავ: ბათუმის ციხის, ციხისძირის, ფიჭვნარის, ფოთისა და სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები ცხადყოფენ რომ გვიანარქული ხანადა საქართველოს ზღვისპირეთიც ექვემდებარებოდა სამეფოსთან სისტემატურ ურთიერთობათა სფეროში, რაც, რა თქმა უნდა, დაკავშირებული ჩანს არქაული ხანის (ძვ. წ. VIII-VI სს.) დიდ ბერძნულ კოლონიზაციასთან.

პირველ ხანებში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ათვისებას საბერძნეთის იონური ცენტრები ცდილობდნენ, რასაც, როგორც ჩანს, დიდ წინააღმდეგობას უწევდა ძველი კოლხეთის ადგილობრივი მოსახლეობა. ბათუმის ციხის გათხრებისას ფიქსირებულ იქნა იონურ კერამიკიანი შრე, სადაც შეინიშნებოდა წყა-ნარების ნაშთები; უნდა ვიფიქროთ, რომ ძალადობაზე დამყარებულ იონურ კოლონიზაციას წარმატება არ მოჰყოლია. გარკვეულდ იცვლება ვითარება ბერძენ-სპარსელთა ომში ეგეისთა გამარჯვებისა და ათენის საზღვაო კავშირის შექმნის შემდეგ. ფიჭვნარის მაგალითზე ჩანს, რომ ძვ. წ. V საუკუნის II მეთოხედიდან აქ ჩნდება ატიკური პოლისური დასახლება, რომელიც განსხვავებით აღრიდვლი ძალადაცხადებულ დამყარებულია და შესაბამისად წარუმატებელი იონური კოლონიზაციისაგან მშვიდობიან, მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ადგილობრივ მოსახლეობასთან. სწორედ ამ პერიოდიდან განუხრებლად იზრდება ფიჭვნარის როლი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში.

საქართველოს სახელმწიფო

სიმეზიანი კვარტეტი

პრემიუმი დიდი ხანია, რაც დასრულდა საქართველოს სახელმწიფო სიმეზიანი კვარტეტის შემადგენლობის განახლებისა და ერთსულოვან მიზანსწრაფვისთვის დაქვემდებარების პროცესი. ექვსი თვეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კვარტეტს თბილისში გამართული ორიოდე საკონცერტო საღამოთი წარმოეჩინა თავისი პერსპექტიული სახე, ხოლო მოსკოვში, კვარტეტების საკავშირო კონკურსზე, „ირმის ნახტომით“ პირველი ადგილი მოეპოვებინა.

სიმეზიანი კვარტეტის დღევანდელი შემოქმედებითი სახე საიმედოა. საქართველოში იშვიათია მეორე ისეთი ანსამბლი, რომელიც ესოდენ მტკიცედ უშკლავდებოდეს ქართული ხასიათის, ახალგაზრდული ასაკისა თუ მოპოვებული გამარჯვებით გამოწვეული გადიდებულების ტრადიციულ ცდუნებებს. შემოქმედებითი ამაღლებისაკენ სწრაფვისა და მხატვრული ძიებებით გატაცების პოეზიას ჩრდილავენ კვარტეტის წევრების ყოველდღიური ერთობლივი შრომის, მტკიცე დისციპლინისა და პროფესიული პასუხისმგებლობის პროზაული საათები.

ანსამბლის ყოველი წევრის მკაფიო ნიჭს, საკმაოდ ნაყოფიერ საშემსრულებლო გამოცდილებასა და თვალსაჩინო ინდივიდუალურ მონაცემებს ემატება კიდევ ერთი იშვიათი ღირსება — ინტელიგენტური, თუ გნე-

ბავთ, რაინდული დამოკიდებულება ყოველი სასარგებლო რჩევისადმი.

მიღებული ესტაფეტა, ახალ მხატვრულ-ესთეტიკურ თუ საშემსრულებლო მოთხოვნებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ზრდის სიმეზიანი კვარტეტის პასუხისმგებლობას ეროვნული მუსიკალური ხელოვნების წინაშე.

ამ ახალგაზრდული საშემსრულებლო ანსამბლის სულისჩამდგმელი და მხატვრული ხელმძღვანელია სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული სიმეზიანი კვარტეტის ყოფილი წევრი, პროფესორი გიორგი ბარნაბიშვილი. იგი რამდენიმე თვის წინ გავიდა კვარტეტის შემადგენლობიდან და ვიდრე ვიოლონჩელის ტოთარ ჩუბინიშვილის სახით საიმედო შემცვლელს მიაგნებ-

და, კვარტეტის ახალგაზრდა წევრები ამ ანსამბლის მრავალ საგულისხმო შესაძლებლობასა და მომზიბეღელ თავისებურებას აზიარა.

გ. ბარნაბიშვილმა ქართული კვარტეტი საკონცერტო ცხოვრების ფართო გზაზე გაიყვანა, გვერდში ამოუყვანა რესპუბლიკის მუსიკალური მოვლენების აქტიურ მონაწილეებს, ააღორძინა ამ ანსამბლის ხანგრძლივად მიყურებული, მოდუნებული სახე და ახალგაზრდა მუსიკოსები შემოქმედებაში აუცილებელ „ბეწვის ხიდზე“ გაატარა. კონცერტებმა რესპუბლიკისა და კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ქართული მუსიკის დეკადებმა მოსკოვში, ესტონეთში, გდრ-ში, ჩეხეთში, ჟეკინის უკიდურეს წერტილში — სახალინზე, ახალგაზრდა მუსიკოსებს გაუმწკრივა საკუთარი ძალები — სადმი რწმენა.

ინთავითვე ცხადი გახდა კვარტეტის მხატვრულ შესაძლებლობათა დიაპაზონი და თვითმყოფი პროფესიული სახე. საქართველოს კვარტეტის მაღალი საშემსრულებლო კულტურა შეუწინეველი არ დარჩენილა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამერულ-ინსტრუმენტული მუსიკისა და, სახელობრ, საკვარტეტო მუსიკის საუკუნოვანი ტრადიციების ქვეყანაში — გერმანიაში ჩვენი მუსიკოსების ხე-



საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის გამოსვლა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ლოვნების შეფასება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკონცერტო ორგანიზაციის ერთ-ერთი დირექტორი გუსტავ ვატცინგერი ასე აფასებს ჩვენი მუსიკოსების ხელოვნებას: „ჩაც დღეს ვნახე და მივისტოვე, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. საქართველოს კვარტეტი ხასიათდება პროფესიული დახვეწილობითა და სახანრიოლო ოსტატობით. ასრულებფრა ქართველი შემსრულებლების ღრმა წვდომის უნარმა სხვადასხვა სტილის თავისებურებაში. კვარტეტი ერთნაირი ოსტატობით ასრულებს რომანტიკოს ბრამსს, კლასიკოს პაიდმს. ტემპერამენტული და ემოციურია მათ მიერ შესრულებული ცინცადის მომხიბვლელი საკვარტეტო ნაწარმოებები“...

გიორგი ბარბანიშვილმა მიღწევების ამ დონეზე დატოვა კვარტეტის შემადგელობა და შემსრულებლის როლი ღირსეულად გასცალა მეცენატის როლზე. მისი არტისტული ბუნება, მაიმონივი მხრანულე სივსცლეს განაგრძობს ახალგაზრდა მუსიკოსთა წარმატების ჩრდილში. ამიტომ შეიკრა ქოტედი ხანმოკლე პერიოდში კვარტეტის განახლებული შემადგელობა და ბუნებრივად შეეზარდა იქ დაჰკვიდრებულ ტრადიციას მისი ახალა წვერიც.

ალიარებული ჭეშმარიტების შესენება იქნება, თუ ვიტყვი, რომ კვარტეტი რთული სამშსრულებლო ორგანიზშია, რომლის სასიცოცხლო იმპულსები ყვრდნობა წინააღმდეგობათა ერთობლიობის მარადიულ კანონზომიერებებს. საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ახალგაზრდა კოლექტივია, რომელიც ოთხი განსვავებული ფსიქოლოგიის, აზროვნების, ძალის, ნიჭის, ტემპერამენტის მუსიკოსისგან შედგება. ინიჩი ქვემდებარებიან ჩანაფიქრის გასნის იმ ერთობლივ პროცესს, რომელსაც მხატვრულ აზრს ეწევილებთ. სწორედ ეს უკანასკნელი აწონასწორებს მხატვრული დატვირთვის ბალანსს — პირველი მევიოლინე კონსტანტინე ვარდლის მოჭარბებულ ემოციურობას

და მკვეთრ არტისტიზმს, მეორე ვიოლინის პარტიების შემსრულებლის — თამაზ ბათიაშვილის აკადემიურ სისადავეს და პოეტურ სირბილებს, ალტის ოსტატური მფლობელებს — ნოდარ ჟვანიას მუსიკალური მეტყველების სილალესა და ემოციუბის გაგაცური გამჟღავნების ტინსა და ჩელოს პარტიების შემსრულებლის — ოთარ ჩუბინიშვილის დახვეწილ, ინტელიგენტურ მანერას შორის.

ამ ოთხი განსხვავებული მუსიკალური ნატურის შეხმიანებას, ხმის შეწყობას დრო სჭირდებოდა და ჩრდილოვანი მხარეებიც კონცერტიდან კონცერტამდე ქრებოდა. საგულისხმო ქართული საკვარტეტო ფანრის დიდოსტატის სულანს ცინცადის სიტყვები: „იმედით შევევრებ საკრთველოს კვარტეტის ამ შემადგენლობას და მიმანია, რომ სულ მალე იგი გაამართლებს ჩვენს იმედებს; ჩვენ ულბათ სულ ახლო მომავალში ვიპაყებთ ამ ახალგაზრდა მუსიკოსტებს. მათ ყველაფერი აქვთ საიამსოვ: ნიჭი, შრომისუნარიანობა, დისციპლინა, სიყვარული“.

ახალგაზრდა მუსიკოსებს ბევრი აქვთ გასაცემელი. თანამედროვე საკონცერტო ცხოვრებისა და სამშსრულებლო ხელოვნების გაზრდილი მოთხოვნები მრავალ პრობლემას აყენებს მათ წინაშე. ეს არის ფიჭირ რეპერტუარზე, ქართველ კომპოზიტორებთან შემოქმედებითი მეგობრობის გამტკიცებაზე, ახალი ავტორების ძიებაზე. ეს არის ფიჭირ ქართველ მსმენელთან კონტაქტის დამყარებაზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მსმენელების, მათი თაობის ფართო საზოგადოების დაინტერესებაზე კამერული მუსიკის ისეთი რთული ქანრი, როგორიცაა კვარტეტი. დაბოლოს, ეს არის ფიჭირ სავასტროლო კონცერტებსა და საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც შემოღწომაზე იმართება საკვარტეტო ქანრის დიდი ისტატის კომპოზიტორ ბელა ბარტოკის სამშობლოში, უნგრეთში.

ბუნებრივია, რომ თანამედროვე ავტორთა საკვარტეტო ნაწარმოებებს

შორის ახალგაზრდა მუსიკოსებსა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცის ბარტოკის ამ ქანრის ერთ-ერთ ურთულეს ნაწარმოებს — № 4 კვარტეტს, რომელსაც საკმაოდ იშვიათად ასრულებენ საბჭოთა ანსამბლები.

ეს ნაწარმოები კომპოზიტორმა უძველეს სახელოვან კოლექტივს „Pro arte“-ს და პირველად იგი 1929 წელს ბუდაპეშტში შესარდა ვალდაურის კვარტეტმა. ამ ნაწარმოების საუკეთესო ინტერპრეტაცია ამერიკის კულიარდის კვარტეტთან არის დაკავშირებული და იგი მოფიქროლის სახელოვანი საკვარტეტო ანსამბლების რეპერტუარს ამჟღავნებს. საქართველოს სიმებიანმა კვარტეტმა გაბეღული ნაბიჯი გადადგა ამ ნაწარმოების არჩევით. მაგრამ გაბეღულებსთან ერთად იგი მოითხოვს მაღალ პროფესიულ ოსტატობას, ბრწყინვალე სამშსრულებლო ტექნიკასა და ხმოვნების განსაკუთრებულ კვლტურასაც, რომ არაფერი ვთქვათ ბარტოკისთვის დამახასიათებელი პარტიტურის რთულ ფაქტურაზე, რიტმულ ენერგიაზე, უჩვეულო კოლორიტულ ფეშტებასა და კვარტეტის ქანრის სიმფონიზირების იმ ტენდენციაზე, რომელიც აშკარად გლინდება ამ ნაწარმოებში. დრამატურგიულად მონოლოთური კვარტეტის ყოველ ნაწილს თავისი მხატვრული სახე და საშენი მასალა გააჩნია, რომელიც შემსრულებლისაგან მოითხოვს პარტიტურის დეტალების საფუძვლიან დაბეჭდვასა და ბარტოკის სტილის რთულ კონსტრუქციულ მონაცემებში „მოშინარებას“.

საქართველოს სიმებიანი კვარტეტის წევრებმა თბილისში გამართულ კონცერტზე ცხადვეს არა მარტო ბარტოკის აღნიშნული კვარტეტის პარტიტურის ბრწყინვალე ათვისება, არამედ ანსამბლის დიდი შემოქმედებითი პოტენცია, არტისტიზმი, საკუთარი ძალების მოთხოვნების იშვიათი უნარი, კონსტრასტული სხევის სიღრმეში შეჭრის ადლო. შობამეჭდავი იყო ამ კვარტეტის II წილის ტემბრული კოლორიტი, ბარტოკისეული სკერცოს მეტეორული

ჩამოჭოროვდა, თითქმის „სუნთქვაშეკრული“ სრბოლა Prestissimo-ზე. დაგვამახსოვრდა ოთარ ჩუბინიშვილის რეჩიტატივები ამ კვარტეტის III ნაწილიდან, მისი თხრობის დახვეწილი მანერა, ეროვნული კოლორითი მიმოფრქვეული არომატული ინტონაციური ბრუნვები. არანაკლებ საინტერესო იყო ამ ნაწილის დასკვნითი ეპიზოდი — პოლიტონალური კანონი — ოთხი ახალგაზრდა „რანდის“ ტოლფასოვანი მერკინება.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ საქართველოს სიმებიანმა კვარტეტმა მოსკოვში, საკავშირო შესარჩევ ტურზე, ბარტოკის ამ ნაწარმოების ბრწყინვალე შესრულებით ერთსულოვანი აღიარება და პირველი ადგილი მოიპოვა. კონკურსის ფიურის თავმჯდომარემ, ლიტვის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ლიტვის სახელმწიფო კვარტეტის ალტისტმა ა. ფელდსინჯასმა და სხვა წევრებმა ჩვენი ახალგაზრდა

მუსიკოსები ბარტოკის შესრულების შემდეგ „კონკურსარეშე მოვინდა“ მიიჩნიეს.

თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებიდან ჩვენი კვარტეტი ასრულებს შოსტაკოვიჩის № 8 კვარტეტს, სულხან ცინცაძის კვარტეტს № 6, მის მინიატურებს, ნოდარ მამისაშვილის საკვარტეტო მინიატურებს. მათ საქართველოში პირველად შესასრულებელბრის ურთულესი საკვარტეტო მინიატურები.

განსაკუთრებულია ჩვენი დამოკიდებულება კლასიკური რეპერტუარისადმი. კვარტეტი ჯერ კიდევ, ვფიქრობ, საქიროებს კლასიკური სიხალადეების იმ სიმაღლის დაპყრობას, რანდოც აუცილებელია ჰაინდის, მოცარტის ნაწარმოებების შესრულებისას. დროთა ვითარებამ ბევრი კორექტურა შეიტანა მათ შესრულებაში და მოსკოვის კონკურსზე ჩვენმა მუსიკოსებმა სასურველ შედეგს მიღწიეს. მათ მიერ შესრულებული მოცარტის G-dur კვარტეტი არ იყო

ამოვარდნილი იმ საერთო მთვინეობის ატმოსფეროდან, რომელიც წილად ხვდა საქართველოს კვარტეტს. დახვეწილობა, ამაღლებული და სადა ინტონირება, ბგერის მეტი სინატრუ და გრაფიკული სიძუნწე შემატა მათ კლასიკურ რეპერტუარს. ჩვენი კვარტეტის რეპერტუარში ნაწარმოები ბრამსის მე-2 კვარტეტი a-moll. იგი ბრამსის პოლიფონიური ოსტატობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება და ქართველი მუსიკოსების უდავო წარმატებას უნდა მიეწეროს. ბრამსის ამ ნაწარმოებში სხვათა მსგავსების მაღალი კულტურის წარმონიშნა, სადა, გულითად და უპრეტენზიო ლირიკულ ხილვებთან რომ არის შერწყმული.

საქართველოს სიმებიანი კვარტეტის უახლოესი გეგმები, ფიქრება და ენერგია მიმართულია იქითკენ, რათა საფუძვლიანად მოეზადოს ბუდაპეშტის კონკურსისთვის.

მ ა ჟ ა

ჩ ა რ ა ვ ა

„მინც ცხემრამაში მიწნად დაისახა ამაღლებულის წოდომა და სხეებისთვის მისი მოსაწვდომად გახდომა, მას უდავოდ ესმის სხეებზე მეტად, რომ ხელოვნებანი არა მარტო ესაზღვრებიან, არამედ ავსებენ კიდევ ერთმანეთს და მსატყარმა, თუ მას სურს ჭეშმარიტად ემსახუროს ერთ-ერთ მათგანს, უნდა დაამყაროს მათ შორის ძმური კავშირი“.

სტეფან ცუაიგის ეს მოსაზრება შესაძლოა დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას ყველა ახალგაზრდა მსატყრის შემოქმედებითი მომავლის აუცილებელ პირობათა შორის, რათა ის არ წაღკდოს „ამაღლებულის მაძიებელთა“ დინებაში და ჩვენი დროის ამ რანგის მოზღვაველ პოეტებდენტათა შორის ფართო მსატყრული ხედვებით, ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის საინტერესო „შუამავლობით“ თავისი

ბილიკი გაკაფოს სილამაზის მოპოვების მარადიულ გზაზე. ამ გზაზე დგას ახალგაზრდა ქართველი პიანისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვაჟა ჩაჩავა, რომელიც ჩვენი ეროვნული მუსიკალური ცხოვრების საინტერესო მოვლენების აქტიური მონაწილეა და რომელსაც მასში, თავისი პიროვნული თუ შემოქმედებითი ღირსებებით, მომხიბვლელი თვითმყოფადობით თავისებური კოლორით შემაქვს.

საერთო სიმშათის ვაჟა ჩაჩავა უპირველეს ყოვლისა იმსახურებს იმით, რომ იგი ნამდვილი შემოქმედი და მკაფიო ტალანტის მუსიკოსია, რომლის მთელი არსება, გატაცება, სიყვარული და ენერგია ეკუთვნის ხელოვნებას და მასში თვითდამკვიდრებისაკენ მიზანსწრაფვას. ამაში კი მას ესმარება მომადლებული ნიჭის მრავალმხრივი გამოხატულება, ქმედითი ბუნება და ფართო ერულიცა.

შეჰსაირო, ვაჟა-ფშაველა, იმპრესიონისტული პალიტრა, ქართული ფრესკის სისადავე თუ ბუნების სილამაზის პირველადობის აღმოჩენის უნარი ისევე აუცილებელი საზრდოა მისი მსატყრული წარმოდგენებისათვის, როგორც მოცარტი, სკრიანინი, მუსორგსკი, პროკოფიევი და ქართული სახლური სიმღერები.

ახალგაზრდა პიანისტის ცხოვრების მომძრავებელი ძალა თვით მუსიკაა, რომელიც ექვსი წლის ასაკიდან დღემდე აწვიდს საზრდოს მის შემოქმედებით პოეტნიკას, ხეწს და ამდიდრებს მის პოეტურ ბუნებას, მსატყრულ



ვაჟა ჩაჩავა.

გემოვნებას, ამაღლებულსა და კეთილშობილს ხდის მის სულიერ სამყაროს. მუსიკის ეთიკურმა ძალამ ვაჟა ჩაჩავა თითქმის გაანთავისუფლა და დაიცვა ყოველდღიურობის ერთფეროვნებისაგან, ცხოვრებისეული კონფლიქტებისაგან. როდესაც მას ეცნობით როგორც პიროვნებას, გრძნობთ იმ წმინდა, „მოცარტისეული“ საწყისს, რასაც ადამიანებში ხედავდა სახელოვანი ფრანგი მწერალი ევზიუპერი, როცა მოითხოვდა ჩვენს რთულ ეპოქაში მის გაფრთხილებასა და შეუვალბას.

ამავე დროს ვაჟა ჩაჩავა არ არის იზოლირებული თანამედროვე ცხოვრების რთული ქარტესიონებისაგან, რაზეც მიგვითითებს ის დრამატული სიმბოლე, მწველი განცდები, კონფლიქტების სიმკვეთრე, მრეღერება და რიტმული სტიქიის მასივით შეგრძნება, რაც თავს იჩენს ხოლმე მის მიერ სხვადასხვა ეპოქისა და კომპოზიტორის ნაწარმოებთა შესრულებისას. ვაჟა ჩაჩავამ იცის, თუ რა არის შემოქმედებაში ეჭვი, ძიების სირთულე, უკმაყოფილება, წარმატების სიამე, ხელოვნებაში საკუთარი ადგილის მოპოვებისთვის ბრძოლა; ერთი სიტყვით, იცის თუ როგორია შემოქმედებით ცხოვრებაში „ღრუბლიანი და მზიანი დღეების მშვენიება“. შესაძლოა, ამიტომაც ვაჟა ჩაჩავას ცხოვრებისა და შემოქმედების ლაიტმოსად კეთილშობილება აურჩევია, ასე უხვად რომ ფუნს ნათელს მის პიროვნებასა და სამემსრულებლო ხელოვნებას.

ვაჟა ჩაჩავას შემოქმედებითი პორტრეტი შეიძლება ერთგვარი ბალადის სახით წარმოვიდგინოთ, რომლის ავტორებმა მასში ჩაასოვეს გულწრფელობა, სიბო და სიმპათია. ავტორები კი არიან ვაჟას პედაგოგები, კოლეგები, მისი საკონცერტო წარმატებების თანამაზიარნი, ჟურნალისტები, რეცენზენტები, თუ უბრალო მსმენელები.

აი ბალადის დასაწყისიც: ვაჟა ჩაჩავა საკონცერტო ესტადის მაგიერ ძალას უჩიარა ჯერ კიდევ ბავშვობაში (მისი პირელი მასწავლებელი იყო ზასლავსკაია-ბეთანელი). აქედან იწყება მისი არტისტული ბუნების ჩამოყალიბება და ზრდა. ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოწაფე კი უკვე რამდენიმე სოლო-კონცერტის ავტორი და პირველი რეცენზიების მფლობელი იყო. ვაჟას მიერ არჩეული პროფესია და დღი მომავლის საწინააღი აჟიარა გახდა ყველაათვის. ლაპარაკობდნენ მის მაღალ ლირიულ მონაქემებზე, პოეტურ ბუნებაზე. ნაწარმოებთა და გახსრებულ დაკარზე, ხმოვანების ფერადოვნებაზე. მაგრამ ვა-

ჟას ნიჭის მკაფიოებაში, მრავალმხრივობასა და მისი ბუნების თავისებურებაში ყველაზე ღრმად პირველად ალბათ ჩაჩედა მისმა პედაგოგმა პროფესორმა ვანდა შიუკაშვილმა, რომელიც თანამეზავრი გახდა იმ კონცრატებისა და რთული გზაჯვარედინების, რომლითაც აღსავსე იყო ვაჟას პროფესიული სახის ჩამოყალიბების პროცესი.

„ვაჟა, — ამბობს პროფ. ვ. შიუკაშვილი, — უპირველეს ყოვლისა დიდი ნიჭისა და ხალასი ტალანტის მქონე ადამიანია, რაც დაუდგრომელ ბუნებასა და მის მრავალმხრივ გამოხატულებაზე მიგვითითებს. როცა ვაჟა სკოლას ტოვებდა, მასწავლებლებს გული სწყდებოდათ, რადგან ფიზიკის პედაგოგს ეგონა, რომ იგი ფიზიკოსი გამოვიდოდა, ისტორიის მასწავლებელს კი — ისტორიკოსი. ამავ დროს ვაჟა თავისებური ნატურაა, იგი ეწინააღმდეგება ჩვეულებრივობას და ეს გარემოება ყოველთვის თანახდებ არ წარმართავდა ხოლმე ჩვენს შუბრას. იყო პერიოდები, როცა ვაჟა თავდავიწყებით უვრავდა დღეში ათ საათს. მაგრამ მასსვის ისიც, თუ როგორ გაურბოდა ინსტრუმენტს, გულს აიყრიდა და ალბათ შრომის არა მტკიცე დისციპლინა იყო ის ძირითადი პირობა, რამაც ვაჟას ხელი შეუშალა თავისი ნიჭითა და ტალანტით დაეკავებინა საპატო ადგილი საერთაშორისო კონკურსების ქართველ ლაურეატთა გვერდით. თუმცა დღეს ეს დასაწანი უკვე აღარ არის, რადგან ვაჟამ სხვაგვარად მოუხადა ხარკი სამემსრულებლო ისტატობის მაჩვენებელ ამ უმაღლეს ცენსს.

თვითნება ხასიათის გამო ვაჟა მეტად რთული მოწაფე იყო. უკომპრომისი, უაღრესად თავმოწონი, არათანაბარი. ალბათ მისი ხალასი ნიჭი და მომხიზველი პიროვნული ღირსებები რომ არა, ჩვენ ბოლომდე არ შეგრჩებოდით ერთმანეთს.

ვაჟა ჩეშთან მათე მუსიკალური სკოლის მეშვიდე კლასიდან მოვიდა. მის უკვე ჰქონდა მომზადებული ვირტუოზული და საკამოდ რთული, ასაკისათვის შეუფერებელი პროგრამა და როცა დაიწყო მისი სამემსრულებლო მონაქმების აკადემიურ მხარეზე მუშაობა, დროებითი „შეზღუდვა“, ჯავმ სწრაფად აიხსა აზარი და „ჩაიხურა“. მხოლოდ წლის ბოლოს, გამოსცავე, გახდა ნათელი ის, რისთვისაც მან ასე საყვარელი და საინტერესო მოწაფის ადგილი მოიპოვა ჩემს აღზრდილთა შორის. მე იშვიათად შეხვედრიდა ჩემს კლასში და საერთოდ კონსერვატორიაში ასეთი თვითმყოფი ბუნებისა და ნიჭის სტუდენტი.

მაგრამ ვაჟასთან მუშაობა ამავე დროს იყო საოცრად სასიამოვნო და შემოქმედებითად საინტერესო. მასში უცნაურად თავსდებოდა ისეთი საპირისპირო ნიშნები, როგორიცაა თავმოწონება და მორიდებულობა, ტალანტი და მუშაობის არასტაბილური დისციპლინა. ვაჟას ჰქონდა გატაცების პეროდები და მაშინ მას შეეძლო თავისი ნიჭის შესაძლებლობების ფართო დიაპაზონის ჩვენება. იგი ყოველთვის აკეთებდა იმას, საითკენაც მას მოუხმობდა მისი მრავალმხრივი ტალანტი და რისი სურვილიც ჰქონდა. ასეთ დროს ძნელად ეგუებოდა უდროო ჩარევას ან საკმის ფორმალურ მხარეს, რაც არც თუ იშვიათად იჩენდა ხოლმე თავს სპეციალობის მიღმა არსებული სავალდებულო გამოცდების დროს და ზოგჯერ უარყოფითი შედეგის მიზეზადაც იქცეოდა.

ვაჟა მოწოდებით არტისტი, მას ძალიან უყვარს სცენა, განსაკუთრებით გულწრფელი და ღია იგი ესტრადაზე და უთოოდ ფლობს არტისტული მიმზიდველობის მაცდუნებელ ძალას. უკვირდებით მის თანატოლებს, როგორ დელაგენ სცენაზე გასვლისას, ვაჟამ, არც კი ვიცო, იცის თუ არა დღევა, იმდენად ბუნებრივი სტიქიაა მისთვის ესტრადა.

დღეს ვაჟა ჩაჩავა სასარგებლო საქმიანობას ეწევა კონსერვატორიაში, სადაც პედაგოგად მუშაობს კამერული ანსამბლისა და საკონცერტმესიტრო ოსტატობის ხაზით. ამავე დროს ოპერის თეატრის მრავალ სახელოვან სოლისტს ბრწყინვალე პარტიზრობასა და დიდ შემოქმედებით დახმარებას უწევს. მაგრამ ვაჟას ტალანტი იმდენად მრავალმხრივი და ძლიერია, რომ ეს ასპარეზი მისი გამოცდების მაინც შეზღუდულ ჩარჩოდ მიმარჩნია. ნიჭი, დიდი ერუდიცია და მაღალი პროფესიონალიზმი მას უფრო ფართო პოზიციონირებისა და მასშტაბებისაკენ მოუხმობს. ვაჟას თავისუფლად შეუძლია კოლექტიური მსატერული პროცესის წარმართვა და ხელმძღვანელობა, რაც, მაგალითად, შეიძლება გაიმართოს საოპერო რეჟისურის სარბილზე, მით

უფრო რომ იგი ბრწყინვალედ აერთიანებს თავის თავში ინსტრუმენტული თანხლების, ვოკალის და სცენური პლასტიკის პროფესიული ცოდნის ნიჭიერად გამოხატვის შესაძლებლობებს. მე ვუსურვებდი და დაგულოცავდი მას ამ გზას.

მართლაც, უჩვეულოა ვაჟას ნიჭისა და თავისებური ბუნების პარმონია. იმდენად ღიაა მისი შემოქმედებითი აკრეგია, რომ იგი მრავალმხრივ გამოხატულებას მოითხოვს და ამითაც არაა გამოყვეული სის შემოქმედებით გზაზე ხშირი მერყეობის მომენტები, რთულ გზაჯვარედინებზე დგომა, ეჭვი, ჭიდილი, მუსიკალური ბიოგრაფიის ზიგზაგები.

ბალადას თავისი დრამატული მომენტებიც გააჩნია.

«В случае, если Важа Чачава—ученик Тбилисской музыкальной школы класса В. Н. Шиукашвили будет принят в московскую гос. консерваторию, я согласен принять его в свой класс. Он очень талантливый и я считаю, что московская гос. консерватория должна его непременно принять».

Густав Нейгауз

ხოლო თავის შვილს, კი ჩვენი დროის დიდი მუსიკოსი, სახელოვანი პიანისტი და პედაგოგი ვაჟას შესახებ წერდა: «Мальчик очень талантлив, интересный и «сочиняет» тоже.

ეს იყო ვაჟას ნიჭისა და შემოქმედებითი პერსპექტიულობის უტყუარი საბუთი. როგორ გაეს ეს წერილი იმ რეკომენდაციებს, რომლითაც წინათ პიანისტები მიემგზავრებოდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში — მენდელსონთან, ლისტთან ან რომელიმე სახელოვან პედაგოგთან მეცადინეობისა და კონსერვატორიაში მიღების უფლების მოსაპოვებლად. ფრანშესხმული იყო ვაჟა ჩაჩავაც, მაგრამ ფორტუნამ და მისი ბუნების „ონაგრულობამ“ არანაყოველ შეუ-

გ. ჩაჩავა, მ. ამირანაშვილი და
ზ. სოტკილაძე.



შალეს ხელი მის შესვენდარს დიდ მუსიკოსთან და ბრწყინვალე პედაგოგთან.

ან ფაქტმა უკერძოდ შეატრიალა ვაჟას შემოქმედებითი ინტერესების საზე — თბილისის კონსერვატორიის I კურსის მისი მომავალი სტუდენტი ზურგს აქცევს მუსიკას და მიაშრება მ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს. ბავშვობიდან თეატრისადმი სიყვარული, კ. მარკაინშვილის სახელობის თეატრში სცენისმოყვარედ რომ მიიყვანა, მუსიკის პარალელურად, თეატრალური ხელოვნებისადმი შეუწვლელი ინტერესი უცებ იფეთქება, გაიტაცება ვაჟას და იცეკვა მისი ცხოვრების მიზნად. მღელვარება ოჯახის წევრების შორის, მუსიკის პედაგოგების გულწრფელმა, თეატრალურ ინსტიტუტში მიმღები კომისიის გაოცება, რომელსაც მაშინ თავმჯდომარეობდა რეჟისორი დოდო ალექსიძე... ვაჟა ჩანავა ბრწყინვალედ აბარებს გამოცდებს და ერთი პირველთაგანი ჩაირიცხება თეატრალურ ინსტიტუტში. დოდო ალექსიძეს დღესაც ასხვებს მუსიკოსების „თავდახმას“ ვაჟას თაობაზე, რათა არ დაეღუპათ სცენის გატაცებით „დაავადებული“ ახალგაზრდა მუსიკოსი და ყველა იქნებ ეხმარათ მისი „გამოხიზნულობისათვის“, მაგრამ რეჟისორი ხელმოყვარული პასუხობდა: „ის მაგფიო და ხალსი ნიჭისა...“

ვაჟა ჩანავა — თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი... აქ მან თითქმის სამი წელი დაჰყო და ეს მაშინ, როდესაც მას სიმფონიურ ორკესტრთან უკვე დაკრული ჰქონდა ბეთოვენისა და ლისტის საფორტეპიანო კონცერტები, როცა მის საკონცერტო რეპერტუარში ხმოვანებიდნენ მოცარტი, რახმანინოვი, ბრაშაი, სერიაინი, ჩაიკოვსკი. ნიშანდობლივია, რომ იმ პერიოდის კონცერტების რეცენზენტები მიუთითებდნენ პიანისტის მიერ ზოგიერთ ნაწარმოებში რიტმული ორგანიზაციის დაღრევის მომენტებზე, რაშიც გამოირცხვლით არ არის შეგნისმით ვაჟას თავისებური ბუნების გავლი, მისი დიდუდრომლობისა და „ფერისცაღების“ გამოსატყულება.

თეატრალურ ინსტიტუტში ვაჟა მუშაობდა სხვადასხვა რეჟისორთან: ისიელანთან, თავზარაშვილთან, თუმანიშვილთან; მეტყველებდა — მ. მრგვლიშვილთან, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა საკურსო საექსკალცელო, როგორიცაა ჩხიშვილი, „დათვი“, ფრანსის, „მუნჯი ცოლი“, აფინოგენოვის „მამუნიკა“, გორგის „ფსკარეჟი“. პედაგოგებთან ერთად იმ პერიოდში მოსწავლე სტუდენტებს, ამგვარად რეჟისორებს გიგი სარჩიმოძეს, ნანა მჭედლოძეს, გიორგი ფორდანიას, მსახიობ ბელა მირიანაშვილს დღესაც ასხვით ვაჟა ჩანავას „თეატრალური პერიოდის“ კოლმხრეტული სახე და თუ თეთი თეატრალური ინსტიტუტში ბევრი წინ აღუდგა მისი, როგორც მსახიობის გარეგნულ მონაცემებს, ფაქტურას, ვაჟა ახერხებდა მათ განიარაღებას, როგორც გიორგი ფორდანიას ამბობს: „თავაწყვეტილი იმპროვიზაციის არაჩვეულებრივი უნარი, სცენური პლასტურებით, მსატყრელი გიჟების ორიგინალობით“.

თეატრალურ ინსტიტუტში ახალცე ასხვით ვაჟას მიერ განხორციელებული სახეები, ასხვით ვაჟას, როგორც ვოკალისტის, საკონცერტო გამოსვლები, როცა მას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩაიკოვსკის რომანსის „დონ-ჟუანის“ შესრულებით. მაშინ თეატრალურ ინსტიტუტში დრამის მსახიობების მიერ ვოკალური კონცერტების ჩატარების კარგი ტრადიცია არსებობდა. ასხვით აგრეთვე ვაჟას გატაცება პარათაშვილით და მისი ლექსების მსატყრელი კითხვის თავისებურებაც, რომელიც მუსიკალურ სმოვანებას უმსგავსებოდა.

მუსიკის სიყვარულომ ვაჟა კვლავ კონსერვატორიაში დააბრუნა, რომელიც მან ნაცულად ხუთი წლისა, ოთხ წელაწადში დაამთავრა. და თუ მაღლის „სკეიფი“

ეპიზოდს გავისწნებთ, აღვნიშნავთ, რომ ასპირანტურაში გამოსცემის ჩაბარების შემდეგ ოთხიანი თეატრალურმა პრინციპულმა მუსიკოსმა უარი განაცხადა მეცადინეობის შემდგომ გაგრძელებაზე და ოპერის თეატრში დაიწყო მუშაობა კონცერტებისატყრად. აი, სად მიიყვანა ვაჟა მუსიკისა და სცენის დიდმა სიყვარულომ. აი, სად შეერდა ეს ორი ძლიერი გატაცება. დღეს უკვე ცხადი ხდება, რომ თეატრალური ინსტიტუტში გატარებული წლები, სცენური ისტატიის დიდუდების ჰაჟას, უმღეფოდ არ ჩაველია.

ოპერის თეატრში ვაჟა ჩანავა, როგორც კონცერტმეისტერმა, ერთი მხრივ, გააგრძელა ის კარგი ტრადიცია, რომელიც მას ოპერის თეატრის უფროსი თაობის კონცერტმეისტერების — ტატიანა ჯუნჯუას, ი. სალაჟიას და იაკობ გორდონის სახით დახვდა, მეორე მხრივ კი, მან თეატრის სოლისტთა შემოქმედებით ცხოვრებაში შემოიტანა ის ახალი სტიმული, რომელიც ესოდენ საჭიროა მომღერლის პროფესიული სრულყოფისა და შემოქმედებითი თვითგანათლებისათვის და ამაში ოპერის ბევრი სოლისტი სწორედ ვაჟასაგან არის დაღაფებული. დიან, ვაჟა ჩანავამ ახლიდან მათ უფრო მრავალმხრივი შემოქმედებითი ტატირთა და ხელი შეუწყო ბევრი მათგანის მსატყრელი შესაძლებლობების მანადიდ ურველო აღხვევებას.

თუ ადრე გულსიტკავილით აღვნიშნავდით ოპერის სოლისტების ერთგვარ პასიურობას და გულგრილობას კამერული კონცერტებისადმი, ვაჟა ჩანავამ გამაოცებლა ჩვენი მუსიკალური ცხოვრების ეს სფერო და მის აქტიურობას უნდა მივაწეროთ კამერულ-ვოკალური კონცერტების სრული დატვირთვით წარმართვა. ვაჟა ჩანავას სახელთან დაკავშირებით ახალი ფურცელი ჩაიწერება თეგებზე მუშეკაბის, ირაკლი შუბინას, მედეა პირიანაშვილის, რეჟა კაკაბაძის, ლამარა ჭყინიას, ზურაბ სოტკელას, ნათელა ტელუშას და სხვათა შემოქმედებითი ზიოგრაფიაში. რეჟო კაკაბაძის მეტყველ წარწერას ვაჟასადმი ნაწუქარ ფორტისათზე — „ჩემი პრეფესორი, ტრინასა და ურწრატარს“ — თითოეული მათგანი ალბათ დაუმტყბდა ვაჟასთან მუშაობის დროს განცდილს.

ვაჟა ჩანავას საკონცერტმეისტერო ხელოვნებაში საინტერესო შემოქმედებითი კონტაქტია დამყარებული და ხეფილ ინტერპრეტაციასა და მომხიბვლო არტისტისმს შორის. გამომსახველობის მრავალფეროვნება და პიანისტური ბრწყინვალეობა, რომელიც ვაჟას, როგორც სოლისტს, ახასიათებდა, აქ თითქმის შევიდობიანად თანარსებობს ზომიერების ტაქტთან და „კომპანიატორული თვებდაზომისთან“. ეს საგრძნობა მაშინაც, როცა საფორტეპიანო პოლელდიას ან პოსტლუდიში გამოსხივებდა ხოლმე მისი პიანისტური შესაძლებლობები. ვაჟა ამას აკეთებს მორცხვად; მოქრძალებით სოლისტის მიმართ, რაც ეფიფე უფრო მომხიბვლოლს ხდის მათს დღესტ.

ვაჟა ჩანავას არაჩვეულებრივი ინტუიცია აქვს მომღერლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მრავალმხრივობის ჩვენების შესაფერისი ნაწარმოებების შერჩევა-მეთავაზებაში. პროგრამის საკითხი მას კონცერტის წარმატების ერთ-ერთ უაყილეზელ პირობად მიაჩნია და შემოქმედებით ალღოსთან ერთად აქ იგი მუსიკოს-ერდუდამც წარმატებულადგება. ამას თვით ჩვენი სოლისტები აღიარებენ ხოლმე. ხოლო ჩვენ, მსმენელები კი მაღლოდა გვეფიქვს საკრთოვლოში მისი ინიყატივით კართული შემსრულებლების მიერ პირველად ანმოვანებული ნაწარმოებებისათვის, როგორიცაა: მაღლის ვოკალური ციკლი „მოიგებდე ქარტლის სიმღერები“, მუსორგსკის ციკლი „უმიწვიოდა“, „რაიოკი“, პეტო კოლდის სიმღერები პიანისტლქების მიხედვით, ვანგერის „ორი გრუნადირა“, რ. შტრაუსის სიმღერები, მსატყოვრის რომანსები პუშკინის

ლეკებზე, პერგოლუხის, პენდელის, დარგომიჯის, მეტენ-რის, რომსი-კოსსაკოვის, შუბერტის, შუმანის, რახმანინოვის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, ქართული კლასიკური და თანამედროვე ვოკალური ლიტერატურის ნიმუშები.

კამერულ-ვოკალური მუსიკა, კონცერტული პოეტური პირველწყაროს გამო, პროგრამული მუსიკის სფეროს ეკუთვნის. „პროგრამის“ მუსიკალური გარდასახვის სიკეთესი ვოკალური და საფორტეპიანო პარტიების გამომსახველობის ხარისხი სხვადასხვა კომპოზიტორთან სხვადასხვავდება. ეს მხარე სტილის საკითხთანა დაკავშირებული და კამერულ ნაწარმოების მხატვრული აზრის სახიფრთხისადაცაა ერთად ვაჟა ჩაჩავა ისტატურად ეხმარება ვოკალისტს კომპოზიტორის სტილის ინდივიდუალური თავისებურებების წყდომში. ეს ხან ჟანრული ნახატიცაა, ხან დრამატული სცენა-მონოლოგი, ხან კი ნოველა, რომელიც მხატვრულ სახეს დინამიურ განვითარებაში წარმოვიდგენს.

ამასთან, ძნელი არ არის ვაჟა ჩაჩავას რეცესორული ხედვის შეცნობა. იგი ვოკალისტთან ერთად ცდილობს ნაწარმოების მხატვრული აზრის კონკრეტულ წარმოდგენასაც და მისი ფსიქოლოგიური სამყაროს ლაბირინთში წიაღ-სვლასაც. ტემბრული ინტონაციის გამომსახველობა ამ დროს არანაკლებ როლს თამაშობს და მით უფრო ძლიერ იჩენს თავს, რაც უფრო რთულია კომპოზიტორის დამოკიდებულება პოეტური სიტყვისადმი. ამ მხრივ დასამახსოვრებელი იყო ვაჟას მიერ მის ძმასთან, კონსერვატორიის მოვრზე კურსის ვოკალისტ თენგიზ ჩაჩავასთან ერთად შუმანის ვოკალური ლირიკის ნიმუშებისა და ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის გ. ჩლაბიას ვოკალური ციკლის საინტერესო წარმოსახვა, ამ პეიჯე ვოლფის ვოკალურ სტილში საინტერესო წყდომა ზურაბ სოტიკილავასთან ანსამბლში.

ვაჟა ჩაჩავა თავის პარტნიორთან ანსამბლში ღირსი-რივით დგას უხულავ „ქვეყნობიერ საქმესთან“ და წარმარ-თვს მუსიკალური ფაქტორის გახსნასა და დრამატურობის შეკავის პროცესს, მაგრამ ისე, რომ ეს მისი პარტნიორისათვის შეუმჩვევლი ხდება, რადგან მათ ანსამბლ მუზიკირების თავისუფლების უშუალოდ დაპყობა ამ შემთხვე-ვაში ვაჟა ყველა ვოკალისტისათვის სასურველი პარტნიო-რია, მაგრამ მისი საკონცერტებისტერო ბუნება სცილდება ჩვეულებრივი თანხლების პირობებს და საკონცერტებისტე-რის-სანსამბლო საღამოები ამიტომაც უფრო ჰაგვს ვოკა-ლისტებსა და პიანისტს დღეებს, ვიდრე სოლო-ვოკალურ ნომერს აკომპანეშენტი ამ სიტყვის ტრადიციული გაგე-ბით. ვისაც უშუალოდ რიტორიკის, ოისტერაზისა და როსტ-როპიონის თანხლებისათვის, ისინი აღნიშნავენ მათ მაქ-სიმალე თავდაჭერას და მოკრძალებას, ერთგავი შეგნე-ბულ შესუდღვას წმინდა აკომპანეშენტის ჩარჩოებში და მასში მაქსიმალური გამომსახველობის მიღწევას. ვაჟა ასეთ „კომპანეშენზე“ არც თუ ხშირად მიდის, რაც ინსტრუმენ-ტულ ანსამბლშივე იგრძნობა. ჩვენი დაკვირვებით, შესა-ძლოა ეს იმიტაც არის განპირობებული, რომ მისი არტეს-ტული ბუნების „განმუხტვა“ იშვიათად წარმოებს ამ ბო-ლო დროს სოლო-საკონცერტო გამოსვლებით და ამიტომაც ეს პრინციპი ანსამბლში „თანასწორუფლებიანობის“ საზრ-ზე მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ამავარი კომპანეშენია არავითარ შემთხვევაში არ მოქმედებს კონცერტის მხატვ-რულ მხარეზე, რადგან ვაჟა ჩაჩავა არასდროს არღვევს თანამშრომლობის შეუცვლელის პირობას. როგორ ნიშნ-დობლობა ერთ-ერთი მუსიკოსის სიტყვები, წარმოთქმე-ლი 1971 წლის 8 იანვარს ლენინგრადში ზ. სიტკილავას კამერულ კონცერტზე: „მე მოვიმინე ერთ საღამოს ორი კონცერტი — სოტიკილავა და ვაჟა ჩაჩავასი“. ამ მხრივ,

ვაჟა ჩაჩავა იმ საკონცერტებისტერო ხელოვნების თანამშ-რებია, რომელიც რუსეთში დაპყდირებული კამერული ანსამბლის რახმანინოვისული ტრადიციიდან მომდინა-რეობს. ასეთ ანსამბლ-თანავარსკვავებს ქართული შემ-სრულებელთაგან ელისო ვირსალაძე ემსი. (მაგონდება მა-ლოაზიბის სიტყვები: „როდესაც რახმანინოვი ზის ფორ-ტეპიანოსთან და აკომპანეშენს აკეთებს, ძალაუფლებით უნდა თქვა: მე კი არ ვმღერო, არამედ ჩვენ ვმღერო“).

ვაჟა ჩაჩავა გაფართოვა საკონცერტებისტერო ხელო-ვნების ჩარჩოები, და როგორც ერთმა კრიტიკოსმა აღნიშნა „განსაკუთრებით ამაღლა ჩვენი ამ ხელოვნების შემოქ-მედებითი ავტორიტეტი“. ჩვენც ვუერთდებით საკონცერტ-ებისტერო ხელოვნების დიდი მოამაგის, პროფესორისა და კომპოზიტორის დიმიტრი შევდოვის სიტყვებს:

«**Важна Чачава обладает неутомимой энергией и страстной любовью к искусству. Его талант-ливая и забойливая рука является дружеской оп-порой для певца. Пусть больше будет таких кон-цертистеров.**»

ვაჟა ჩაჩავა ერთგულად ემსახურება საკონცერტებისტე-რო ხელოვნების ამოღების საქმეს და გატყვებით მუ-შაობს კონსერვატორიის სტუდენტებთან. აქ მას დიდ დახ-მარებას უწევს მისი ყოფილი პედაგოგი ამ ხანით და ამ-ყამად კოლეგა, პროფესორი ნინო ლაფერაშვილი, ამ საქ-მის უაღვარეს მხარეზე და ერთგული კადრების თავადე-ბული აღმოსდელი. „ქ-ნმა ნინო, — აღნიშნავს ვაჟა ჩაჩავა, — დიდი როლი ითამაშა ჩემს საკონცერტებისტე-რო ხელოვნებაში, ამ საქმით დანატერესებასა და გატაცე-ბაში. მართალია, ვანგლი სტუდენტობის ხანამ, მაგრამ დღესაც მისგან რჩევა-დარჩევებისა და კონსულტაციების მიღება მიმართა ჩემთვის, როგორც შემსრულებლისა და პედაგოგისათვის, ძალიან სასარგებლო“.

ოპერის თეატრის ცხოვრებაში ვაჟა ჩაჩავას არა ერთი დასასურსებელი, სეკტაო სექტებისტის განხორციელების ზედი გაუხიარებია. თეატრის მთელ დასთან ერთად გადუ-ლახავს ჩვენი ოპერის თეატრის ტრადიციებისათვის ისეთი უცხო პარტიტურების სინფონიკა, როგორიცაა პროკოფი-ვის „სემიონ კოტკო“ და მოცარტის „დონ-ჟუანი“, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა საოპერო ნაწარმოებებსა და კლასიკური რეპერტუარის ზო-გიერთ ნიმუშზე.

თეატრში მასხოს ის აეიოტაკი, რომელიც წინ უძღო-და პროკოფივის „სემიონ კოტკოს“ დადგმას. ამ სექტა-კლის მოწინააღმდეგეები მომავლის ცუდ პროგნოზებს აცხა-დებდნენ, რადგან ითვალისწინებდნენ ჩვენი თეატრის ტრადიციებისათვის სრულიად უცხო პროკოფივის საოპ-ერო დრამატურობის, მისი შეუქმველი ინტონაციურ სამყა-როს, სიმღერის უჩვეულო მანერას, რისთვისაც სრულიად მოუშაადლებელი იყვნენ როგორც სოლისტები, ისე ორკეს-ტრი. სექტაკლი წარმატებით განახორციელა მოსკოვის სანატორიუმისა და ნებროიო-დანჩიკოს საცხოვრობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლ. მიხაილოვმა. მის მიერ შექმნილმა ჭეშმარიტად შემოქმედებითმა ატმოსფერომ იმ-ხანად მოღუწებულ მაყისცმას მიჩვეული ჩვენი თეატრის ცხოვრება გამოაფინოლა და შედევრი უჩვეულო იყო.

მასხენდება მოსკოველი რეჟისორის აღფრთოვანება ვაჟა ჩაჩავას მუშაობის გამო, რომელსაც იგი „მარჯვენა ხელს“ უწოდებდა. ქართული პრესა ფართოდ გამოქმნე-თა თეატრის წარმატებას და ურჩაო „საპატიო ხელოვნე-ბაში“ გამოქმენებული სტატიის სტრუქტურებს, დაკავშირე-ბულ ვაჟა ჩაჩავასთან, დღესაც ვაგვიმეორებდნენ:

„**ვოკალისტ-შემსრულებელი, რომლისთვისაც უცხოა პროკოფივის მუსიკალური ენა, აღვლად ვერ პოვებს**

კომპოზიტორთან საერთოს, ვერ გაუმინაურდება პირველი შეხვედრისთანავე. მას მოუხდება ამ კომპოზიტორის მუსიკაში პირველად ისეთი ნიშნების მონახვა, რომლებიც ტრადიციის გაახსენებს და არ მოწვევს, ხოლო შემდეგ კი სიახლეთ აღსაქმე ისეთ სამყაროს გადაუმოს, რომელიც ორიგინალობისა და მაღალმხატვრულობის თაღ-სახრისით მას როგორც მუსიკოსს დაინტერესებს, მიიზიდავს და გაატაცებს. არ შეუძლებთ თუ ვიცავთ, რომ ჩვენი თეატრის სოლისტების „სემიონ კიტკოვს“ მუშაობისას, ამ ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მომენტის დაძლევა ახალგაზრდა კონცერტმეისტრის ვაჟა ჩაჩავას მხრებზე გადაიარა. „კოტორს“ ყველა მონაწილე დამოუნიხმება იმაში, რომ ჩაჩავა ღირსია მათთან ერთად გაიზარდოს შემოქმედებითი გამარჯვება არა მხოლოდ როგორც კონცერტმეისტრმა, არამედ როგორც პროფიციენტის მუსიკის შესანიშნავი ინტერპრეტატორმა.

ხატუნად თქვა მომღერალმა მედა ამირანაშვილმა: ვაჟა ჩაჩავას ისტატურად ეხერხება სიყვარულის ხიდის გადაღება ახალ ნაწარმოებას და ვოკალისტის შორის, რომელიც ამ მასალას ამუშავებს. ოპერის სოლისტის ნაცნობობა ახალ რეპერტუართან, მის ღირებებში წყობის პირველი სირთულეებისა და პირველი სიყვარულის სიმძიმე ოპერის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში კონცერტმეისტრის ისევე აწევს მხრებზე, როგორც ბერძნული სასაღის თაღის სიმძიმე — კარიატიდებს. კონცერტმეისტერი — ოპერის თეატრის „უხილავი კარიკიდი“, რომლის საშუალებით ხდება რეპერტუარის მხატვრული სტილის თუ სახეზე მუშაობის უმეტესი სირთულეების ზოიდვა. ამ ტიპის ზოიდვა ვაჟა ჩაჩავაც და ამავე დროს თეატრისადმი მისი ინტერესის დაქაფიფილება იმითაც ხდება, რომ მასში ჯერჯერობით მიფლმარე რეჟისორული მონაცემები სწორედ აქ იწყებენ გამოღვიძებას.

არ დამაწყვდება ოპერის თეატრში მოცარტის „დონ-ჟუანს“ მუშაობის პერიოდ, მოცარტის, რომელთან „შეხვედრებიც“ ჩვენი სოლისტებისა და ორკესტრისათვის სტუდენტობის ასაკით ამოწურა და რომელმაც ჩვენი თეატრის სცენაზე ფეხი შემოგდა ურთულესი ოპერით „დონ-ჟუანი“. გასაკვირა, რა სირთულეები დაატყდა თავს დასს, მის რეჟისორს ლენინგრადელმა მოწვეულმა ე. პასინოვს, დირიჟორს ჟ. კახიძეს და კონცერტმეისტრებს ჟ. ჩაჩავასა და ი. გორდონს. გაზეთი „კომუნისტი“ ვაჟა ჩაჩავაზე წერდა, რომ მან გაიანაწილა სპექტაკლის საერთო წარმატება და აღნიშნავდა: „არანაკლები მუშაობა გასწია დირიჟორმა ფაქიზ მუსიკოსთან, კონცერტმეისტერ ვაჟა ჩაჩავასთან ერთად ვოკალური მოცარტისეული ანსამბლურობის ურთულესი ამოცანების გადასაჭრელად“.

მასწენდება ვაჟას სამუშაო ოთახში ნათელა ტულუშთან და რვეჯ კაკაბესთან ოპერის ცნობილი სცენის — ცერლინასა და დონ-ჟუანის დუეტის რეჟეტიყა. ვაჟა ამ სცენის რეჟიტატევიბის მუსიკის მინაგანი ბუნებრიდან გამოძინარე ისეთ მოქნილ, დასწეულ ნიუანსებზე აჩრებდა მონიერების ყურადღებას, რომელთა გამომსახველობა თვითვე იწვევდა ბუნებრივი მიზანსცენების მიგნებას. რეჟეტიყა გატაცებით, საინტერესოდ და დინამიურად წარმოადგია. ამ სცენის ექოქერობა გამოსატყობდა ვაჟას მიმიკაში, მსახიობის მოქნილ მიმოსვრაში, მეტყველ, მოსაზრე საფორტეპიანო თანსლებში, რომლისაც თან სდევდა გამომსახველი შესტიყუალავია, წამღებდა და აყვებდა, აღანთებდა მომღერალთა დუეტს. რეჟეტიყის შემდეგ ვაჟასთან საუბარმა ჩემთვის — სპექტაკლის მომავალი რე-

ცენზენტისათვის — კიდევ უფრო საინტერესო სახე-მორისად ლო. ჩემს წინ გაიშალა მოცარტის „დონ-ჟუანის“ ვაჟასე-ბური რეჟისორული სცენა — პლასტიკური, დინამიკური, მაქორული, ამავე დროს კლასიკურად მწყობრი. ეს იყო ნამდვილი მოცარტისეული *dramma giocoso*. და იმდენად დიდი იყო შოაბედლიება ვაჟასაგან, რომ სპექტაკლის პრემიერაზე ხედავდი არა ლენინგრადელი რეჟისორის „დონ-ჟუანს“, არამედ სოლოში ვირსალაობის სხივმოსილ „მოცარტანასა“ და ვაჟა ჩაჩავას „ნამობას“.

ამიტომ მეძნელება ბალაბის კარულებაც, ვაჟას ბუნების — „რანაგულობა“ იქნენ ცალკე იფიქროს და „დონ-ჟუანს“ მისი შემოქმედების საზე სწორედ ამ გზით წარმართოს?

ვაჟას სახელი საერთაშორისო მუსიკალური ცხოვრების მატანამეიც ჩაიწერა. მან, როგორც მუსიკოსმა, მრავალი მეგობარი და თავანისცემელი შეიძინა მინ თუ გარეთ: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, ტალინი, მონრეალი, ქართული კულტურის დღემი პოლონეთში, გერმანიაში, ზურაბ სოტიკელასთან ერთად წარმატება მოსკოვის ჩაიფო-სკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე. აღსანიშნავია, რომ ამ კონკურსის სპეციალურმა რეცენზენტმა დიტირევმა ჟურნალ „სოვეტსკაია მუსიკაში“ შეაჯავა მთელი კონკურსის მონაწილე ლაურეატთა წარმატებები და მხოლოდ ერთადერთი კონცერტმეისტერი მიიხსენია, როგორც წარმატების თანამოზიარე. ეს იყო ვაჟა ჩაჩავა.

«Успеху певца немалое способствовало в высшей степени музыкальное фортепианное сопро-
вождение пианиста В. Чачава».

იმევე 1970 წელმა ზურაბ სოტიკელასა და ვაჟა ჩაჩავას უდიდესი წარმატება მოუტანა ესპანეთში — ბარსელონაში ვინისის სახელობის ვოკალისტთა VIII საერთაშორისო კონკურსზე. ამ კონკურსის პირველი პრემია და ლაურეატის უმაღლესი ჯილდო ზურაბ სოტიკელამ გაიანაწილა მისიკელ მომღერალთან ე. ოზარცოვასთან ერთად. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ამ დიდი წარმატების თანამოზიარე გახდა ვაჟა ჩაჩავა, რისთვისაც მან სამჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის ე. ფურცეკვას მადლობა მიიღო.

კიდევ ერთი ეპითეტი მოუმატა ვაჟას ზურაბ სოტიკელა-ვამ ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ სატელევიზიო გადაცემაში აღფრთვანებული საუბრის დროს. ზურაბმა ვაჟა ტორეადორის შეადარა და ეს არ იყო უბრალო სატოვანი სიტყვა ესპანურ კოლორიტში. ვისაც ესპანეთის მიწაზე ფეხი დაუდგამს და მისი სილამაზისა და რანდული შემათების ამ რიტუალის მომხიფელლობა განავლიდა, ამეთანხმება, რომ ნამდვილი ხელოვანი თავისი გაბედულე-ბით, შეუპოვრობით, არტიტული გატეხიბობა და ბრწყინვა-ლებით, საზედისწერო მომხიფელობა და გამარჯვების მო-პოვების ყინით მართლაც ჰაჟას ტორეადორს. ვაჟა ჩაჩავა ტორეადორებით მომზარა სილამაზის სტიქიაში „ყოფნა-არყოფნის“ პირობას.

ახლახანს კი ვაჟა ჩაჩავამ ვოკალისტთა მეცხრე საერ-თაშორისო კონკურსზე მონრეალში კიდევ ერთხელ გაიან-წილა გამარჯვების სიხარული. ამჯერად იგი პარტიკორობ-და ნიჭიერ ქართველ მომღერალს, მოსკოვის დიდი თეატ-რის სოლისტმა მავყალა ქასარაშვილს, რომელმაც ამ კონ-კურსში II ადგილი მოიპოვა, ხოლო კანადელი კომპოზი-ტორის შეიფერის ვოკალური ციკლის „არკანას“ შესრუ-ლებისათვის სპეციალური პრიზი მიიღო.

ნანა ჰაბთარაძე



პრტიკისპული ნაწარმოები თავისთავად უნდა წარმოადგენდეს ხელოვნების ნიმუშს, ეჭვს არ უნდა იწვევდეს არამით ფორმა ან შინაარსი ბევრი წერილისა, არამედ მისი დაწერის მიზანიც ნათელი უნდა იყოს და შინაგანი ფსიქოლოგიური იმპულსიც. ასეთი კრიტიკული ხასიათის წიგნები არცთუ ხშირად გვხვდება.

ამიტომაც სასიხარულოა, როცა კითხულობ ისეთ წიგნს, რომელიც გარიდებულია ამგვარ ნაკლოვანებებს. სარეცენზიო წიგნის წკაბითვისას, უპირველეს ყოვლისა, გასარბეს ის ტაქტი, რომ ავტორს საძნელად მიიჩნია ხელოვნების დარგში მოღვაწეობა და ბევრიც გაუკეთებია, რათა ამ სფეროში წამდელი აზრობრივი ცხოვრებით იცოცხლოს. მხედველობაში გვაქვს გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ 1972 წელს დასტამბული გიორგი ბარამიძის წერილების კრებული „როცა ხელოვნებაში ძიებაა“. წიგნში თავმოყრილია წერილები თეატრსა და კინოზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა დროსაა დაწერილი, კრებული მაინც ერთიან შთაბეჭდილებას ტოვებს. წიგნს აერთიანებს ის გულითადი მიდგომა ხელოვნების საკითხებისადმი, რომლითაც ყოველი სტატია თითქმის თანაბარი სიმძლავრითაა დამუშტული.

წიგნი ამართლებს სათაურს. აქ, დაუცხრომელი ძიებაა, ავტორი ძალისხმევით მიიწევს იმ საძნელო მწვერვალისაკენ, სადაც ხელოვნების საიდუმლოების გასაღები ინახება.

წიგნი ისწნება მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი მცირე, ნატყფად დაწერილი მინიატურით: „სამყარო მას მშვენიერების დღესასწაულად წარმიგვიდა, დღესასწაული მშვენიერების საშაჟროდ...“ და მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდვად ხატავს მარჯანიშვილის პორტრეტს. შემდეგი წერილი ეძღვნება აქტიორ აკაკი ხორავას. გამოცემა თანვად ხორავას ცნობილი ფრაზიდან, — „თეატრიდან გასვლისას მაყურებელს უნდა სჯეროდეს, რომ მას შეუძლია გახდეს გმირი“, — ავტორი აწვითარებს მისასწრებას, რომ



როცა ხელოვნებაში ძიებაა

გიორგი ბარამიძე

ელიშერ გიორგაძე

სწორედ ასეთი იყო ხორავას შემოქმედება მაყურებელზე. რადგან, მისი აზრით, ამა თუ იმ როლში მთავარისა და არსებითის ჩვენება, თავისი დამაჯერებლობით, მაყურებელსაც აქცევს შემოქმედად, ავტორის თვითონა. ხორავა თეატრალურ შემოქმედებაში მისდევდა როდენისეულ დღვის ჩვეულებრივში ამაღლებულის აღმოჩენისა, მდეროდა ერთი ტონით უფრო მაღლა, ვიდრე ბუნებაშია და ამაში მისდევდა როდენისეულ დღვის მიერების გრძობა. იგი არც საკუთარი დიდებული ფაქტურის ტყვე შემწინლა არასოდეს. ა. ხორავა იყო უბრალოებისაკენ მიდრეკილი მსახიობი, ოღონდაც ამ უბრალოებას ყოველთვის თან ერთოდა რომანტიკულად ზეაწეული ტონი.

ავტორი იხილავს მის მიერ მოქმედებას ნაკლებ განხორციელებულ როლებს — საცუცხოდ ცნობილ ოტელოს, ივანე შრისასანს, სირანო დე ბერგერაკს, ახალი დროის გმირებს — ბერსევესა და ანშორ ჩერბიეს, კარლ მოროსა და პლატონ კრერეტს. ზაგასებით აღნიშნავს აქტიორის ალღოინობას და აღწერს თუ როგორ ჩასწვდა კინემატოგრაფის სპეციფიკას ეს ჭეშმარიტად თეატრალური მსახიობი. იგი „ღვაწლმოსილი შემოქმედი გრაფიკოსის, ფერწერისა თუ მოქანდაკის შთავონების წყაროდ იქცა“, — ხატონად აბოლოვებს წერილს ავტორი.

ქვემოთ გ. ბარამიძე მოერ გამოჩენილი ქართველი მსახიობის პორტრეტს წარმოგიდგენს. ლაპარაკობს მის არჩეულებრივ გარდასახვით ნიჭზე, მომზიბულელ ხმის ტემბრზე, მუსიკალაზე, ტემპერამენტზე, სახის ღრმად გააზრების უნარზე. ეს ვასო გოძიაშვილის შემოქმედებით პორტრეტია. ავტორი აღნიშნავს, რომ ვასო გოძიაშვილი განსახიერებდა ორი უნარის — კომიკურისა და ტრაგიკულის ერთ პიროვნებაში შერწყმის. ორი ასეთი ამკლუის მსახიობი კი, თანაც მტად მაღალი რანგისა, იმეიათობას წარმოადგენს. ამის მაგალითად მას მოჰყავს 1958 წელს, მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე რუსეთის თეატრალური საზოგადოების მიერ ვასო გოძიაშვილისთვის მოწყობილ შემოქმედებით საღამოზე, მსახიობი მიერ წარმოდგენილი სამი, სრულიად განსხვავებული ხასიათი — ლუარსაბი, ავეტია, რიჩარდი.

გ. ბარამიძეს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ვასო გოძიაშვილის მიერ ქართული ესტრადისთვის გაწეული დიდი ღვაწლიც. გ. გოძიაშვილი თავის როლებში, მართალია, მტად ეროვნულია, როგორც მსახიობი, მაგრამ იგი ხასიათს ავლენს არა ზედმეტად ეთნოგრაფიული ნიშნებით, ყოფითობის ცალმხრივი ასახვის, ან ტრადიციული რომანტიკული შემართებით, არამედ სახის შინაგანი ამოხსნით, თანამედროვე ადამიანისთვის ახლობელი მხატვრული ხერხებით, —

წერს ავტორი. „ასეთი მსახიობისათვის საგანგებოდ იწერება როლები“, — და მთელი წერილის ლექსობითი ვიცი სწორედ ესაა.

როცა მედლა ჯაფარიძის თეატრალურ გზას იხილავს, ავტორი ყოველგან გვარდნობინებს, რომ მისი წარმატება გარეგნული სიმშვენიერის შედეგი არ იყო, რომ მსახიობი „ყოველთვის ისწრაფვის შეინარჩუნოს სულიერი და ფიზიკური ერთიანობა“.

გ. ბარამიძე ავლებს მეტად საინტერესო პარალელს, დამაჯერებლად და სამართლიანად ამტკიცებს, რომ მ. ჯაფარიძე ჯულიეტას როლისათვის კარგად იყო შემზადებული ქეთის როლის განსაზღვრებით ფილმში „ქეთი და კოტე“.

„იდეური სიღრმისა და მხატვრულობის მხრივ „ქეთი და კოტე“ ოდნავადაც ვერ გაუტოლდება „რომიო და ჯულიეტას“, მაგრამ, წმინდა სიყვარულისათვის ბრძოლის თვალსაზრისით, ბევრი რამაა აქ საერთო, რაც შეიძლება ითქვას, მედლატვის ერთგვარ წინამძღოლად მსახურობდა საც წარმოადგენდა რომელიც და ჯულიეტას დიდ კრიტიკულ სიყვარულთან შესაბამისად — წერს გივი ბარამიძე. და ბოლოს, ავტორი გვამცნობს: მრავალი მსახიობისათვის მეტად საძნელო მშვენიერი „აივნის სცენა“ შესანიშნავად დასძლია მსახიობმაო...

წერილის დასასრულს იგი გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ქართული კინო ამდენი ხანია ვლის მედლატვის „ლამაზი“ როლის გამოჩენას, მაშინ, როცა მსახიობი სულაც არ საჭიროებს ამას.

სიყვარული სტევიის ავტორის სიტყვებში, როცა იგი მსახიობ დოდო ტყეშელაშვილს ლაპარაკობს. ისწენებს რა მის ხატუნას, ავტორი ამბობს: „ჩვენ ბევრჯერ ვყოფილვართ მისი შემოქმედებითი წარმატების მოწმე, მაგრამ ამგვარი სრულყოფილი იგი მაინც არსად გვინახავს. ჩანს ბევრი ავტორობა იგრძნო მსახიობმა გმირის ხასიათთან. მსახიობის მიერ გმირის ხასიათის სიმართლე ცხოვრებისეული ყოფითობაზე კი არ ცნობს დაყვანილი, არამედ თვითონ ცხოვრებისეული

ყოფითობაა აყვანილი მხატვრულ სიმართლემდე. სიყვარული, შეილება სადმე ზრუნავა, რა თქმა უნდა, მაინც წმინდა ბიოლოგიური ელემენტია, მაგრამ ისინი განუსაზღვრელად მაღლებიან მხოლოდ ადამიანური აზროვნებითა და გრძნობებით. დ. ტიხინაძე მეუღლისადმი ერთგულებისა და დედური ზრუნუვითობის კეთილშობილური თვისებებს ინსტინქტურად კი არ გამოხატავს, არამედ ადამიანური გრძნობისა და აზრის ლოგიკით, ამიტომ დიდ ზემოქმედებასაც აღწევს“.

როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს თეატრი, როგორი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს საქმეს, რომ ამდენჯერ ნახის სპექტაკლი, რაც აშკარად ეტყობა ავტორის სტატიას „თეატრი უწაფება რომანტიკას“. აქ მართლაც ჩანს, რომ მისი ავტორი ცოცხლობს თეატრით, მისი ცხოვრებით, მსახიობების ყოველდღიური ცხოვრებითა და თამაშით.

ამ რომანტიკულ ბეისს, რომანტიკული სიტყვებიც მიუხადავა წერილის ავტორმა: „სირანო დე ბერეზაკი ერთი ამოთვანი იყო, ვისაც პოეზია და მშვენიერი სინამდვილე პარმონიულ მთლიანობად მიანდა და ვინც უსამართლობათან დონიხობტური შეუპოვარი ბრძოლის გამო, მძიმე ცხოვრებამ, შესაძლოა, ქარის წისქვილის მოქმედი ფრთებით მართლაც მაღლა აიტაცა, მაგრამ ძირს კი აღარ დანარცხებულა დამცირებელი, არამედ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გრძნული თითით შენობი შთარეს და შთაგონებული მუხარი მთორეულ ვარსკვლავებს მისწვდა“. გ. ბარამიძე დეტალურად არწევს სპექტაკლს (რუსთაის თეატრის დადგმა) იძლევა მის გასაღებებს: „უსარმაზარი ცხოვრი, — წერს იგი, — თავისებურად მართლაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სირანოს სულიერ დრამაზე, მაგრამ მაინც არ არის ის, რაც ტრაგედიის მიზეზად ქცეული ოტელოს ცხვირსახოცი თუ „მასკარადის“ სამაჯურია“.

ავტორი იზიარებს მ. გორკის აზრს, რომ „არსებითად გარეგნული მანკიერებით აღძრულ ტრაგიზმზე კი არა,

არამედ... გახრწნილთა შორის კეთილშობილი ადამიანის გნებზე დაწერა როსტანო აკისი მშვენიერი და გულში ჩამწვდომი კომედია.

იგი აღარებს მოსკოვის „სოფრემენიკოს“ თეატრის დადგმას, რუსთაის თეატრისას და ამ უკანასკნელის სპექტაკლს გაცილებით მაღლა აყენებს; კარგ შეფასებას აძლევს იგი რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის ნამუშევრს, მთელ დასს და განსაკუთრებით ისტინებს მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობ თათარ მეღვინეთს უსუებს.

დაბოლოს, საოცარი სითბოთი წერს ავტორი ვალერიან დოლიძეზე, დიდოს სიყვარული განიხილავს მის დროშებზე, მის რალებს, მოგვითხრობს მსახიობის ტემპერამენტზე, რიტმულობაზე, პლასტიკურობაზე, იმპროვიზაციის უნარზე, ისტატობაზე. მართლაც, საოცარი სიყვარულითაა გამთბარი ეს წერილი და უნდა ითქვას, რომ ვალერიან დოლიძემ დიდძალი მოიპოვა ესოდენ ძლიერი სიყვარული მაყურებლისა.

წიგნის მეორე ნაწილი კინოს საკითხებს ეთმობა. ამ ნაწილს წამძღვრებელი აქვს მინიატურული ნაკრები ნატი კანაძეზე. „სინამდვილეში იგი არც ლეგენდა იყო, არც ზღაპარი. იგი ქართული სულის მშვენიერად მოველინა ქვეყნიერებას და მშვენიერებად დარჩა ხალხის გულში“ — ასე ამთავრებს ავტორი წერილს.

შემდგომ გ. ბარამიძე ანვითარებს თავის მოსაზრებებს ლიტერატურისა და კინოხელოვნების ურთიერთობის საკითხებზე. იგი, ჩვეულებისამებრ, ღრმად და საკმის ცოდნით უღვება ამ საკითხს. კინემატოგრაფი, მისი აზრით, ის ახალი ხელოვნებაა, რომელიც თავისი ტექნიკურ-მხატვრული შესაძლებლობებით ჩვენი საუკუნის ლოკიკურ დასკვნას წარმოადგენს. თეატრიდან იგი იყენებს მსახიობის სტილს, ფერწერისა — სიბრტყეზე საგნების განაწილებას, ფუქრადილბების ტონალურობას, არქიტექტურასა და ქანდაკებიდან — პროპორციების კანონებს, მოსკიდან — ბგერათა პარმონიულ ფერადობას, ლიტერატურადან კი — სიტყვიერ აზროვნებას,

პოტიკასა და სიუჟეტის მონტაჟურ განვითარებას (რა თქმა უნდა, კინო, მისი თვალსაზრისით, არავითარ შემთხვევაში არაა ჯამი ყველა ამისა, მას აქვს ყველასაგან განსხვავებული სპეციფიკური ენა — კინოენა). ავტორი ტელისკოპ და რიგით ლიტერატურულ ნაწარმოებთა გერანიზაციაში მარცხის მიზეზებს ხედავს არა ლიტერატურისა და კინოს ერთმანეთთან შეუთავსებლობაში, არამედ ზოგიერთ რეჟისორთა უსუსურობაში. ამ თვალსაზრისით იგი განიხილავს ფილმებს — „წარსულის ფურცლები“, „მეფედაც მზეს“. „აქ ხელისშემშლელი ზედმეტობისგან განთავისუფლების ზედმეტმა სწრაფვამ სრულიად უკუღმავლეთ ყოფითი დეტალების განზოგადების პოეტური ფორმის შესაძლებლობა“.

შემდეგ იგი დიდის მოწონებით წერს შოთა მანაგაძის პოეტურ-რომანტიკულ შემოქმედებაზე. მაღალ შეფასებას აძლევს მის სურათებს: „საბუდარელი ჭაბუკი“, „ხვესურული ბაღადა“, აქვე რეჟისორის ზოგიერთ ჩაფარდნასაც არ უვლის გვერდს („კვივილი თოვლზე“).

საინტერესოა წიგნის მესამე ნაწილში („მეგობრის თვალთა“) უცხოურ თეატრსა და კინოზე გამოთქმული მისი მოსაზრებანი. აქ განხილულია ჟან ვილარის გასტროლები თბილისში, ნეორეალიზმ. ავტორი განსაკუთრებული სიყვარულით წერს ჩ. ჩაპლინზე.

ასლა ნაკლის შესახებ. წიგნში მიუხედავად იმისა, რომ იგი დამწერილია გამართული ქართულით, ალბათ გვხვდება უხერხული გამოთქმები: „გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს სიტყვები სცენიდან კი არა, ქართული მზის — ამ სიბრძნისა და სათნოების მწვერვლიდან გაისმა“. „ქართველი ხალხისათვის ოდითგანვე სათაყვანებელ მცნებად წარმოადგენდა საკაცობრიო გასაზრდელი“ (გვ. 58).

ერთ ალბას ბანალობასაც წავაწყდებით: „ფრიადოსანი დოღო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში უგამოცოდოდ ჩარიცხეს, სულ ერთი წლის შემდეგ კი ყოვლის დამანახ-

ველმა კინემატოგრაფმა მისი უშუალობა და მოშიბეღული სილაშაყე შეამჩნია. ამიერიდან გემის პროფესიაზე თითქმის არც კი უფიქრია, მაგრამ, მამის სურვილისამებრ, მეურნაბი მაინც გამოვიდა, იმ განსხვავებით, რომ მას შემდეგ, რაც იგი ხელოვნებას ეზიარა, მედიცინის მუშაის ერთფეროვანი ხალათი მახაიხობის ათასი ნიღბით შეცვალა. და სამკურნალოდაც ჭიმბური წამლების შემზადების ნაცვლად, ადამიანის სულიერად გამაჯანაღებელი საშუალებების გამოყენება ისწავლა. გვრანზე პირველი გამოჩენისთანავე გამართლდა... წინასწარმეტყველებაც, დღით უწყალოდ განკურნავს ავადმყოფს“.

ავტორს უფრო გამოკვეთილად უნდა ელაპარაკა სპექტაკლ „ხოგაის მინდიას“ ნაკლოვანებებზე. ვერ დავეთანხმებით გ. ბარამიძეს ჟან ვილარის შეფასებაში. ჩვენი აზრით, თბილისში ნათამაშევი პარაკონი მისი გამარჯვება არ იყო. ჩანს, ვილარმა მოისურვა ახლად გაერცობილი „ინტერექტუალისმით“ შევეფრავს როლი და მარცხის მიზეზიც ესაა. კრებული „როგა ხელოვნებაში ძი-

ებაა“, მთავრდება დიდი მსახიობის ჩარლი ჩაპლინის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილით. ავტორი სიყვარულითა და სიღრმით აშუქებს გენიალური მსახიობის გზას. იგი წერს: „ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი თვითონ არის საოცრებებით სავსე ის უდიდესი ცხოვრება, რომელიც დიდი ხანია განუსაზღვრელი ინტერესისა და შესწავლის საგნად იქცა. ისევე, როგორც არ შეიძლება დამოავრდეს სათქმელი მშვენიერებაზე, პოეზიაზე და ადამიანურზე, მარად დაუსრულებელია სათქმელი ჩაპლინზე“.

„როცა ხელოვნებაში ძიებაა“ გ. ბარამიძის პირველი მნიშვნელოვანი წიგნია. ამასთან დაკავშირებით უნებურად გვახსენდება ამავე წიგნის ბოლო ფრაზა — სოფი ლორენის მიერ ჩარლი ჩაპლინის შესახებ წარმოთქმული სიტყვები: „ჰონკონგის გრაფინია“ ჩაპლინის პირველი ფერადი სურათია. და ავტორის მინაწერი: დიხა, პირველი და არა უკანასკნელი!“ — უმატებს ავტორი.

ასეთია მისი ნატყრა. იგივე გვსურვებია ჩვენც ამ მარგი წიგნის დამწერისთვის.

ლ. გომაია.
შოთა რუსთაველი.





ავტობიოგრაფიკი.

პ ე ლ ე რ ი ე ნ

სიღამონ-ერისთავის

შემოქმედების

აღრეული პერიოდი

ცისანა გაბუნია

მალმრინ სიღამონ-ერისთავი ახალი ქართული საბჭოთა მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავისი არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლე მხატვარმა მშობლიური ხელოვნების აყვავებისათვის ზრუნვას მოახმარა, ამავე დროს იგი აქტიური საზოგადო მოღვაწე და გულისხმიერი პედაგოგი იყო.

გ. სიღამონ-ერისთავი ფართო დიპლომატიისა და ძალზე ინდივიდუალური შემოქმედებითი ნიჭის მხატვარია. იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა როგორც თეატრალურ-დრამატულ მხატვრობაში, ისე ფერწერის ყველა ჟანრში: ისტორიული, ისტორიულ-რეალისტური, საყოფაცხოვრებო, პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი; ბევრს მუშაობდა გრაფიკულ ილუსტრაციებზე, თეატრსა და კინოში. მხატვრის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მეტყველების სიღრმე, რეალიზმი, ფერების გემოვნებით შესამება. მხურვალე პატრიოტიზმის გრძნობითაა ამტყველებული მთელი მისი შემოქმედება. იგი მიეკუთვნება საბჭოთა მხატვრების იმ თაობას, რომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიშალა.

მხატვრის შემოქმედება უაღრესად ხალხურია, მისი ბევრი ნამუშევარი თხრობით ხასიათს ატარებს. მას უყვარს რთული, მრავალფეროვანი კომპოზიციების აგება. მისი პალიტრა თავსებადებული ზომიერებით გამოირჩევა. გალერეან სიღამონ-ერისთავმა დაუღალავი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით გაამდიდრა ქართული კულტურის საგანძური.

ხატვა გალერეანმა პატარაობიდანვე დაიწყო. ბავშვის აზ

მედრეკილებას დიდი ყურადღება მიაქცია ხატვის მასწავლებელმა მირზოიანმა და მისი რჩევით, 1903 წელს, გალერეანი თავს ანებებს სამოქალაქო სასწავლებელს და გალერეანს ყანდაურის სამხატვრო სასწავლებელში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ცნობილი მხატვრები — ალ. მრეველიშვილი და ბ. ფოგელი: მისმა შემოქმედებამ უდავოდ ამ სასწავლებლიდან აიღო სათავე, აქედან დაიწყო მისი, როგორც მხატვრის ფორმირება, სიღამონ-ერისთავის ადრეულ ნახატებში ნათლად ჩანს მრეველიშვილისათვის დამახასიათებელი კომპოზიციის თხრობითი აგება. მასალის შერჩევისას იგრძნობა ერთგვარი ხალხსნული მიდგომა. გავლენა ისტორიული ჟანრის სფეროშიაც ჩანს, ფოგელისათვის დამახასიათებელი მოვლენათა ერთგვარი დეკორატიული ფერწერითი აღქმაც იგრძნობა სიღამონ-ერისთავის შემოქმედებაში. საფირფრეულია, რომ ალ. მრეველიშვილის ხალხსნური და „ფერფერეული“ იდეებითაა შთაინფიცირებული მხატვრის შემდგომი დროის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „გირჩი სააკაძე ბრძოლის წინ“ და სერია ჟანრული კომპოზიციებისა — „სხვენში“, „ბეზია და შვილიშვილები“, „ხვესურები მეფის მოხელის მოლოდინში“ და სხვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიღამონ-ერისთავის ხსენებული სურათებისათვის არ არის დამახასიათებელი მრეველიშვილისებური მამხილებელი ტონი.

1905 წლის საყოველთაო გაფიცვამ, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებამ და 1905 წლის რევოლუციამ დიდი გავლენა იქონია მოსახლეობის ყველა ფენაზე, რასაკარგვლია, არც თბილისის სამხატვრო სკულა დარჩა მისი შემოქმედების გარეშე. მოსწავლეები აქტიურ მო-

ნაწილებას იღებენ რევოლუციურ გამოსვლებში. ამიტომაც 1906 წელს მთავრობის ბრძანებით დაიხურა სამხატვრო სკოლა და ვ. სიღამონ-ერისთავი სწავლას აგრძელებს ი. შეროტინგის ხატვის სკოლაში.

1907 წელს სიღამონ-ერისთავი მოსკოვს მიემგზავრება ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ცოდნის გასაღრმავებლად. იგი მხოლოდ 1909 წელს ჩაირიცხა ფერწერის განყოფილებაზე თავისუფალ მსმენელად.

აქ, ახალგაზრდა მხატვარი მოხვდა მოსწავლე ახალგაზრდობის იმ ჯგუფში, რომელიც მანკიციდ იდგა რეალისმის საფუძველზე. ამას მოწოდებდა მანკიციდელი ნამუშევრები, — აკადემიური ეტიუდები, ესკიზები და სხვ.

მოსკოვის სამხატვრო სკოლა, სადაც მანკი ცნობილი რუსი მხატვრები ასწავლიდნენ, თავისი ხასიათითა და სწავლების მეთოდებით დიდად განსხვავდებოდა რუსეთში მისანად არსებული სხვა სამხატვრო სკოლებისაგან. იგი შესანიშნავ ნიადაგს უქმნიდა სიღამონ-ერისთავის ნიჭის გაფურცქნა-ზრდას და წარუშლელი კვალი დატოვა მხატვრის შემდგომ მიღვაწეობაზე.

რუსმა სასწავლებლებმა, განსაკუთრებით კ. სეროვმა, ა. არხიპოვმა და კ. კოროლინმა ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინეს ვალერიან სიღამონ-ერისთავის შემოქმედებაზე.

მოწინავე რეალისტური ქმნილებების შესწავლამ, შესანიშნავ რუს მხატვრებთან დაახლოებამ, მოსკოვის სამხატვრო მუზეუმების ექსპოზიციებმა გამოავლინეს მისი მხატვრული შემოქმედების ურტიკი შესაძლებლობანი, აგრძნობინეს მას თუ რა დიდი საზოგადოებრივი მოწოდების წინაშე იდგა და რას ავალბედა მას სამშობლო.

ამ პერიოდში მხატვარი დიდ ყურადღებას უთმობს ნატურალურ მუშაობას. ჯერ კიდევ სამხატვრო სასწავლებელში სწავლის დროს მას განცვიფრებაში მოჰყავდა მხატვლის შემოქმედის სხეულის ცოდნით. ნატურაზე მუშაობა მხატვრის სიციფრის უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტია. მოედლისაზემ ასეთი სწრაფვა კ. სეროვის გავლენას უნდა მივაწეროთ, რადგან ის, თავის მოსწავლეებს ეუბნებოდა: „აი-ღეთ ხელში ფანქარი და ნატურა!“

ვ. სიღამონ-ერისთავს ძალზედ იტაცებდა თვით ადამიანის სხეულის შესწავლის პროცესი, ამიტომაც მხატვარი მრავლად ექნის მიშველ ნატურას, აკეთებს ჩანახატებს როგორც ფანქარში, ასევე აქვარელსა და ზეთში.

მის პირველ ნაწარმოებებში მკვეთრად გამოვლინდა ნატურის ძალა და მხატვრულ უსულობაზე დაფუძნებული რეალისტური ხედვა. ვალერიან სიღამონ-ერისთავის საკლასო ეტიუდები, რომლებიც დაწერილია ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლის პერიოდში, გარდაც დადგომილებზე ადამიანის სხეულის მობრუნების ძალზე რთულ რაკურსებში. სხეულის ასეთი სახით გადმოცემის ავალბედნენ მხოლოდ გამოცდილ მოსწავლეებს.

ქალი ნატურა-ეტიუდი? სანატრესთა, როგორც თავისი მონაკისებრი ფერადობით გამოით, ასევე ქალის სხეულის ოსტატური გადმოცემით.

ვ. სიღამონ-ერისთავის შემოქმედებაში ყოველთვის მკვეთრად გამოიყოფა ფორმა. კომპოზიცივაში შეტანილი ფეტვები, თუ დამატებითი აქსესუარები კარგად სურათს და ერთად კომპოზიციას ქმნიან. მის მიერ ფანქარში შესრულებული შიშველი სხეულის ეტიუდები შესანიშნავად არის გამოტყეფილი სხეულის ფორმა და საერთო კოლორითლი აგება.

ადინიშული ფერწერული ეტიუდების ფონი თითქმის ყოველთვის მქცია. მხატვარი ფონად მხარბის მოშავო-მონაკ-რისფერი, მოლურჯო-მოთეთრი ფერებს, რომელებს უჭეის საშუალებით ხშირად ვერცხლისფერში გადადის. ვერცხ-

ლისფერს კი ერთგვარი სითბო და სინაჲ შეჰქცვით კოლორითში. ასეთ ფონზე ნახვასმით გამოიყოფა ფიგურის ნათელი სილუეტი.

მხატვრის მიერ შექმნილი შიშველი ფიგურები ხშირად ცოცხალი და ზორციელია, შესანიშნავად გამოიყოფა ყოველი ნაკვირი, რასაც მხატვარი ნატურაში და ლაკონური ხატვის საშუალებით აღწევს. სიერცისა და რაკურსების გადმოცემის დროს ნახატში იგრძნობა მხატვრის დამაბული ხელება, შეუპირდობისა გრადაციის გადმოცემის დაუფლება. შიშველი სხეულის გადმოსაცემად მხატვარი ხმარობს ნაწილს და ლამაზ ფერებს, ხოლო სხეულზე დაფიქრებული მოყვითალო ლაქები უფრო მეტად აცოცხლებენ სხეულს. აქ შეიძლება დავასხელით ქალის ნატურა-ეტიუდი. ტილოზე ოხსლად და მუშუქად დადებული ფერები აძლიერებენ ნატურის მიმოცელობას.

შემოქმედებითი მიღვაწეობის მთელ მანძილზე ვალერიან სიღამონ-ერისთავი გატაცებით სწავლობდა ქართულ და სპარსულ მინიატურებს. იგი გამუდმებით ეძიებდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად გაეზარდა საკუთარი მხატვრული დაბაზონი. იგი ყოველთვის პოულობდა მისთვის საჭიროს და თავისებურად გადამეშუავებდა ხოლმე. ზოგჯერ მის ნამუშევრებში აშკარად შეიგრძნობა ამა თუ იმ მხატვრის გავლენაც. მხატვრის ადრეულ ნაწარმოებებში შესამჩნევია ვ. სეროვის, ა. არხიპოვის, კ. კოროლინის, კასაკინის, მ. ვასნეცოვისა და სხვათა გავლენა.

მოსკოვის სკოლა და საერთოდ რუსული რეალისტური ხელოვნება ვალერიან სიღამონ-ერისთავისათვის იყო ის ნიადაგი, რომელზეც გაიფურქნა ახალგაზრდა შემოქმედის ბუნებრივი მონაცემები და გადმოკვილებანი. იმ დროს, როდესაც ბევრი მხატვარი მატერიალურ იყო აბსტრაქტული სურათებით, ჯერ კიდევ მოსწავლე ვალერიან სიღამონ-ერისთავი მხატვრული სიმართლით, რეალისტურად ასახავს სინამდვილეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიღამონ-ერისთავმა ისევე, როგორც ბევრმა მხატვარმა, ძიებებითა და წინადადებებით აღსავსე ჯუხა ვაგნელ, სანამ ჩამოყალიბდებოდა გარკვეული შემოქმედებითი სახის თანმიმდევრულ რეალისტად.

ვალერიან სიღამონ-ერისთავის მოსკოვის პერიოდის ნამუშევრები — აკადემიური ეტიუდები, ნახატები და ჩანახატები შესრულებულია სინამდვილის ღრმად შესწავლისა და დაკვირვების საფუძველზე. ზეითის ფერები გაკეთებული აკადემიური ეტიუდები (უშთავრესად შიშველი ქალის მოდელები) რეალისტური ნახატითა და თავისუფალი ფარული ფერწერული მანერით ხასიათდებიან, ამ ნამუშევრებში უკვე გარკვევით ჩანს ფერის მახვილი გრძნობა, ნახატის მიქმნობა და სიძლიერე.

სანატრესთა მხატვრის მიერ ამავე პერიოდში შესრულებული პორტრეტები. ამ ნაწარმოებებში გამოვლინობა ავტორის გემოვნება, გარკვეული მხატვრული ინტერესები, ჩანს დიდი რუსი პორტრეტისტის — ვ. სეროვის ერთგვარი გავლენაც. მოედნისსიფრი კოლორითი, თხელი მონახატები, რბილი მოდელობა დამახასიათებელია არა მარტო ამ პორტრეტებისათვის, არამედ მხატვრის პირველი პერიოდის შემოქმედებისათვის საერთოდ. თვით ვალერიანს არაერთხელ აღნიშნავს კიდევ, რომ რუს მხატვართა შორის განსაკუთრებით თავყავს სცემს ვ. სეროვს. მაგრამ ის სიღრმე, მოდელობა არსში ჩაწვდომა და მხატვრული განზოგადება, რაც ამ დიდი პორტრეტისტის შემოქმედების ძირითად ხატ შეადგენს, ახალგაზრდა მხატვრის აღნიშნულ ნამუშევრებში არ ჩანს. ამ პერიოდის პორტრეტები არ გამოარჩევიან სახეობით კომპოზიციითა და ადამიანთა უსულიერი სამყაროს გამოვლენის სიძლიერით, თუმცა, შეიძ-



ელენე ჰეველიას პორტრეტი (1915 წ.), ფრაგმენტი.

ლება ვიფიქროთ, რომ მხატვარს ეს არც ჰქონდა მიზნად მაგრამ ისეთი ნამუშევრები, როგორიცაა „ქალის პორტრეტი“, „უცნობი ქალის პორტრეტი“, „გოგონას პორტრეტი“, „ავტობიოგრაფი“, „ლევ ნიკოლინის პორტრეტი“ და სხვა საინტერესო ეტიუდებს წარმოადგენენ მოდელის ძირითადი ხასიათის გადმოცემისა და ფერწერული ოსტატობის მხრივ.

თავისი პირველი სრულყოფილი პორტრეტი ე. სიდამონ-ერისთავმა მხოლოდ 1913 წელს შექმნა.

ამ პერიოდის პორტრეტული ნამუშევრებიდან ყველაზე ძლიერია „უცნობი ქალის პორტრეტი“. ეს არის მცირე ზომის ნაწარმოები, რომელზედაც გამოსახულია ახალგაზრდა ქალი, მუკი ნაცრისფერი კაბით, თეთრი საყელით და მხარზე გადადებული ბეჭით. ქალს თავზე ახურავს შინდისფერი ქუდი, ხოლო სახეზე ჩამოფარებული აქვს ძალზე გამჭვივრავალ შავი პირბადე. ნაცრისფერ ფონს კარგად ეხამება ქალის სახის ნაზი ტონები, გადაჭარბებული მკაფიო და მკვეთრი ფერადოვანი ლაქების გამოუყენებლად. პორტრეტი შესრულებულია თხელი მონანებით, რბილი მოდელირებით, გემოვნებით შესამებული ფერადოვანი ლაქები ლამაზ პარონიას ქმნიან. ეს ნაწარმოები თვალსაჩინოდ ავლენს რუსული სკოლისა და, განსაკუთრებით, სეროვის გავლენას. ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ შესრულებულ ამ პორტრეტს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იმდროინდელ ქართულ სახვით ხელოვნებაში.

საინტერესოა მხატვრის მიერ შესრულებული „გოგონას პორტრეტი“, რომელშიც დიდი სიუსტკია და მხატვრული სიმართლით არის გადმოცემული ნატივით. ეს ნამდვილად პოეტური სახეა. პორტრეტზე გამოსახულია ლამაზი გოგონა, რომელსაც ძალზე ნაზი, გამჭვივრავალ ვარდისფერი ზედატანი აცვია. წაბლისფერიმანი გოგონას მთელი გარეგნობა განსაკუთრებით გიზიდავთ თავისი უზრალეობითა და ქალური სინაზით, სულიერი სისამკეპით. კომპოზიკაში იგრძნობა უშუალობა, გოგონა გამოსახულია სავარძელში მჯდომარე. ფერები ნაზად შეესატყვისება ერთმანეთს. მხატვარმა შესანიშნავად გადმოსცა შეუჩრდილი რბილი მო-

დელირება სახეზე, ხელებსა და ზედატანზე. ფონი და ჩრდილები ვარდისფერშია შესრულებული. თუმცა ახალგაზრდა მხატვარმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო განზოგადებული სახის შექმნა, მაგრამ აღნიშნული ნაწარმოები ნამდვილი პორტრეტია. ვალერიან სიდამონ-ერისთავმა შეძლო ემოცია ისეთი გამომსახველობითი საშუალებები, რომლითაც კარგად გადმოგვცა ტილოზე ახალგაზრდა ქალის ძალზე თბილი და ნათელი სახე.

სინორითა და სიცოცხლით სავსე გოგონა წარუშლელ შთაბეჭდილება ტოვებს, ეჭვიანი მომწვანო თვალებითა და ოდნავ მოვარდისფრო ლოყებით. იგი უზრალოდ და ბუნებრივად ზის სავარძელში. პორტრეტში მართალ ვარდისფერ ნაზ ზედატანს შეაქვს ერთგვარი მაჭორული ჟღერადობა, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების ემოციურ აგებულებას. კოლორიტი, სუფთა ტონები და გამჭვირვალობა უდიდეს როლს თამაშობს გამოსახულების პოეტურობაში. ამ სურათში ვალერიან სიდამონ-ერისთავმა შექმნა ცივი და თბილი ტონების სრული პარონია.

პოეტურია პატარა ზომის „უცნობი ქალის პორტრეტი“, რომელშიც იგრძნობა მხატვრის გაცაცება პლენურიით. ტექნიკური ხერხების სიახლის მიუხედავად, ეს პორტრეტი მჭიდროდ უკავშირდება რეალისტური პორტრეტის ტრადიციებს.

ნატურის ღრმად შესწავლამ, ადამიანის სახის პლასტიკისა და სხეულისადმი ყურადღებამ, ცხოვრებისეულმა დამაჯერებლობამ დადებითი მოახდინა ვალერიან სიდამონ-ერისთავის შემდგომ შემოქმედებაზე. მის გრაფიკულ ნამუშევრებში ფორმა კედურობის მსგავსი მოდელირებითაა გადმოცემული. ასეთია მისი მოსკოვში სწავლის პერიოდში შესრულებული „ავტობიოგრაფი“.

აღნიშნულ პერიოდში მხატვრის მიერ ზუთის ფერებით დაწერილი ავტობიოგრაფიკული არც თუ ისე ბევრია, მაგრამ ისინი ნამუშევრები ნახატისა და ხასიათის გადმოცემის ხერხების სხვადასხვაობით. მის მიერ შესრულებული ავტობიოგრაფიები, მართალია, დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ვერ გარტყევენ, მაგრამ მხატვარი ძალზე ნათლად გადმოგვცემს საკუთარ სულიერ სამყაროს.

ვალერიან სიდამონ-ერისთავის როგორც მოსკოვში სწავლის დროს შექმნილი პორტრეტებისათვის, ისევე პირველი პერიოდის შემოქმედებისათვის და მასისათებულო მოვერცხლისფრო კოლორიტი, თხელი მონასმი, რბილი მოდელირება. მხატვარი არ იყენებს მკაფიო და მკვეთრ ლაქებს. მონასმები შეარქმულებულია თავისუფალი ფუნქციით. გემოვნებით შესაბამისად ფერადოვანი ლაქები ყოველთვის ლამაზ პარონიას ქმნიან.

მხატვრის მიერ შესრულებულ პორტრეტებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ პორტრეტულ ჟანრში, როგორც ახალი სტილისტური და ფერწერითი მიმართულების ჩასახვის მაჩვენებელი ნაწარმოებებს. ზოგიერთ პორტრეტში აშკარად ჩანს ავტორის საკუთარი სტილი, რაც გამოიხატება ნატურის დიდი სიუსტკიითა და მხატვრული სიმართლით გადმოცემაში. ასეთებია „გოგონას პორტრეტი“ და პატარა ზომის ფერწერული ტილო „უცნობი ქალის პორტრეტი“. აღნიშნული სახეები გამოირჩევა პოეტურობით, უზრალეობით, დიდი ქალური სინაზითა და სულიერი სისამკეპით. კომპოზიკაში იგრძნობა უშუალობა.

შემოტყევი ბუნებია და მისი სტილიური წარსულით დაინტერესებული მხატვარი დიდი სიყვარულითა და პატივით სწავლობდა ძველი ქალაქების ნანგრევებს, ციხე-სიმაგრეებს, კოშკებსა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახელთა მრავალრიცხოვანი ბრძოლის უტყუარ მოწმე ძეგლებს; იგი სწავლობდა და აკვირდებოდა კახეთის ქობის, ბაღ-ვენახებს, მინდვრებსა და მთებს. პეიზაჟის ჟანრისად-

მი ასეთი სწრაფვა ბუნების დიდი სიყვარულით იყო ნაკარნახევი.

კახეთის ლალ და ლამაზ ბუნებაში გაზრდილ ვალერიანს სამუდამოდ შეუყვარდა მშობლიური ქვეყნის მთები, ველები, ტყეები და მდინარეები. რასაკვირველია, ბავშვობის შთაბეჭდილებანი დაედო საფუძვლად მის ხელოვნებას და მხატვარი უკვე შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელი პერიოდით კვლავ მიმართავს მშობლიურ ბუნებას, ქმნის თემატებს მისი მხატვრობის ჩანასახების მიერ სერიას.

ვალერიანს სიღამონ-ერისთავის ოჯახში იწახება ფანქარში შემართებული ნახატების ალბომი, რომელიც მხატვრის მიერ 1910-1920 წლებშია შექმნილი. ალბომში ვხვდებით მისთვის საყვარელი ადგილების ჩანასახებს: „მცხეთა“, „ბორჯომის პეიზაჟი“, „ერეკლეს ციხე“, „თელავი“ და მარაგალი სხვა, რომლებიც ხასიათდებიან შუქჩრდილით კონტრასტებით. ექსპრესიულობით, რიტმურობით. მხატვარი პეიზაჟს ზოგჯერ ადამიანის ფიგურებით აცოცხლებს, რომლებიც ხშირად სილუეტების სახით არის მოცემული.

აღნიშნულ პერიოდში შესრულებული პეიზაჟების ფერი ხშირად დახშულია და უმეტესწილად. დეტალებს ძალზე უსუსტი გადმოცემა ნახატს ზოგჯერ მშრალსა და მოსაწყენს ხდის.

მოსკოვში ვალერიან სიღამონ-ერისთავს ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან. 1910-1911 წლებში ვალერიანი ცნობილი რუსი პეიზაჟისტის ა. ვანსეცოვის სახელსონოში მცადონებობდა, რასაც არ შეიძლება ერთგვარი დადებითი გავლენა არ მოეხდინა მის შემოქმედებაზე. ა. ვანსეცოვი იყო შესანიშნავი მხატვარი, ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, ყურადღებიანი და გულისხმიერი ავტოგოგი, მასთან ურთიერთობა და სწავლა სასარგებლო იყო არა მარტო ფერწერული ოსტატობის დაუფლების თვალსაზრისით, არამედ მხატვრის საერთო კულტურული ზრდისთვისაც.

პეიზაჟურ ფერწერაში ვალერიანი ა. ვანსეცოვის სახელსონოში დაოსტატდა. რის შემდეგ, მხატვარი, მთელ რიგ საინტერესო ფერწერულ ტილოებს ქმნის.

ვალერიან სიღამონ-ერისთავის პეიზაჟები თავისი შინაარსით ყოველთვის ლაკონურია. საინტერესოა ზეთის ფერები შესრულებული პატარა ზომის პეიზაჟი-ეტიუდი, რომელშიაც მხატვარს შესანიშნავად აქვს გადმოცემული ბუნება. ეტიუდი წარმოადგენს დღის პეიზაჟს; უკან ლავარდოვანი ცაა, ლაქებით არის აღნიშნული მაღალი ხეები, რომელთა ფოთლებსაც მზე ოქროსფერ სხივებად ეფინება. პეიზაჟი მოცემულია ორ პლანად. უფრო სწორად, ორი სიმაღლის სახით. მაღლობზე განლაგებულ გზოს ნაირფერად ეფინება მსუბუქი ნისლი, აქ მხატვარი ხმარობს წაბლის, კაკაოს, მწვანე და ნაცრისფერ ფერებს. ეტიუდში განსაკუთრებით ნათელია პირველი პლანი, რაც ხელს უწყობს მხატვარს ზოგიერთი დეტალის დაწვრილებით გამოსახატვად. ეზოში დგას წითელი კრამიტით გადახურული ორი პატარა შენობა. ხელოვანს კარგად აქვს მიხატული ქვის დაბალი ღობეც, რომლითაც ეზოა შემოზღუდული. ღობესა და სახლის კედელს შორის წითელი კრამიტი ალავია. მხატვარი მშვენივრად უკავშირებს ერთმანეთს პირველსა და მეორე პლანს. ტილოს ზემოთა ნაწილი, ლავარდისფერი ცის ფონზე, პეიზაჟი გამჭვალულია მზის ოქროსფერი შუქით და მთლიანად მთელი ოქროსფერი ტონალობით ხასიათდება.

პეიზაჟში მოთავსებულ ყველა დეტალს მკაცრად აქვს განსაზღვრული ადგილი, რაც ეტიუდს განსაკუთრებულ თავისებურებასა და ზომიერებას ანიჭებს.

კარგია პეიზაჟის ფერწერა, ძალზე სასიამოვნო გამაქმნიან მზის ოქროსფერი სხივებითა და ლავარდოვანი ცით

ოდნავ განათებული ბალახის, შენობების, ხეების, ღობის დახშული ტონები. იუონისა და დუდინის სამხატვრო სტუდია, სამხატვრო ატელიუმისა და გამოფენების ნახვა, მხატვრებთან ნაცნობობა, მოსკოვის მიდამოებში სეირნობა, აცოცხლებდა და ასულდგმულებდა ვალერიანს. იგი გატაცებითა და მიოვლით მონდომებით ეუფლებოდა ხატვას, რასაც მოწოდებს ამ პერიოდში შექმნილი უამრავი ეტიუდი.

აღნიშნული პერიოდის თითოეულ ნამუშევარში მორანს მხატვრის საკუთარი ხელწერა და ოსტატობა, ბუნების შეგრძნება და სიყვარული. ყოველი ეტიუდი პეიზაჟიდან ზოტაცემულ შესანიშნავ ნაწილს წარმოადგენს. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ეტიუდი „ზიდი“.

ნამუშევარი სრულყოფილია და არაფრით მოგვაგონებს მისწავლის მიერ შესრულებულ ნაწარმოებს. მასში მორანს გარემოს ძალზე მგრძნობიარე და უშუალო აღქმა.

მხატვარი აღნიშნულ ეტიუდში გადმოგვცემს ბუნების სიყვარულს, ამასთან ერთად ცდილობს ჩაწვდეს მის მიზიდულობას და, რაც მთავარია ცდილობს გამოიმუშაოს საკუთარი პროფესიული ოსტატობა.

პეიზაჟი ვალერიან სიღამონ-ერისთავის სურათებში ყოველთვის განსვრავდებოდა, ისინი მუდამ ემოციურია. ამასთან ერთად მხატვრის მიერ გამოსახული ხეები, კლდეები ყოველთვის სავნობრივია, მატერიალური და მათში ჩაქსოვილია ბუნების სიდიადე.

ვალერიან სიღამონ-ერისთავამ დიდი უშუალობით შექმნილ ნაწარმოებებში აღბეჭდა ეროვნული კოლორიტი. ის წვლილი, რომელიც მან ქართული პეიზაჟის განვითარებაში შეიტანა, საინტერესოა უმთავრესად თავისი ფერწერული გადაწყვეტით. მხატვრის მიერ შექმნილი ყველა პეიზაჟი

ქალის პორტრეტი (1914 წ.).



ძალზე თბილი და შემოქმედებითა. იგი ბუნებას ყოველთვის ნამდვილი შემოქმედის თვალთ უყურებს, წვდება მას, ცდილობს გაიგოს ბუნების შინაგანი არსი.

ხატვის სიყვარული იყო ერთადერთი საშუალება, რითაც გალერეის გადმოგვიქცნდა გარესამყაროს თავისებურ აღქმას, ეს იყო ენა, რომლითაც მხატვარი მეტყველებდა და უამბობდა ადამიანებს თავის განცდებზე, მშობლიური ხალხის დიდ სიყვარულზე, სილამაზეზე, რომელიც მას ასე აღუვლებდა და იტაცებდა.

გალერეისანი მიერ შექმნილ სურათებს ახასიათებს სწორი პერსპექტივა, ზოგჯერ მუქი მონაცრისფრო კოლორიტი. მაგრამ ისინი თავიანთი გამოსახველობით დიდ შთაბეჭდილებას ვერ ადენენ მხატვალზე. აქ არც ის უნდა დადგინდეთ, რომ აღნიშნული პერიოდის ზოგიერთ ნაწარმოებში მხატვარმა ჯერ კიდევ ვერ მიადგია პეიზაჟში სიერციხობივ და პოპსტიკურ ერთიანობას.

ძალზე მგრძნობიარე ადამიანისათვის, უშუალო ხედვითა და გასაოცარი ფერწერული ნიჭით დაჯილდოებული მხატვრისათვის, ნატურის ნაწი ალქმა ძალზე ორიგანული იყო.

მოსკოვში სწავლისას მხატვარმა საქართველოს ისტორიულ და საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნა მრავალი ესკიზი, რომლებშიც მონაწილეობდა სასწავლებლის გამოფენებზე. მისი ნამუშევრები არაერთხელ იყო აღნიშნული პრესაში — „რუსკოე სლოვო“ და გაზეთი „ნივია“.

გალერეაში სილამაზის-ერისთავის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული XX საუკუნის ქართული ბატალური ფერწერის ჩასახვასა და გავეითარებასთან. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია ამ საქმეში. აღსანიშნავია მისი მრავალრიცხოვანი და დიდი ზომის ფერწერული ტილოები: „კოწიწისის ბრძოლა“, „თამარის დროშა გაშალეს“, „იოხტა ბელადის დამარცხება“, „გიორგი სააკაძე ბრძოლის მოლოდინში“ და მრავალი სხვა. ამ ტილოებში მხატვარმა გამოიჩინა სათანადო ბატალისტური ნიჭი.

მისი ბატალური სურათების დადებით მხარეს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ნახატის დახვეწილობა და დეტალების დოკუმენტური სიზუსტე. მხატვარს ახასიათებს მაღალი კომპოზიციური ოსტატობა, საინტერესო ფერწე-

რული გადაწყვეტა. მისი ნამუშევრები შესრულებულია ყველთვის კეთილსინდისიერად და მაღალი პროფესიული ოსტატობით.

მხატვრის ხილვა უმთავრესად დეკორატიული იყო. ისტორიული ხასიათის ტილოებში ფაქტებს დეკორატიული მიდგომით ასახავს, რაც ზნობად კომპოზიციის რამდენადმე თხრობით, ილუსტრაციულ აგებაში გამოისატება.

ამრიგად, გალერეიან სილამაზ-ერისთავის ადრეულ შემოქმედებაში იგრძნობა ავტორის გემოვნება, გარკვეული მხატვრული ინტერესები, საკუთარი მხატვრული სტილი.

შენიშვნები:

¹ В. Серов. Рисунки. Очерк С. П. Яремича, Издательство Всероссийской Академии Художеств. Ленинград, 1936 г., стр. 17.

² ქალის ნატურა-ეტუდი; ტ/ზ; მოსკოვის პერიოდი; თენგიზ ერისთავის საკუთრება; ტილო დაზიანებულია, ხელმოწერილია; მარჯვნივ ქვემოთ წარწერა: «В. Сид-Эристави».

³ „უცნობი ქალის პორტრეტი“; 1913 წ. საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; ტ/ზ; 47×34.

⁴ „გოგონას პორტრეტი“; მოსკოვის პერიოდი; ტ/ზ 49×35; თენგიზ ერისთავის საკუთრება.

⁵ „უცნობი ქალის პორტრეტი“; მოსკოვის პერიოდი; ტ/ზ; 47×34; თენგიზ ერისთავის საკუთრება.

რეჟისორში ევგენი უცეა არ მხოულა, თუმცა სურვილი არაფერ ქიზდა. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში; როცა იგი ამხანაგებს ესმარებოდა ეტიუდების განხორციელებაში, თავისთავად დამდგმელის ფუნქციებსაც ასრულებდა. რეჟისორობაზე მისი ოცნების შესახებ მხოლოდ რამდენიმე ახლო მეგობარმა თუ იცოდა. შემოხვევითი როდი იყო, რომ, როცა ამხანაგები პირველი წამყვანი როლის შესრულებაზე ულოცავდნენ ბასილავილის სპექტაკლში „ჩემი მეგობარი კოკა“, მისი მეგობარი, ამგამად ასევე რეჟისორი სემიონ კაცი მას სწრდა: „რატომღაც მალე მიველწის დასახული მიზნისათვის, რომლის პირველ ეტაპს მსახიობობა წარმოადგენდა“. მართლაც იგი კარგი მსახიობი გამოვიდა.

პირველი ეტაპიც განვლილი აღმოჩნდა და კიდევ მეუახლოვდა დასახულ მიზანს.

ამ მხრივაც, როგორც იტყვიან, თავიდანვე გაუმართლდა. თეატრალურ ინსტიტუტში ევგენი ექსპერიმენტულ და მსახიობო-სარეჟისორო ჯგუფში მოხდა, სადაც ძალზე საინტერესო მეცადინეობა მომდინარეობდა. ევგენიერად სტუდენტის თავითანი პატარა თეატრიც გააჩნდა, სადაც მომავალი რეჟისორები რეჟისორობით ასრულებდნენ თეატრის დირექტორის, მთავარი რეჟისორის, ლიტერატურული ნაწილის გამგისა თუ ჯგუფებულის ფუნქციებს. ამრიგად ისინი ეცნობოდნენ თეატრის მთელი თავისი მრავალ-

მხრივობითა და სირთულეებით, რაშიც დიდ დახმარებას უწევდა მათ რევისორი მიხილ თუმანიშვილი.

ამ ჯგუფში ყოველი მეცადინეობა ერთ ურღვევ კანონს ემორჩილებოდა: „ყოველივე მსახიობისაგან, მსახიობისათვის, მსახიობის საშუალებითი“, რადგან ამ ერთობლივი სწავლების აზრი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ რევისორებს სკოლდროშა მსახიობობიდან შეშაობა, ხოლო მსახიობებს შეეძინათ სარეჟისერო მეთოდების კანონები. ამიტომაც ამ კურსის მომავალი რევისორების სპექტაკლები გამორჩეოდნენ უპირველეს ყოვლისა მსახიობური ნამუშევრით. თითოეული რევისორი ინსტრუქციულად უპირველესად მსახიობის საშუალებით განხორციელებდა თავისი ჩანაფიქრი. სწორედ ამ ღრისებით გამოირჩეოდა ბასილაშვილის მიერ სტუდენტურ სცენაზე განხორციელებული „ჩხვივის „თოლია“, ამასთან დაკავშირებით ი. ხიმშიაშვილი თურლ „თეატრში“ (1971 წ., № 11) აღნიშნავდა: ეს ის შემთხვევა იყო, როცა რევისორმა შესძლო „მომკვდარივე მსახიობი“, რომ „თოლია“ უპირველეს ყოვლისა მსახიობური სპექტაკლია, რომელიც სტუდენტების საუკეთესო ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს“.

სწავლებლისათვის ერთად ევგენი ბასილაშვილმა მრავალი წამყვანი როლი განასახიერა თბილისის რუსულ მოზარდ-მეყურებელთა თეატრის სცენაზე. ინსტიტუტში მიღებულმა ცოდნამ და მცირედმა სცენურმა გამოცდილებამ მას ხელი შეუწყო შეექმნა აქტიურილი სიმყრდილი და ოსტატობით გამოირჩეული სრულყოფილი მხატვრული სახეები. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ტრუფალინის შესანიშნავი როლი, როგორც ტექნიკური შესრულების მხრივ, ასევე სახის შინაგანი ხაზის განვითარების მიხედვითაც. დიდებული უნარობებით მოთავსდა მისი ტრუფალინის რევისორ თ. აბაშიძის შესანიშნავი ჩანაფიქრის ჩარჩოში. თითქმის დაუჯერებელი იყო, რომ ეს ტექნიკმანერა, პლასტიკური, მახვილონიერი, მძალური, მედნიერობითა და სიყვარულით აღსავსე იტალიელი, რეჟისორებისა და სახელმწიფოების საზღვრებით, შეუპოვარი შრომის ნაყოფი იყო. მსახიობი დიდურსაც კი წერდა, რომელშიც უპირველესად რეჟისორების, ხოლო შემდეგ სპექტაკლის შედეგის აღნიშნავდა, რამდენადაც როლზე მუშაობა სპექტაკლის დადების შემდეგაც გაგრძელდებოდა. მეცადინეობა და როლის მოქმედი ანალიზის შეთოდის მიხედვით, რომელიც მას ინსტიტუტში შეასწავლეს, მოცემულ სპექტაკლში უსტადად გამოხატა თავისი პერსონაჟის მოქმედების ლოგიკა, რის შედეგადაც მივიდა ისეთ სცენურ თეიო-მეგნებამდე, რომელიც ელვისებურად ავლენდა ხოლმე ამ ორი ბატონის ნიჭიერი მსახურის მიხედვითობას. სცენურული როლის განასახიერება გამოირჩეოდა იმპროვიზაციული ცხოველყოფილობით, ნათელი და მდიდარი ფერადობებით.

არანაკლები ოსტატობით განასახიერა ბასილაშვილმა კიკილას როლი ე. ნახუროშვილისა და მ. გამრეკელის პიესა-„ლუპარში“, „ნაცარქექია“. გარდა ამ სახისაგან და მასთანაბრებული მიხედვითობის, გამომჩინებლობისა და იუმორისა, ბასილაშვილის კიკილა აჩვენებულმანერად ნიჭიერ და არტისტული იყო. მას სიამოვნება გვრიდა, მაგალითად, ბავშვებისათვის ზეპირდები არტისტული წარმონახვით მოყვლის პრეცესი. რადგან ფანტაზია და გამოგონებლობა დასკირდა მას, რათა ესოდენ მახვილონიერულიად გადაეხდა სამაგიერო მემამულე იასონის ძუნწი ოჯახობისათვის და გაეშასხარებინა იგი, ან კიდევ რა მოხდებოდა ატარებდა იგი ტანსაცმელს: მომხიბვლოთ არტისტობით ისწორებდა თავზე მიყვ ტანსაცმელს, რის სტუდენტობით ისწორებდა თავზე მიყვ ტანსაცმელს, რისაოდენ ღრისებულად და მედიდურად დასეირნობდა უღებურ

ტყეში ყაჩაღის მიერ მიტოვებული ქერქით. მსახიობი თავდაცვით სიამოვნებას განიცდიდა ამ როლით და, ბუნებრივად, ასეთსვე სიამოვნებას განიცდიდებდა მაყურებელსაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნამუშევარი სპექტაკლში „მე გვებდა მუც“. როგორც ცნობილია, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის ამ პიესამ ჩვენი ტყვეების თითქმის ყველა თეატრი შემოიღო და თუ ბასილაშვილი მას სოსოსათა როლი ისე განასახიერა, რომ მას ქვეით გამოეხმაურა საკავშირო პრესა, ეს იმის დამადასტურებელიცაა, რომ მსახიობმა შესძლო მრავალ სოსოსათა შორის გამოეჩინა თავისი საკუთარი და საინტერესო სოსოსათა ინტონაცია. ამ როლის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ს. სტეფანის მიერ ჟურნალ „თეატრში“ (1971 წ., № 11) გამოქვეყნებული სტატია. მოსკოვურმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა მას და ხაზსასობით აღნიშნა ბასილაშვილის მიერ გამოყვეთილი ყმაწვილის სიკეთე და სურველი სიწმინდე.

და საერთოდვე, უკანასკნელ ხანს მას არ განუსახიერებია არცერთი როლი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცია. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ მსახიობი შესანიშნავად ირგებდა როლიდან როლში. ამის ჭეშმარიტ შეფასება ისიც, რომ მას რეჟისორების მტკიცებით განეპირული მეოცნებე პოეტ-რომანტიკოსის საშეკას (მ. მატროვის „რეჟისორების სახეობა“) როლის განასახიერებისათვის საკარგიველს სსრ კულტურის სამინისტროს სიგელი და დიპლომი მიენიჭა. იგი ასევე მისი სურვლად იქნა აღიარებული ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მსახიობების ორწლიან დათავადიერება-კონკურსებზე და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ამავდროს მისი კანდიდატურაც იქნა წამოყენებული ახალგაზრდა მსახიობის საკავშირო დათავადიერებაზე მონაწილეობისათვის.

მისუდნადვე ასეთი წარმატებისათვის თეატრში, ევგენიათვის მთავარი მაინც ინსტიტუტში სწავლა იყო, სადაც იგი მ. თუმანიშვილისა და თ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით სტუდენტურ თეატრში თივისება მსახიობური ოსტატობის საიდუმლოებასა და ღრმად ეუფლებოდა რევისორის ვადის-ნურ პროფესიასაც.

თავისი სადილობო სპექტაკლისათვის ნ. შახნაშვილის ინსცენირება „როგორაა საქმე ჭაბუკო“ (უნგრელი მწერლის შანდორ შოშირის ანაგე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით) შერაგია და რუსულ მოზარდ მეყურებელთა თეატრში განახორციელა.

ამ ნაწარმოებში წამოყენებული პრობლემა (მშობლების ურთიერთობა ერთმანეთსა და შვილებს შორის, მასწავლებლებისა და მოწაფეების დამოკიდებულება...) დიდი ხანია აღუვლდა ე. ბასილაშვილს. ამ წელზე მეტ ხანს მუშაობდა იგი თეატრში ბავშვებისათვის და თან ბავშვთა მასობრივად და ფსიქოლოგიასაც სწავლობდა. მან იმ დიანაზე თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვებისთვის შესაძლებლობის მიგება — თავიდანვე გარკვეულიყვნენ თბილ ოჯახურ ურთიერთობაში.

მოზარდ-მეყურებელთა თეატრისათვის ამ მუდმივად თანამედროვე და აქტუალურად თმას თავისი სიროთუცე ახლდა, რადგან იმის გულახდილი ჩვენება თუ როგორ მოქმედებს ბავშვებზე მშობლების უთანხმოება, ჩხუბი და აჯალ-მაცალი, ან სცენა მასწავლებლების პირადი ცხოვრება, საკმაოდ მოლოდინო თემებია. მაგრამ, თივლი-წინებდა რა იმასაც, რომ ბავშვი უკვე პიროვნებაა, რომელსაც გაცოდებით ღრმად ესმის და გრძნობს, ვიდრე ეს ზოგიერთ მოზრდილს წარმოუდგენია, ახალგაზრდა რევისორის სჯერდა, რომ ბავშვები მას გაუგებდნენ და მათ მიეღო ნდობითა და თანასწორუფლებიანად ელაპარაკე-

ბოდა სცენიდან. ამ ნდობამ კიდევაც ჰყოვა თავისი გამარ-
თლება.

მეათეულასწლოა ი. ალტუნინმა გაზეთ „მელოდიოჲ
გრუზიას“ 1972 წლის 30 მარტის ნომერში ასე გამო-
ხატა თავისი აზრი:

„დადგმა იპყრობს, ალექსანდრე მაყურებელს. მთელ რიგ
სცენებში საკუთარ თავს შეიცნობ და თითქმის სხვა მხრი-
დან უყურებ მას. ზოგჯერ დაგაფიქრებს კიდევ და საკუთარ
თავში გარკვევას იწყებს, უკირდები შენს ქვეშებს, შენს
დამოკიდებულებებს მშობლებთან, მასწავლებლებთან და
ა. შ... თვალყურს ადევნებ რა იმას, თუ ზოგჯერ რა ცუ-
დად მოქმედებენ მშობლები და მასწავლებლები თავიანთ
შთაბეჭდილებებზე, შიშობ, რომ ვინმემ არ გამოიტანოს და-
სკვნა: აი ყოველივე ის, რაშიც მდგომარეობს ჩვენი მანკი-
ერების მიზეზი. როგორც ჩანს, ყველაფერში დამნაშავეა
ოჯახი, მასწავლებელი, მაგრამ მე ვძლევ ჩემს ექვს. ვფიქ-
რობ, ჩვენ არც ისე პატარები ვართ, რომ ამ სახით გვეპა-
ტიოს ცოდვები და უკვე შესაძლებლობა გავაჩინა გარე
ცულისაგან გავარჩიოთ“.

სპექტაკლი აქტუალური აყო და მაყურებლის აღიარე-
თაც მოიპოვა.

ახალგაზრდა რეჟისორმა უკვე თავის პირველსავე სპე-
ქტაკლში წამოაყენა განსაზღვრული პრობლემები და შე-
ცავადა გადაწყვეტა იგი პიესის მოქმედი ანალიზის მეთო-
დის მიხედვით ისე, როგორცადაც მუშაობდნენ თეატრალურ
ინსტიტუტში. ე. ბასილაშვილმა საინტერესოდ განახორ-
ციელა თავისი ჩანაფიქრი მსახიობების საშუალებით, მთე-
ლი სიხუსტით დაამუშავა მათთან სპექტაკლის სამოქმე-
დო ხაზი და ზუსტად განსაზღვრა თითოეული პერსონა-
ჟის მოქმედების ლოგიკა.

შემდეგი სპექტაკლისათვის მას, როგორც უკვე თეატრის
რეჟისორს, მიანდეს ა. ხმელიკის კომედია „ფედიკინა —
მსხვილი ჭიანჭველი“. რესპუბლიკის მოზარდ მაყურებელთა
თეატრების სცენებზე ამ პიესას განსაკუთრებული წარმა-
ტება არ ჰქონია. მოახდინა რა საკმაო გაბედული განაწი-
ლება როლებისა (ზოგიერთ ახალბედა მსახიობ ქალებს ბი-
ჭების როლები მიანდო), ე. ბასილაშვილი შეუდგა საინ-
ტერესო მუშაობას. მას არ დასჭირვებია განსაკუთრებული
გატაცება პერსონაჟთა ფსიქოლოგიით, რადგან პიესის სი-
უშვეტი ერთობ უბრალო იყო, სახეები — ნათელი. ამიტომ
რეჟისორის ყურადღება უმთავრესად მიმართული იქნა
სპექტაკლის ფორმისადმი. გამოშინარებობა და იქიდან,

„საქეულის“ ნაგუშუაქრთა გაგოუენა

ჰშირ კიდევ თხუთმეტიოდ წლის
წინ თბილისის სამხატვრო აკადე-
მიის კედლებში დაიწყო ოლეგ ქო-
ჩაიძის, ალექსანდრე სლოვინსკისა
და იგორ ჩიკაიძის დაახლოება და

ერთობლივი შემოქმედებითი მოღ-
ვაწეობა, როდესაც ისინი ხუროთ-
მოძღვრების ფაკულტეტზე სწავლო-
ბდნენ.

ყოველ მათგანს იმთავითვე საკუ-

თარი მხატვრული აზროვნება, სამ-
ყაროს აღქმის განსხვავებული უნარი
და ხელწერა გააჩნდა, მაგრამ ამ ნი-
ჭიერ ხელოვნათა მიერ 1959 წელს
თბილისის მოზარდ მაყურებელთა



გამოფენის ერთ-ერთი კუთხე

რომ საშუალო ასაკის გოგონები და ჭაბუკები აღმერთებენ ყოველგვარ საიდუმლოებას, არაჩვეულებრივ თავდასასა-
ვლებსა და ა. შ. მან საქეტაკალი ავგო დეტექტიური ფი-
ლმების სქემის მიხედვით, მთელი პიესა დაკო სერეიბად
რომელთა სახელწოდებები საკმაოდ ინტრიგული იყო: პი-
რველ სერიას ეწოდებოდა „ჩაგარდნილი შეხედრა“, მეო-
რეს — „შეთქმულება“, მესამეს — „ღევან“, მეოთხეს —
„ლაოტა“, მეხუთე სერიას კი „ვინ არის, ვინ“. ამ მიზნით
მან მსატკარ ცერადესთან ერთად ავანსცენის გვერდებზე
დადგა კვანძები, რომლებზეც რიგრიგითი ამუშებდა
თითოეული სერიის სახელწოდებას, თანაც ეს კვანძები
არ გამოიყოფოდნენ და ერთ მთლიან წარმოდგენდნენ
მთელი საქეტაკლის მხატვრულ გაფორმებაში. ასეთი რეჟი-
სორული გადაწყვეტა მეტ სიცოცხლეს მატებდა კომედიას.
ეს საქეტაკალი მოხარდ მაყურებელთა თეატრმა საკავში-
რო დათვალიერებაზე წარადგინა, რომელიც ვ. ი. ლეინ-
ნის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ორმოცდაათი
წლისთავს მიეძღვნა. მას წარმატება ხვდა: იგი ექვსი სა-
უკეთესო საქეტაკლის რიგგარეშე შევიდა და დაჯილდოვდა
დუქობითა და პრემიით.
მიუხედავად იმისა, რომ ევგენის რეჟისორული პრაქტი-
კა არც თუ ისე დიდია, მას უკვე გააჩნია საკუთარი რეჟი-

სორული ალღო. რეპეტიციებზე იგი მუდამ ქმნის შემოქმე-
დებით ატმოსფეროს, უნარი შესწევს ზუსტად ახსნას ამო-
კანა, დარწმუნოს მსახიობი თავის გადაწყვეტილებაში,
რაც რეჟისორის მეტად ძვირფასი დროებია. ასევე მოხდა
ა ოსტრეფის კომედიის „ჩვენი ხალხია — მოეროდე-
ბით“ სადადმო ჯგუფთანაც. ყველასათვის ცნობილი ეს
ქრესტომათიული პიესა არც თუ ძალიან აღუვლებდა მსა-
ხიობებს, მაგრამ, როცა რეჟისორმა მსახიობებს შთამაგო-
ნებლ:დ მოუთხრო მომავალი საქეტაკლის შესახებ და პი-
ესა დღევანდლობას დაუკავშირა, მან მოხიბლა მსახიობე-
ნი. და მათაც გატაცებით დაიწყეს შემართა. საქეტაკლი
მოკლე ხანში შეიქმნა და პიესას წილად ხვდა არატრადი-
ციული, საინტერესო განხორციელება.
რა თქმა უნდა, ლაპარაკი ევგენი ბასილაშვილის, რო-
გორც ჩამოყალიბებული და დასრულებული მხატვრის:
შესახებ, ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ იგი ნიჭიერი ხელოვა-
ნია, რომელიც გამუდმებით ეძებს და ისწავფის უკეთესი-
სავენ. მას უყვარს თეატრი და გულწრფელად ერთგულია
მისი. ახალგაზრდა რეჟისორი ევგენი ბასილაშვილი ერთი
იმთავანია, რომლისთვისაც თეატრი ყველაზე მთავარია
ცხოვრებაში.

ქართულ თეატრში გაფორმებულმა
საქეტაკლმა „ჯადოსნური ხილბან-
დი“ დასაბამი მისცა „სამეულის“
ერთობლივ მუშაობას.

ხელოვანთა ნიჭიერებაზე, ნათელ
ფანტაზიასა და შემოქმედებით მრავ-
ალფეროვნებაზე მიგვაჩვენებს ის
ფაქტი, რომ გარდა საქეტაკლების
წარმატებით გაფორმებისა, მათ შე-
ქმნილი აქვთ რამდენიმე საინტერე-
სო ხუროთმოძღვრული ნიმუში, მა-
თი პროექტით აიგო სასტუმრო
„ბაკურიანი“, ავტომობილი დიდიმ-
ში და სხვა. ისინი დრმად წვდო-
ბიან აგრეთვე ფერწერისა და გრა-
ფიკის საიდუმლოებებს და თავი-
სუფალ დროს გატაცებით მუშაობენ
ინდივიდუალურად ამ სფეროშიც.

აღსანიშნავია, რომ „სამეულმა“
მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ, თე-
რეალურ-დეკორატიული ხელოვნე-
ბის გამოფენებზე. სხვებთან ერთად
მათი ნამუშევრებიც ექსპონირებული
იყო იუგოსლავიის, პრადის, ვარშა-
ვის, ვენის, ბერლინისა თუ ბრაზი-
ლიის გრეკლ საგამოფენო აუდიტო-
რებში და ხალხის მოწონება დაიმ-
სახურეს.

რამდენიმე ხნის წინ ავ. ხორავას
სახელობის მსახიობის სახლის საქე-
ტობრივი დარბაზში მოეწყო მათი
ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე, თეატრალურ-დეკო-
რატიული ხელოვნების ნიმუშების
გვერდით, წარმოდგენილი იყო პო-
ეტური, მდიდარი შინაგანი ცხოვრე-
ბით აღსავსე ფერტილოები, გრა-
ფიკული ფერცლები, თეატრალური
პლაკატები, ილუსტრაციები ქართუ-
ლი, რუსული, ინდური და არაბული
ხალხური ზღაპრებისათვის. მაგრამ
უმთავრესი აქცენტი ძირითადად ხე-
ლოვანთა თეატრალურ-დეკორატიულ
მხატვრობაზე იყო გადატანილი.

ქართული თეატრალური ხელოვ-
ნების მოყვარულთ კარგად ახსოვთ
თუ რა წარმატებით დაიდგა რუსთა-
ველის სახელობის სახელმწიფო აკა-
დემიური თეატრის სცენაზე ა. მილუ-
რის „სეილუმის პროცესი“, რომლის
მიმართ ინტერესი დღესაც არ განე-
ლებულა. თამამად შეიძლება ითქ-
ვას, რომ საქეტაკლის წარმატებაში,
რეჟისორსა და მსახიობებთან ერთად,
დიდი წვლილი მიუძღვის „სამეულს“.
ეპოქის, მოქმედ გმირთა წინააღმდე-
გობებით აღსავსე ცხოვრების, მათი

ფსიქოლოგიის წინ წამოსაწევად და
დრამატურგიული მასალის უკეთ
გამოსაკვეთად ნიჭიერმა მხატვრებმა
მიმართეს ლაქონიურ გრაფიკულ
გადაწყვეტას, გაითვალისწინეს ყო-
ველი დეტალი, შეუჩრდილებს სიმ-
კაცრით, ფურთა ზომიერი გამოყე-
ნებით ერთგვარი ფსიქოლოგიური
ქრედილობა მიანიჭეს საქეტაკლს
და ხელი შეუწყვეს მსახიობთა თავი-
სუფალ, ძალდაუტანებელ თამაშს.
ამ საქეტაკლის დეკორაციისა და
კოსტუმების ესკიზებმა გამოფენის
დამთვალეობებელთა დიდი ყურად-
ღება მიიქცეს.

თეატრალურ-დეკორატიული ხე-
ლოვნების ღრმა ცოდნა, საუკეთესო
ფერწერული ცოდნა, ფანტაზია, მხა-
ტვრული ნააზრევის უშუალო გად-
მოცემის უნარი გამოავლინეს მხატვ-
რებმა რუსთაველის თეატრის მცირე
სცენაზეც. ნახურონიშვილის „ქიჩი-
რაქსა“ მხატვრული გაფორმებით.
გამოფენაზე წარმოდგენილმა ამ
საქეტაკლის დეკორაციებისა და კოს-
ტუმების ესკიზებმა კიდევ ერთხელ
დაავარწმუნეს ხელოვანთა შემოქმე-
დებით დიაპაზონის მრავალფერო-
ვნებაში.

გამოყენაზე ექსპონირებული იყო ამავე თეატრში დადგმული შინაარსით, ხასიათითა და ეპოქით სრულიად განსხვავებული სპექტაკლების 6. დუმბაძის „მზიანი ღამის“, მ. ელიოშივილის „ბებერი მუზრუნების“, ვაჟა-ფშაველას „მოკვითილის“, გვრიუაშვილის „პატარა უფლისწულის“ დეკორაციული ესკიზები, რომლებიც საინტერესოა ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტით, გაერმოს შესატყვისი ფორმებისა და იერსახეთა ოსტატური ძეგლები, მნიშვნელოვანი სცენური ეპიზოდების გამოკვეთით.

ლიტერატურული მასალის საფუძვლიანი ცოდნითა და მისი რეალისტური წარმოსახვით გამოირჩევა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სპექტაკლ „ჭირველი ქმრის მორჯულების“ დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ ფერთა ინტენსიური მეტყველებითა და სახეების პლასტიკური გამომსახველობით.

„სამეულმა“ წარმატებით გააფორმა მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრში ბ. ბრესტის „კაცი არის კაცი“, „მალაია ბრონიაიას“ — 5. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“, გოგოლის სახელობის თეატრში — ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, რომელსა და დეკორაციული ესკიზების ხილვამ ესთეტიკური სიახოვნება განაცდევინა გამოყენაზე მისულს.

ექსპონიციში წარმოდგენილ ნაწარმოებთაგან საინტერესოა თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლ „რობინ ჰუდის“ და გრიგოლავის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წარმოდგენა „შენი კუნძულის“ დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები.

აქვე ექსპონირებული თეატრალუ-

რი პლაკატებიდან გადაწყვეტის სისადავითა და ნასატის დინამიკით გვიჩვენებს გუაში შესრულებული საიუბილეო პლაკატი „შექსპირი რუსთაველის თეატრში“, „ანტიგონე“, „ჩაიკოვსკი“, „სეილემის პროცესი“ და სხვა.

„სამეულის“ ინდივიდუალური შემოქმედებითი ნიჭისა და მხატვრული აზროვნების გამომხატველია მათი ცალ-ცალკე შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. სწორედ სახვითი ხელოვნების ამ სფეროებში თქვა თითოეულმა მათგანმა თავისი დამოუკიდებელი სიტყვა და საკმაოდ მაღალპროფესიულადაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. ჩიკაიძის „მუსიკოსები“, „ცოლ-შვილი“, „მაიკო“, რომლებშიც იგრძნობა ადამიანთა სულიერი სამყაროს გადმოცემის უნარი.

თავისებურია ა. სლონისკის ფერთა მეტყველება. თავისი მხატვრული ჩანაფიქრის გამოსავლენად იგი მართლაც ტონების ინტენსიურობას, თუმცა არ კარგავს ზომიერებას. ეს ყოველივე უფრო მეტად პეიზაჟში იგრძნობა. ასეთია „ქართლის პეიზაჟი“, „პატარა სოფელი“, „პეიზაჟი კლესიით“.

ძალზე პოეტურად და დამაჯერებლად იყენებს ფერს ო. ჭიკაძე. ამის ნაოლეი დადასტურება „მუსიკის მოყვარული“, „არლაკინი“, „სალამი“, „ინგა“ და სხვა.

შთაბეჭდავია „სამეულის“ მიერ შესრულებული დაზგური გრაფიკის ნიმუშები, რაც ხელოვნათა ბოლიტრის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. საერთოდ აღნიშნულმა გამოყენებამ კიდევ ერთხელ გამოავლინა მათი როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური მხატვრული შესაძლებლობები და ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი.

ნაზარ ბაჟაია.

ნაპარზობა ქართული სახვითი ხელოვნების ცალკე დარგია, რომელსაც დიდი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი საინტერესოა როგორც ტექნიკური ხერხების, საქარგავი მასალის გამოყენების თვალსაზრისით, ასევე მხატვრული სახითაც. ნაპარზობის ნიმუშების უმარგვლესობა ხშირ შემთხვევაში შემეგული საყურადღებო ისტორიული ცნობის შემცველი საქტიტორო წარწერით ამჟამად მკითხველის ყურადღება გკინდა შვედეთის ერთ-ერთ ნიმუშზე, რომელიც საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ქსივილებისა და ნაპარზობის ფონდებშია დაცული. ეს არის გვიან ფეოდალური ხანის ნაპარზობის ნიმუში, რომელიც გარდამოსხნად იყოღებია; იგი საგვლსიო წესებისათვის გამოიყენებოდა, ნაპარგობა ლურჯ ატლასზე შესრულებული (162X190 სმ.) ნაპარგობის მასალად ნახმარია სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფი და ოქრომკედი, ზეზი და სხვა, ფონზე ამოქარგულია ფიგურები.

გარდამოსხნა სამ პორტონტულ ზოლად იყოფა, აქედან უმეტესი ნაწილი ეთმობა ცენტრალურს, სადაც ნაპარგობის თითქმის მიველ სიგანეზე ჯვარცხელი მაცხოვრება გამოახული. ქრისტი გულსელდაკრფილი წვეს საფეზე, რომლის კიდებში რთული გეომეტრიული და მცენარეული-ორნამენტკითაა შემეგული. მაცხოვრის შიშველ სხეულს მხოლოდ მენჯთან აქვს ქსიოლი შემოხვეული. ჯვარცხელის ორივე მხარეს, თავსა და ბოლოში, ორი მთავარანგელოზია გამოსახული. სამწერობლებით ხელში, მათზე ოქრომკედლით ამოქარგული ქრთიშები. ქრისტს სასეკულთან თითი წმინდა დედა გამოსახული — სახარების მიხედვითა და მათი იკონოგრაფიული სახის გათვალისწინებით; მარცხნივ, თავთან, მუწარედ მდგომი მარამა მაგდალენა, რომელსაც მარჯვენა ხელში ოქრომკედლით მოქარგული ხელმანდილი უკავია და თვალებიდან ცრემლების მოწმენდას ცდილობს, მისი სტოლა (ქვედა სამოსელი) მოქარგულია პირისფერი ზეზით, ოქრომკედის ზოლებით. მა-

XV სუუუნი

ქართული

ნაქარბოზის

პრტი ნიუუი

ანა მახარაშვილი



ფორიუმი (ზედა სამოსელი) — ოქრომედიტი, სახე და ხელები — ბაცი პირისფერი აბრეშუმის ძაფით, შარავანდედი — ოქრომედიტი, რომელიც სამსახურით.

მარიამ მაგდალენას გვერდით დგას დამწებებული ღვთისმშობელი, აესო ქრისტეს ღვთა. დიდი მწებარების ნიშნად მას ორივე ხელი თმებში ჩაუვლია. მისი სამოსი სულ სხვა ფერებითაა შემოსილი. სტოლა მოქარგულია მომწვანო ცისფერი ზეზით (შემკული ოქრომედიტი), თმები — ზაღისფერი აბრეშუმის ძაფით, სახე და ხელები — ბაცი პირისფერი აბრეშუმის ძაფით. მქარგველი მალალი ოსტატობით ასახავს შვილის სიკვილით დამწებებული დედის განცდას.

მომდევნო წმიდა დედაც მარიამ იაკობისი, ასევე მწებარებას გამოხატავს ქრისტეს მოწამებრივი აღსასრულის გამო: მას მარჯვენა ხელი ლოყასთან აქვს მიტანილი და დამწებებული დაკუერებს მაცხოვარს. მისი სამოსი მარიამ მაგდალენას ანალოგიურია, ოღონდ არ უკავია ხელმოხდილი.

მეოთხე ფეგრეა გამოსახავს იოანე მახარობელს, რომელსაც ლოყაზე მი-

უღია ხელი და თავდახრის სახეზე მწებარება აღბეჭდია. იგი შემოსილია ოქრომედიტი მოქარგული სამოსელით, მოუჩანს მწვანე ზეზით მოქარგული ქვედა სამოსის პიმატიონის პატარა ნაწილი.

მომდევნო პირი იოსებ არიმართიელია — ხელში სამწებრბელით გამოსახული. მაცხოვრის ფეხებთან დგას მოხრილი ნიკოდიმე.

აღნიშნული კომპოზიცია, რომელიც დრამატიზმით ხასიათდება, გარდამოსნის ძირითად თემას წარმოადგენს. ქვევით მაცხოვრის საფლავთან დაკავშირებული თემებია გამოილი. მარცხნივ შარავანდმოსილი მოციქული პეტრე დგას, რომელსაც ლოყის აღმნიშვნელად ორივე ხელი წინა აქვს გაწვდილი. მქარგველი მაცხოვრის საფლავს დეკორატიული წნულეებით შემკული ჯადრატის სახით წარმოგიდგენს; ოთხივე მხარეს ფარებითა და შუბებით აღჭურვილი მცველებია გამოსახული. ფრიზის მარჯვენა ნაწილზე მოთავსებულია კომპოზიცია „წმიდა დედანი მაცხოვრის საფლავთან“, ანგელოზი ქვის ლოდზე ზის, მარჯვენა ხელით მაცხოვრის ცარიელ საფლავზე მიუთითებს და წმინ-

და დედებს აცნობს ქრისტეს აღდგომას. წმინდა დედები ტრადიციულად, ხელში საწელსაცხებელი ჭურჭლებით არიან წარმოდგენილი.

გარდამოსნის ზედა ზოლზე მაცხოვრის ამალგებაა გამოსახული. დიდების შარავანდედით ზის ქრისტე საყდარსა ზედა ტრადიციული კურთხევის გამომხატველი ნიშნით, ორი ანგელოზი ამალგებს მაცხოვარს. აღნიშნული თემის ორივე მხარეს, მთავარ ანგელოზთა ერთ-ერთი დასი „საყდარნი“ თვალმრავალი ფრთოსანი წრეებითაა გამოსახული.

გარდამოსნის ოთხივე კუთხეზე ცის სვემენტში ოთხი მახარობლის სიმბოლური გამოსახულებებია მოთავსებული: მათე — ანგელოზის, მარკოზი — ლომის, ლუკა — ხარისა და იოანე — არწივის სახით. გარდამოსნის კიდევებს მისდევს რთული ორნამენტირებული ოლე, რომელთა მცენარეული და გეომეტრიული მოტივები მეტად შთაბეჭდავ, ცოცხალ სახეს ქმნის. მათში დიდი ოსტატობითაა ჩართული მოციქულები, მღვდელმთავრების და წმინდა მოღვაწეთა გამოსახულებანი (გემარდმდე), რომლებიც დეკორატიულ ორნამენტულ

ოლეს ერწყმისა. წმინდანებს აქვთ სათანადო წარწერა. გარდა აღნიშნულისა, გარდამოსხმის ორი ვრცელი წარწერა ახლავს. ერთი ბერძნულია, რომელიც ქართულად იწყება და ბერძნულად გრძელდება: „იესო ქრისტე, მეფე დიდებისა“; იგი ჯვარცმული მაცხოვრის თავთანა მთავსებული.

ახლა განვიხილოთ ნაქარგობის საერთო მხატვრული სახე. გარდამოსხმის მექ ლურჯ ფონზე მკაფიოდ გამოსახება მოყვითალო ღია ფერის ამრეშუმის ძაფითა და ოქრომკედით ნაქარგი ფიგურები. ჯვარცმული მაცხოვრის აღმართის კანის ფერი მონაცრისფრა არაშეშუმის ძაფითა ნაქარგი. მქარგველი მაღალი ოსტატობით უსამებს ერთმანეთს ღია და მექ ფერებს. მათ გვერდიგვერდ პატარა მოხატვებითა განალაგებს, რითაც შუქ-ჩრდილის დაპირისპირების ილუზიას ქმნის.

რიგ შემთხვევაში აღნიშნული ფერის ძაფები ერთმანეთს პარალელურად მოგმართებიან და ბაც ჩრდილად ფენებიან მაცხოვრის სხეულს. საერთოდ — შთაბეჭდილება ფერწერულია, სადაც ღია ფერი თანდათანობით გადადის ჩრდილში და რბილი განათების შთაბეჭდილება ქმნის. მაცხოვრის ობიები, განსაკუთრებით მისი კულულები, მქარგველის მიერ დეკორატიულადაა გადაწყვეტილი. მთავარანგელოზთა ფიგურები ერთი ტონალობის ოქრომკედით არის შესრულებული. ანალოგიური ტექნიკითა და მასალითაა მოქარგული წმინდა დედოფალი მათორიუმები. მქარგველს სტილში ცოცხალი, ფერადიანი აქცენტები შეჰქვს, რასაც წითელი და ცისფერი ზეითი ამოქარგავს და მოცვლებით წარმოგიადგენს. აქ წარმოდგენილ პერსონაჟთა სახეები ხორცისფერი ძაფითაა ამოქარგული, რომელთა ცალკეული ნაკვთები მოდულარტებითაა მონაცრისფრო ზეითი შესრულებული ტონებით. სახის შესრულების საერთო შთაბეჭდილება ერთგვარად პიმიტიულობის ნიშნა ატარებს, თუმცა ფიგურების საერთო მონუმენტურ აღნაგობაში, მათი საშის დეკორატიულსა და ფერადოვან იერში ეს ნაკლი არც თუ ისე შეიმჩნევა.

მქარგველის მხატვრულ ამოცანას, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ნაწარმოების მონუმენტურობა. გარდა ამისა, სრულიად აშკარად შეინიშნება ოსტატის ცდა — ნაწარმოებს დეკორატიულად გამომსახველი იერი მისცეს. ცარიელი არე შევსებულია „საყდართა“ ცალკეული გამოსახულებებით, მებაღეობიში ჩაწერილი ტოლმელოვანი ჯვრებით, ქერუბინებით, ასევე დეკორატიული თვალსაზრისი ჩანა გარდამოსხმის არშიაზეც, სადაც მცენარეულ-გეომეტრიული მოტივები და წმინდანთა გამოსახულებანი ერთ მთლიან მხატვრულ ზოლს ქმნის.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება მქარგველის ეს ჩანაფიქრი მაცხოვრის საფლავის გამოსახულებაში. ეს უკანასკნელი სრულიად დასრულებულ დეკორატიულ ნაკვთს წარმოადგენს, რომლის გულში გამოსახული ხრისხმის მაგვარი გამოსახულება, აგრეთვე, ყვადრატის ბორღურები, რთული კანდელითაა შესრულებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდამოსხმის საქტიტორი წარწერა ასევე, რაც შემდეგ ცნობას გავაწიდის: „ქ. დიდისა-მეფე(ვ)თა მეფისა ალექს(ა)ნდრეს ძესა მეფ(ვ)თა მეფესა გ(იორგ)ე(ი)ს გაუმარჯოს და ცოდვანი მისნი შ(ვე)ნ(ვის) ღ(მერთ)მან, რ(ომ)ლისა ბ(რძან)ებითა საფლ(ა)ვ(ა)დ დადება მხსნ(ე)ლსა ჩ(ვე)ნისა იესუ ქრ(ისტესი) შვიმზადა“.¹

წარწერაში მოხსენებული მეფე გიორგი IX, როგორც ჩანს, მეფე ალექსანდრეს და ყოფილა. ეს უკანასკნელი კი „დიდად“ იხსენიება. როგორც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, ასეთი ეპითეტები (ალექსანდრე დიდი) ცნობილია ალექსანდრე I, რომელიც 1412-1442 წლებში მეფობდა.²

როგორც ცნობილია, ალექსანდრე მეფემ 1442 წელს ქართლისა და იმე-

რეთის მეფედ დასვა მისი უფროსი შვილი ვახტანგი, „ხოლო თვით მეფემან ალექსანდრემ სახე მონაზნობისა შეიშალა და უწოდეს სახელად ათანასი“.³ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1445 წ(ქორნიკოზსა რტკ) „მიიკცალა მეფე ვახტანგ და დაჯდა მძა მისი გიორგი“⁴, ალექსანდრეს ძის, გიორგის გამეფების თარიღად იმავე 1445 წელს მიუთითებს მცხეთის ერთ-ერთი გუჟარიც⁵, მაგრამ საქმეს ართულებს სხვა გუჟრების მიმითებანი, რომლებიც გიორგის გამეფების წლად 1443, 1453 და 1460 წლებს მიიჩნევენ.⁶

ალექსანდრეს ძის — გიორგის გამეფების თარიღად იმავე 1445 წელს მიუთითებს მცხეთის ერთ-ერთი გუჟარიც (№ 12).⁷ მაგრამ სხვა გუჟრების მიხედვით გიორგის გამეფების ხანად 1448, 1453 და 1460 წლებია მიჩნეული.⁸

აკად. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე და არკვევს, რომ გიორგი IX სამეფო ტახტზე ასულა 1446 წლის 25 დეკემბერს და გარდაცვლილა 1469 წელს.

ამრიგად, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მასალები გვიჩვენებენ, რომ გარდამოსხმის საქტიტორი წარწერაში მოხსენებული პირები, მეფეთა მეფე დიდი ალექსანდრეს და გიორგი სამეფო ტახტზე ადის 1446 წლის 25 დეკემბერს, ხოლო გარდაიცვალა 1469 წელს.¹⁰

გარდამოსხმის საქტიტორი წარწერაში მოყვანილ პირთა იგივეობა ალექსანდრე პირველთან და გიორგი მეცხრესთან სრულიად ცხადია. გარდამოსხმის წარწერა მივიჯიოთ, რომ მქარგველს იგი ალექსანდრე დიდის ძის გიორგი მეცხრის მეფობაში მოუქარგავს, რაც საფუძველს გვაძლევს აღნიშნული ნაწარმოების შესრულების 1446-1469 წლებს შორის ვიგულისხმოთ.

⁵ თ. ჯორჯიანი, „ქრონიკები“, II, ტფ., 1877, გვ. 257.

⁶ იქვე, გვ. 257.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასაბ. ნაშრ., ტფ., 42, 43, 79.

⁸ თ. ჯორჯიანი, დასაბ. ნაშრომი, გვ. 257.

⁹ იქვე, 257.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასაბ. ნაშრ., გვ. 42, 43, 79.

¹ იხ. ხელოვნების მუზეუმის ქსოვილებისა და ნაქარგობის ფონდი, სმპ/რ № 1354.

² А. Натроев, Михета и его собор Свети Цховели, Тифлис, 1900, გვ. 428.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, IV, ნაწ. I, ტფ., 1924, გვ. 22.

⁴ იქვე, გვ. 35, 36.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.



თეატრის მებოგარი მეცნიერი

დოდო ანთაძე

ცნობილ პიროვნებებს ბევრი რამ ანსტავებთ ერთმანეთისგან, მაგრამ მათ გააჩნიათ ერთი ისეთი ნიშანი, რომლითაც ერთმეორეს ემსგავსებიან — ეს არის სიკეთე. ეს სიკეთე გამოვლინებას პოეზებს მათს შემოქმედებით თუ ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ყოველდღიურ ყოფაში, ყოველივე იმაში, რის ერთიანობასაც ცხოვრება წარმოადგენს და რომლის ნამდვილ სახესაც ადამიანი ქმნის.

დღეს, როდესაც ფიქტორბ საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებისა და მოქალაქის აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის შესახებ, ვრწმუნდები, რომ მთელ მის ცხოვრებისეულ გზას სიკეთე წარმართავდა. რადგან ღრმად მწამს — არ შეიძლება ადამიანმა ერისა და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეები გააკეთოს თუ მას სიკეთე და ადამიანებისადმი დიდი სიყვარული არ ამოძრავებს. არ შეიძლება ერის, მეცნიერების წინსვლის სამსახურში იდგე, მისი ზრდის და

განვითარების საქმეს ემსახურებოდე და არ ეთავყვანებოდე ამ ერის ინტელექტუალურ წარსულს, რადგან უამისოდ ვერაფერს საინტერესოს ვერ შეუქმნი მომავალ თაობას.

გიორგი ჯიბლაძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება კი ამის ნათელი მაგალითია.

თითქოს პარადოქსულია — გიორგი ჯიბლაძე 60 წლისა გამხდარა. რასაკვირველია, მეჯერა ყოველივე ეს, რადგან ჩემს თვალწინ ჩაიარა მთელმა მისმა ცხოვრებამ; მე მას თვალს ვადევნებდი ქუთაისიდან მოყოლებული, მაგრამ მაინც მუდამ მეგონა, რომ გიორგი ჯიბლაძე გაცილებით უფროსი იყო, ვიდრე ჩვენ ეს ვიცოდით. იგი ჩემზე და ჩემს ტოლ-მეგობრებზე უფროსიც კი მეგონა ხოლმე, რადგან ყველაფრისთვის, რაც გიორგი ჯიბლაძემ შექმნა, 60 წელი (ე. ი. ორმოცი წლის მოღვაწეობა) ძალიან ცოტაა; მეტი წლები უნდა დასჭირებოდა. როგორ მოასწრო!

მაგრამ ნიჭთან შეზავებული შრომისმოყვარეობა ბევრ რამეს განაპირობებს ადამიანის ცხოვრებაში; მას შეუძლია სასწაულები გაი მოახდინოს.

22 წლის იყო გიორგი, ლექციების კითხვა რომ დაიწყო. თავად ჭაბუკი და ახალგაზრდა სხვებს ასწავლიდა. 21 წლის იყო, პირველი წიგნი „ლიტერატურის საკითხები“ (1934 წელი) რომ გამოცემა და იქვე შეიცავს ჟურნალ „სიტყვა და საქმეს“ სარედაქციო კოლეგიაში. ბევრი დამერწმუნება, რომ შემოქმედებითი ცხოვრების ასე დაწყება ყველას ხვედრი როდია. კარგად ვიცი თუ როგორ გაატარა ბავშვობა დღეს უკვე საუკვეყნოდ აღიარებულმა აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ და ისიც ვიცი, რომ მაშინ, როცა იგი იწყებდა, როცა ცხოვრების ასპარეზზე გამოდიოდა, არაგინ შემეშ არ აჰყავდა, გარდა საკუთარი ნიჭისა და მონდომებისა.

თავლი გადავავლოთ მისი შრომების ნუსხას.

1940 წელს გამოცემა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევა „მშენიერების პრობლემა“ ბუნებასა და ხელოვნებაში, 1948 წელს და შემდეგ განმეორებით (1955 წ.) გამოცემა „ხელოვნება და სინამდვილე“, გიორგი ჯიბლაძის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური შრომა „კრიტიკული ეტიუდები“, რომლის პირველი ტომი გამოიცა 1950 წელს, მეორე — 1955 წელს, მესამე — 1959 წელს, მეოთხე — 1963 წელს. გიორგი ჯიბლაძემ გააკეთა ერთი ჩინებული საქმე — ძირფესვიანად გამოიკვლია დიდი ქართული მწერლის ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება; ამ ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის შედეგი იყო ის, რომ 1966 წელს ქართველმა მეთხველმა მიიღო სრული მონაგრაფია ილია ჭავჭავაძეზე.

ქართული კლასიკა სამართლიანად იქცა გიორგი ჯიბლაძის მეცნიერული კვლევის საგნად. განა ყოველი გამოჩენილი მეცნიერის შრომების ნუსხას არ დაამშვენებს ისეთი წიგნი, როგორიცაა დიდი ქართველი პოეტის შ. რუსთაველის საიუბილეო დღეებში გამოცემული გ. ჯიბლაძის „რუსთაველის ესთეტიური სამყარო“? ამ შრომაში გ. ჯიბლაძემ წარმოაჩინა შ. რუსთაველის უდიდესი ტალანტის კიდევ ერთი მხარე. 1968 წელს გ. ჯიბლაძემ გამოცემა საყურადღებო ნაშრომი „ბარათაშვილის პოეტური გენია“.

ასე იყო. წლები წლებს მისდევდნენ. დაუღლელ შრომაში გარბოდნენ ეს წლები. მეცნიერის გინება რიტმულად იკავებდა და სწვდებოდა დიდ ქართველთა ცხოვრებისა და შემოქმედების ურთულეს საკითხებს. თითქმის არ შეგულება არცერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ქართველი მწერალი, რომლის ცხოვრებაც არ შეესაწავლოს გ. ჯიბლაძე. და აი, აღიარება: გ. ჯიბლაძის ნაშრომი „ესთეტიური აღზრდის პრინციპი“ (1968 წ.) ი. გოგებაშვილის პირველი ხარისხის მედიტი აღინიშნა. განსაკუთრებით მასარებს ის გარემოება, რომ გ. ჯიბლაძის ნაშრომებს „რომანტიკისმი და რეალისტების“, „იოსებ გრიშაშვილი“, „ვაჟა-ფშაველა“, „ხელოვნება და სინამდვილე“, „ესთეტიური აღზრდის პრინციპი“, „უძაღვლი სიკლის პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება“ და მრავალ სხვას რუსი მეცნიერული კითხულობს და ენობა.

ძალიან ბევრი შრომის ავტორია გ. ჯიბლაძე. მე არც პროფესიული ალღო მეყოფა მათი სრული ანალიზისთვის და, ვფიქრობ, არც არის საჭირო. გ. ჯიბლაძის შემოქმედებას ისედაც კარგად იცნობენ საქართველოში; მაგრამ მე, როგორც ქართველ მოღვაწეს, არ შემძლია სიხარულით არ აღენიშნო ერთი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი — გიორგი ჯიბლაძე არის სსრ კავშირის სხვა კავშირებში გეგმიური მუშაობის ერთ-ერთი დამაარსებელი და 1959 წლიდან ამ კავშირის აკადემიკოსი. ეს მოვლენა, რადგან ქართველი მეცნიერის სახელი სამართლიანად ჩაიწერა იმ დიდი სამეცნიერო ტაძრის ისტორიაში, რომელიც მოელი ჩვენი ქვეყნის პედაგოგიკური აზრის განვითარებას ემსახურება. დამატებამ შრომაში გ. ჯიბლაძეს უმაღლესი პირობა ავტორიტეტი სამეცნიერო წრეებში, 1960 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.

გ. ჯიბლაძე იკვლევს ანტიკური, შუასაუკუნეობრივი, რენესანსისა და შემდეგრობინდული ესთეტიკის პრობლემებს. იგი ამუშავებს ქართული, რუსული და დასავლეთ-ევროპული ესთეტიკის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები ესთეტიკის ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა მშენიერების, ამაღლებულობის, ტრაგიკულის, კომიკურის, ფორმისა და შინაარსის პრობლემები.

ქართველი მეცნიერის ფართო ინტერესებისა და მასშტაბის გამოშავებულია მინჩინა ის, რომ გ. ჯიბლაძემ დაწერა საყურადღებო შრომები არა მარტო ქართველ, არამედ რუს მწერალთა შექმედებაზე. ასეთებია, მაგალითად, პუშკინის, ლერმონტოვის, ბოლშისკის, ტოლსტოის, ნეკრასოვის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პასარევის, ზაიცევის, ტკაჩევის, ბლოკის, მაიაკოვსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილები და სტატიები. საერთოდ კი, გ. ჯიბლაძე ავტორია 300 გამოქვეყნებული შრომისა. ეს, რასაკვირველია, უზარმაზარი ციფრია, რომლის მძლავრ დასა მოაზროვნის დაულოკებელი შრომა.

ზინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა იმაზე, რაც უმთავრესია ჩემი და ახსნელოვანი მეცნიერის ურთიერთობაში, რამაც განაპირობა ჩვენი სიახლოვე და მეგობრობა — ეს არის ქართული თეატრი, მისდამი მოწამებრივი სიყვარული.

გიორგი ჯიბლაძეს პირველად ქუთაისში შევხვდი. ეს იყო მაშინ, როცა ოთხი წლით გამოეკეტა ქუთაისის თეატრის კარი კვლავ უნდა გაღებულიყო და თეატრს უნდა დაეწყო ახალი ცხოვრება. მაშინ მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს, რთული და საპასუხისმგებლო საქმე დამეკისრა. საჭირო იყო დასის ჩამოყალიბება, რეპერტუარის შერჩევა და, რაც მთავარია, ამ ძველი თეატრალური ტრადიციებით ცნობილ ქალაქში უნდა აღმდგარიყო პროფესიული თეატრი, რომელიც გააგრძელებდა სახელოვნად დაწყებულ გზას.

მაშინ მე საჭიროდ ვცანი, რომ თეატრის ირველი შემოკრებილიყო ენთუზიასტთა ჯგუფი, რომელიც დახმარე-

ბას გაუწევდა თეატრს. ასეც მოხდა. ჩვენ უმარავი თანამზრახველი გვყავდა. მათ შორის აღმოჩნდა მაშინ ჯერ კიდევ სახვებით ახალგაზრდა გიორგი ჯიბლაძე. იქვე შევიტყვე, რომ გიორგის იმხანად (ეს იყო 1938 წელი) საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული, როგორც ნიჭიერ ადამიანს, უაღრესად კეთილშობილ და კრისტალურ პიროვნებას. ცხადია, ასეთი ადამიანის ქომაგობა და მეგობრობა თეატრთან მეტად სასიამოვნო იყო მთელი კოლექტივისთვის. გ. ჯიბლაძე იმთავითვე დაუკავშირდა ჩვენი თეატრის ბედს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ცხოვრებაში, იქნებოდა ეს რეპერტუარის შერჩევა თუ სპექტაკლების განხილვა. იგი თითქმის ჩვენს ყოველ სპექტაკლზე ბეჭდვად რეცენზიებს, როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. მისი რეცენზიები გამოირჩეოდა მაღალი პრინციპულობითა და პირუთვნელობით. თეატრთან სიახლოვე და მეგობრობა, მისი დიდი სიყვარული გიორგის ხელს არ უშლიდა, ეთქვა სიმართლე ამ თეატრის შესახებ.

როცა ქუთაისის თეატრს დიდი ქართველი მსახიობის ლ. მესხიშვილის სახელი მიენიჭა, ეს საზეიმო დღე საგანგებოდ აღინიშნა: გაიმართა დიდი საღამო, მთელ რიგ მსახიობებს მიენიჭათ წოდებანი, გამოიცა წიგნი „ქუთაისის თეატრი“, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანი თავის ავტორია გიორგი ჯიბლაძე. მან თავის სტატიაში გააანალიზა თეატრის მუშაობა უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე. გიორგისავე რედაქტორობით გამოიცა ერთდროული გაზეთი „ქუთაისის თეატრი“. რა გემოვნებით იყო იგი შექმნილი, პრინციპული და შესანიშნავი მასალების შემცველი. საზეიმო საღამოზე ძირითადი მომხსენებელი თავად გიორგი ჯიბლაძე იყო. იშვიათი იყო დღე, რომ არ შეხვედროდნენ გ. ჯიბლაძეს. დღისით რედაქციაში მოენახლებუდნენ, საღამოს, სპექტაკლის შემდეგ, სტამბაში ვეწვდი ხოლმე, სადაც გაზეთის მორიგ ნომერზე მუშაობდა. ეს მეგობრობა არც მაშინ გაწყვეტილა, როცა გიორგი თბილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ.

მე დღემდე ვგრძნობ მის ყურადღებასა და მზრუნველ ხელს. რჩევის მისაღებად ხშირად მიმიმართავს მისთვის, რადგან ღრმად მჯერა მისი გონებისა და სინდისის. მე ვიყავი მოწვე და მონაწილე იმ შეხვედრისა, რომელიც მიმდინარე წლის მაისში დაბადების 60 წლისთავის გამო მოუწვეს გ. ჯიბლაძეს საკავშირო პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიაში. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მასწავს ჩვენი სასიქაულო მეცნიერების — აკადემიკოსების ე. სტოლეტოვის, დ. ბლაგოვის, ი. კუზინის, ნ. გონჩაროვის გამოსვლები, რომლებიც დიდად აფასებდნენ გ. ჯიბლაძის ღვაწლს პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში.

იმ დღეს გ. ჯიბლაძეს საზეიმო ვითარებაში გადაეცა აკადემიის სიგელი და კრუჰსკაიას სახელობის მედალი. დღეს ჩვენი გიორგი ახუ, როგორც სიყვარულით ვუძახით

მისი კეთილისმსურველები — გოგი, 60 წლისაა. თმა შეუერცხლდა, ჭაღარა შეერია. შეილიშვილების პატრონია, მაგრამ ნათელი გონებით კვლავინდებურად ჭაბუკად გამოიყურება. ვუსურვებ გიორგის ხანგრძლივ, დღეგრძელ სიცოცხლეს. მჯერა, რომ იგი კიდევ ბევრ საამაყო საქმეს გაუკეთებს მშობლიურ ერს.

გიორგი არის ჩინებული ტრიბუნი. მას შეუძლია დაეუფლოს აუდიტორიას თავისი ბრწყინვალე ორატორული ნიჭით, შესანიშნავი მეტყველებით და გამართული ქართულით. გამარჯვებას ვუსურვებ ძვირფას გიორგის და კვლავაც ველი მის ახალსა და ახალ ნაშრომებს.

ს ს რ კ 50

წლისთავისადმი

მიძღვნილი

გამოფანიდან

დ. ნოღია.

ლიენდა თბილისზე.





საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საწარმოო განყოფილების გამგე რამაზ ცხვარაძე (მარცხნიდან მეორე) და ინჟინერ-ტექნოლოგები: ვახტანგ ღოხნაძე, ნანა ობოლაძე, ცისანა ბაკაშვილი.

რედაქცია და გამომცემლობა

კეთილშობილური საქმის ოსტატები

ტარიელ ხავთასი

ყოველი დღე ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებთან ერთნაირად იწყება: იწყება კი რიგით. ყველას ეჩქარება, ყველას სადღაც აგვიანდება და მაინც შეერდება ხოლმე, ახალ ჟურნალსა თუ გაზეთს შეიძენს, გაშლის და ჩაიკითხავს.

გვითხრობთ წერილს, ლექსს, მოთხრობას თუ ნარკვევს, გვეცნობით ახალ ამბებს, ახალ ავტორებს, ზოგს ვიწონებთ და ვაჭებთ, ზოგსაც ვსაყვედურობთ და ვგვამათებთ. ოღონდ არსად ვახსენებთ მათ, ვინც ეს გაზეთი თუ ჟურნალი, წიგნი თუ ბიულეტენი ჩვენამდე მოიტანა, ააწყო, დააკაბადონა, დაბეჭდა და აკინდა. ყო-

ველი ბეჭდვითი პროდუქციის უკან აღამიანთა მთელი არმია დგას; მათი დიდი შრომა და საქმისადმი სიყვარულია ჩაქსოვილი ყოველ სტრიქონში, გვერდში... ისინი არ ჩანან, არსად წერია მათი გვარები, საქმეს კი დიდს აკეთებენ, ღამეებს ათენებენ, ქმნიან... ეს უჩინარი აღამიანები პოლიგრაფიის მუშაკები არიან. შეაღეთ სტამბის კარები, შეიცანით მისი ყოველდღიურობა და თქვენს თვალწინ გადაიშლება საინტერესო, მიზნოვანი, ამაღლეველი სამყარო თავისი სპეციფიურობით. ლინოტიპების კაკანი თუ საბეჭდი მანქანების მონოტონური გუგუნე ქმნიან ერთ განუმე-

ორებელ გამას, რომელშიც კონცენტრირებულია ათობით აღამიანთა თავადებული შრომა, პროფესიისადმი სიყვარული და პატივისცემა.

ძალზე თავისებური პოლიგრაფიული ციკლი, რომელსაც გაივლის ომინატორზე დაბეჭდილი ტექსტი, ვიდრე მკითხველთა ფართო წრეში მიაღწევს. ეს ციკლი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მაგალითზე: რედაქტირებული და ასაწყობად ვიზირებული ჟურნალის მორიგი ნომრის მთლიანი მასალა მიდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში, სადაც საწარმოო განყოფილებას ახალგაზრდა ინჟინერი რამაზ ცხვარაძე ხელმძღვანელობს. მან 1962 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი პოლიგრაფიის ტექნოლოგიის განხრით. წარმოებაში მას თითქმის ყველა უბანზე მოუხდა მუშაობა და ყველგან მცოდნე, საქმიანი და ინიციატივით სპეციალისტის რეპუტაცია მოიპოვა. და როცა საწარმოო განყოფილების ყოფილი გამგე მასტან მენშველიშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მი-

უძღვის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ გამომცემის საქმეში, სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, გამომცემლობის დირექციამ და კოლექტივმა აღნიშნულ თანამდებობაზე ერთხმად წამოაყენეს რ. ცხვარაძის კანდიდატურა და არც შემდეგარან. ახალგაზრდა ინჟინრმა საქმის ცოდნასთან ერთად ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი ორგანიზატორული ნიჭიც გამოავლინა.


საწარმოო განყოფილება ძირითადად დაკომპლექტებულია ინჟინერ-პოლიგრაფისტებით. შიშქო ბაპაშვილი, ნანა ოზოლამა, ვასტანა დონაძე, შიშქო ჯიშვარიანი, ინა რამია, გიშქო სპრაძე და სხვ. დიდი პასუხისმგებლობით გვიღებინათ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. წარმოებაში ჩასაშვები მასალა განყოფილების გამგის რეზოლუციის შემდეგ მიდის ტექნოლოგიურ ჯგუფში, სადაც ყურადღებით სინჯავენ ყოველ ორიგინალს, ფოტოების ხარისხს და მხოლოდ ამის შემდეგ იხსნება შუკვეთა, იწყება საწარმოო პროცესი. ანაწყობი ტექსტები და მაკეტი ისევ უბრუნდება საწარმოო განყოფილებას. აქ მოწყდება დედნების ანაწყობის სიზუსტე, კლიშეების ანაბეჭდების ხარისხი, რედაქციამ შედგენილი მაკეტი, რის შემდეგაც ჟურნალში იგზავნება დასაკაბადონებლად.

...სამწყობო სამჭროს უფროსი, კომუნისტი გიორგი პაპინაშვილი სათითაოდ ათავალიერებს ნომერში გასაშვებ ყოველ ტექსტს, ამოწმებს ასაწყობი მასალების ზომას, შრიფტებს. მის გამოცდილ თვალს უმნიშვნელო წვრილობანიც კი არ გაოგებარება. იგი 1948 წელს მოვიდა სტამბაში, როგორც ასოთამწყობი. სიყვარულმა და საქმისადმი ინტერესმა თავისი გაიტანა, ომგადახდილი ჯაბუკი მალე დაოსტატდა, ხელმძღვანელობისა და კოლექტივის პატივისცემა მოიპოვა და მალე სამჭროს უფროსად დააწინაურეს, შემდეგ კი „ხარია ვოსტოკას“ სტამბის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. როცა წარმოება გაფართოვდა, გ. პაპინაშვილს სამწყობო სამჭროს უფროსის თანამდებობა შესთავაზეს და დღემდე უძღვება ამ საქმეს. პოლიგრაფიაში მუშაობის 26 წლის მანძილზე მისი თავდადებადი შრომა აბრუნებელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. სამამულო ომში მონაწილეობისთვის მიღებულ წითელი ვარსკვლავის ორ ორდენსა და მედ-

ლებს დამატა საპატიო ნიშნის ორდენი, ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები, მადლობები და ვიშაპელები. გ. პაპინაშვილი კულტურის დამსახურებული მუშაკია.

გიორგის მხარში უდგას სამჭროს ისტატი უშანში ოქრპაშვილი, რომელიც აგერ 15 წელია პოლიგრაფიას ემსახურება. აქვე დაეუფლა იგი ლინოტიპისტის პროფესიას, შემდეგ კი ლუბინგრადში შეისწავლა ლინოტიპის ინსტრუქტორ-მეცნიერის სპეციალობა.

სამჭროს უფროსი ასაწყობ მასალებს უშანის გადასცემს, რათა მან ლინოტიპისტებს დროულად მიაწოდოს იგი და აწყობა არ შეაფერხოს. ჟურნალზე რამდენიმე ლინოტიპისტი მუშაობს. ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მამარ პაპინაშვილი, რომელიც წარმოებაში 1957 წელს მოვიდა. გარდა „საბჭოთა ხელოვნებისა“ იგი მუშაობს „საქართველოს კომუნისტის“, „საქართველოს ბუნების“, „დროშას“ და სხვა ჟურნალების აწყობაზე. იგი დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით, კარგი მუშაობისათვის




დაკაბადონებული სპირიდონ ციკოშვილი.

არაერთგზის მიუღია დირექციის მადლობა. თ. პოპინაშვილი ა. ს. ბუშენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია და შესანიშნავად უთავსებს ერთმანეთს შრომასა და სწავლას.

დიდი სამამულო ომის მონაწილე

სამწყობო სამჭროს თანამშრომლები: (მარცხნიდან) უშანგი ოქრპაშვილი, თამარ პოპინაშვილი, სევეტა ლუკინიუკი, გიორგი პაპინაშვილი (სამჭროს უფროსი), მერი რუდენკო, ლინოტიპთან — გრიგოლ პავლიაშვილი.





საბექ საამქროში: (მარცხნიდან) ალ-ბერტ ქოქრაშვილი, ტრისტან სილაშონიძე (საამქროს უფროსი), ლეონიდ კარეტნიკოვი, სერგო მაჭავიანი.

ბრძოლულ პავლიაშვილი გამოსცემს ლინოტიპისტიკა. იგი 25 წელია სტამბაში მუშაობს. მის მიერ აწყობილი ტექსტები მუდამ გამოირჩევა მაღალი ხარისხით. ამაზე მეტყველებენ მის საპატიო სიგელები, რომლებიც მას არაერთხელ მიუღია. მის კარგ მუშაობას მოწმობს გარდამავალი დროშა „საუკეთესო ლინოტიპისტიკა“.

რუსულ ტექსტებს აწყობს მოწინავე ლინოტიპისტი სმბტანა ლუპინაშვილი. 1973 წელს მას მიღებული აქვს გამომცემლობის მიერ დაწესებული პირველი პრემია „საუკეთესო ლინოტიპისტიკისათვის“, აგრეთვე საპატიო სიგელი და ვიშკელი.

ჟურნალის ყოველ ნომერში იბეჭდება უცხოური (ინგლისური, გერმანული) ტექსტები. მათი აწყობა მინდობილი აქვს მერი რუდმინს. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბაში 1969 წელს მოვიდა. ადრე კი ქუთაისის სტამბაში მუშაობდა. იქ შეისწავლა და შეიყვარა ლინოტიპისტიკის რთული პროფესია. მერი კომუნისტური შრომის დამკვირვებელი და თავისი წვლილი შეაქვს საამქროს მაღალი შრომითი მაჩვენებლების მოპოვებაში.

აწყობილი და ჩასწორებული ტექსტები რედაქციაში შედგენილი მაკეტის მიხედვით, ბრუნდება საამქროში საამქროში დასაკამბონებლად. ახლა კი ბევრი რამაა დამოკიდებული სპირიტუალური ცოდნისა და ოსტატობაზე. იგი საუკეთესო დამკამბონებელია და ალბათ ამიტომაცაა, რომ მის სამუშაო დახვავზე დასაკამბონებელი ჟურნალების რიგი დგას. „ცისკარი“, „დროშა“,

„საქართველოს ბუნება“, „ნინავი“, ცნობარი „თეატრალური თბილისი“, „მეთოდური ბიულეტენი“. მათ უერთდება „საბჭოთა ხელოვნება“. ყველას ეჩქარება, ყველას უგვიანდება, მაგრამ სპირიტუალური არ ჩქარობს, მას არ უყვარს ჩაქარები საქმე. მუშაობს დინჯად და ზუსტად, პოლიგრაფიის ყველა წესის უნაკლო დაცვით. მისი ნახელავით ყველა ჟურნალის რედაქცია გამაყვითლია. იგი ოცი წელია ემსახურება პოლიგრაფიას და არაერთხელ მოუპოვებია

დირექციისა თუ რედაქციების მადლობები, სიგელები, ვიშკელები. 1972 წელს მას, რესპუბლიკის პოლიგრაფიის მუშაკებს შორის პირველს, მიენიჭა მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. აწყობისა და დაკამბონების პარალელურად გამომცემლობის ცენტრალური საამქროში (უფროსი პასილ პანაშვილი) მზადდება კლიშეები, რომლებსაც სურათებს იღებს ანზორ სხირტლაძე. იგი 1955 წლიდან ემსახურება ამ საქმეს და სა-

ცენტრალური თანამშრომლები: (მარცხნიდან) ოთარ გიორგაძე, ქემალ თოთლაძე, ლიზა მერაბიშვილი, ანზორ სხირტლაძე, ვასილ კანაშოვი (საამქროს უფროსი).



გამოდ კვალიფიკური ოსტატია. გასულ წელს ანზორი მიგლინებით გაიგზავნა მოსკოვში გაზეთ „მოსკოვსკია პრადის“ სტამბაში ახალი გადამღები აპარატის მუშაობის შესასწავლად. ეს აპარატი ავტომატურად იღებს სურათს და აბეჭადებს ცილებს, ამით საგრანბოვად დღივლ-დებდა შრომა და მცირდება დასარჯული დრო. ასეთი აპარატი ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ციხეგრაფიაშიც დგას და ამ „გონიერ“ მანქანას შეუფერხებლად მართავს ა. სხირტაძე.

კლმეების შეწამება-დასაფუძვას გამომცემლობის სტამბაში (საქმის) ლამის ემსახურება. მან გაზეთ „პრადის“ სტამბაში აიშალა კვალიფიკაცია და ახლა შავ-თეთრი და ფერადი კლმეების დასაფუძვლის ჩინებული სპეციალისტია.

ცინკზე ასლის გადაღებას ემსახურება ლეონ მირაბინშილი, ხოლო გამზადებული კლიშეების ზომასზე ჩამოჭრის საქმეს (მასარ მირაბინამ ასრულებს...

დაცაბიონებული ჟურნალი გზას საბეჭდი სამაქროსაკენ განაგრძობს. ამისთვის ყოველი ფორმა ჯერ უნდა მომზადდეს; გვერდების მიხედვით განლაგდეს გოგუვად მოკრიბებული თუჯის ბავიდაზე, ანუ გერეთ წოდებულ ტალერზე. ამ პროცესს გამოცდილი მებეჭადი სმარტ მამჩინი ასრულებს. იგი კარგად იცნობს ჟურნალ „საბოთა ხელოვნებას“, რომელსაც წლების მანძილზე თვითონ ბეჭდდა, „ბეჭდვითი სიტყვის“ კომპინატი.

დასაბეჭდად მომზადებულ ფორმას საბეჭდი სამაქროს უფროსი ტრისტან სილანჩინი ამოწმებს, რომელსაც დიდი დეაწლი მიუძღვის ჟურნალ „საბოთა ხელოვნების“ ბეჭდვაში. ჯერ კიდევ თვითღვ წლის წინათ იგი ბეჭდვად ჟურნალის ფერად ჩანარობას ფერადი ბეჭდვის სტამბაში, სადაც იგი ხელისადა ახალგაზრდა მხიდა სამუშაოდ და მალე საბეჭდი სამაქროს უფროსი გახდა. ახალგაზრდამ კარგად შეისწავლა ფერადი ბეჭდვის საიდუმლოება. მისმა მრავალმა რაციონალიზატორულმა წინადადებამ საგრეკლობა მოუტანა ფერადი ბეჭდვის ხარისხის ამაღლებას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა არა ერთი მოწინავე მებეჭადი. ტ. სილაჩინის მიღებული აქვს მუდმივი შრომითი მა-

მაკობისათვის და ე. ი. ლენინის საიუბილეო მუდმივი, მრავალი სიგელი და მადლობა.

იგი ნაყოფიერი და თავდადებულ შრომას შესანიშნავად უთავსებს ბეჭდვით სწავლას. მიმდინარე სასწავლო წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის. აღსანიშნავია, რომ ეს მისი მეორე ფაკულტეტია.

ჟურნალის ბეჭდვა მიმდინარე აქვე დახელოვნებულ ოსტატებს, ლეონიდა პარბინსკის, გიორგი კილამას, ალბერტ კომარაშვილს, დიმიტრი პიპინს და მებეჭადის მოადგილეს ალბერტ სილანჩინს. კომუნისტური შრომის დამკვერთი მებეჭადევი ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებენ ჟურნალის ბეჭდვის ხარისხის ამაღლებლად.

დაბეჭდილი ფორმები სამაქროს სამაქროში გადადის (უფროსი პარბინსკი დაწინა). სამაქროს უფროსის მოადგილე მერაბ ლენჩაძე თავის დასტორილებს ყოველ პროცესს. ფორმების დაყვას, აკოფას, ყდაში ჩასმას, შეყვრასა და ჩამოჭრას უშუალოდ ასრულებს რამდენიმე სპეციალისტი ბრიგადა და სამაქროს სამაქროს ოსტატ მინა ნაღირაძის უბანი. მუშაობა მიდის რიტმულად, შეუფერხებლად. აქ ყოველ მუშას ღრმად აქვს შეგნებული, რომ მათ შრომაზე ბევრად არის დამოკიდებული პრო-

დუქციის მაღალი ხარისხი და სამაქროს პრესტიჟი.

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნოლოგი ქართლის დარჩია ამ საწარმოში 1951 წელს მოვიდა. 1959 წლიდან კი სამაქროს უფროსია. ახალგაზრდა სპეციალისტი არა ერთი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია, რისთვისაც მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და პრემია. მისი წინადადებითა და აქტიური მონაწილეობით სამაქრო ახლა თითქმის მთლიანად მექანიზებულია.

შუა პროდუქცია გაივლის სასიგნალო უბანს, სადაც ნაყოფიერი შრომის ეფუძნება მერაბ ლენჩაძის და თენგიზ სილანჩინის. პოლიგრაფიის ეს გამოცდილი ოსტატები გამოირჩევიან დისციპლინითა და საქმისადმი სიყვარულით, რაზედაც მებეჭადეებს ის ქების სიგელით, მადლობებითა და ვიზიტ-ლები, რომლებიც მათ არაერთხელ მიუღიათ მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის.

ტირანო შუა არის. საექსპედიციო განყოფილების უფროსი გიმი ლენჩაძე იძლევა განკარგულებას ჟურნალის გატანაზე. კიდევ ერთი დღე და მკითხველები მიიღებენ „საბოთა ხელოვნების“ მორიდ ახალ ნომერს, რომელიც რედაქციის კოლექტივსა და პოლიგრაფისტების შრომის საერთო ნაყოფია.

